საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №4 (2377) სამშაბათი. 7 იანვარი. 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისის გარეთ 45 თეთრი.

„საქართველოს ყველა მოქალაქეს მინდა მივულოცო შობის ბრწყინვალე დღესასწაული, ვუსურვო ყველა ოჯახს და მთლიანად საქართველოს ბედნიერება და სიხარული, გამთლიანება“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 6 იანვრის რადიოინტერვიუ

— ეს თქვენი პირველი ინტერვიუა 1997 წელს, გილოცავთ! მინდა პირველი კითხვით, თუ შეიძლება ასე ითქვას, შევაჯამოთ განვლილი ეკონომიკური წელიწადი. რა ძირითადი მახასიათებლებით გამოირჩეოდა იგი? — ჟურნალისტ ნატო ონიანის ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— 1996 წლისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ტენდენციაზე უკვე ვილაპარაკე ჩემს საახალწლო მილოცვაში და შევეცადე ცალკეული ამოცანების ჩემეული ხედვა გამომეხატა. მაგრამ ზოგიერთ რამეს მაინც გავიმეორებ, რადგან კიდევ და კიდევ დაგვჭირდება განმეორება, იმიტომ, რომ უნდა ვიცოდეთ, თუ რა მიჯნები გვაქვს დასაძლევი და ცხოვრების რა დონეზე გავალთ, რა პოტენციალი აქვს ქვეყანას ამ ერთი წლის განმავლობაში, რის გაკეთება შევძელით იმ სიძნელეების მიუხედავად, რომლებიც ყველამ კარგად იცის.

ქვეყნის ეკონომიკა 1997 წელს საკმაოდ რთული, სერიოზული და დაძაბული ამოცანების წინაშე დგას. წლევანდელი წელი გადამწყვეტი, ძირეული შემობრუნების წლად უნდა იქცეს პრეზიდენტის ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში, ქვეყნის აღმშენებლობის ისტორიაში. გასული წელი ამის რეალურ საფუძველს ქმნის. უკვე აღარავისთვის არ არის გასაკვირი და ყველა ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს იმ ფაქტს, რომ ინფლაცია, რომელიც სულ რაღაც წლინახევრის წინათ ეკონომიკის დაქვეითების და მოსახლეობის გაღატაკების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო, 1996 წელს მინიმალური, თითქმის ერთპროცენტიანი დონით შემოიზღუდა თვეში, ინდიკატური გეგმით გათვალისწინებული 2-2,5 პროცენტის ნაცვლად. ფულადი რეფორმა — ლარის საცვლელი კურსის სიმტკიცე აღიარებულია საერთაშორისო დონეზე. ამ ფაქტს ადასტურებს განვლილ კვირაში გამართული ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სესიებიც. ლარის კურსი დოლარის მიმართ კვლავ 1,28 დონეზეა დაფიქსირებული.

ფულად რეფორმაზე არანაკლები მნიშვნელობისაა წარმატებით განხორციელებული პურპროდუქტების სისტემის რეფორმა და პურის ფასების ლიბერალიზაცია. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ენერგეტიკულ კომპლექსში დაწყებული რეფორმაც, რომლის სწორი წარმართვა და დროული განხორციელება უნდა გახდეს სისტემის ფინანსური გაჯანსაღების და კრიზისიდან თავის დაღწევის რეალური გზა. ენერგეტიკა წლევანდელი წლიდან წარმოების შემაფერხებელი ფაქტორიდან მისი აღმავლობის უმნიშვნელოვანეს საფუძვლად, უმთავრეს ფაქტორად უნდა იქცეს და ეს ყველამ უნდა გავიგოთ.

გასული წელი აღინიშნა მასობრივი პრივატიზაციის დამთავრებით. სახელმწიფომ ვაუჩერის საშუალებით მოსახლეობას გადასცა 154 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების სახელმწიფო ქონება. დაახლოებით 400 ათასი კაცი გახდა მესაკუთრე, რასაც საერთაშორისო ექსპერტებიც დადებითად აფასებენ, და მიაჩნიათ, რომ ესეც ძალიან საინტერესო მოვლენაა. წარმატებით განხორციელდა მიწის რეფორმა. მე ეს ვთქვი, მაგრამ, ერთხელ კიდევ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს ღონისძიება ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობისაა: მილიონზე მეტი მოქალაქე, მათი ოჯახები მიწის მესაკუთრენი გახდნენ. მიწა მიიღო 300 ათასზე მეტმა ქალაქის მცხოვრებმა. ქალაქელებს ახლაც შეუძლიათ გამოიყენონ მიწის დარჩენილი რესურსები და ამით არსებობის დამატებითი წყარო გაიჩინონ. ძალაში შევიდა მიწათსარგებლობის საიჯარო ფორმა, რომელიც უკვე მოქმედებს. მიწის რეფორმის სიკეთე ის არის, რომ შეიქმნა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მასობრივი დასაქმების საფუძველი. ჩამოყალიბდა საკმაოდ სტაბილური ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე.

1996 წელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ, სამწუხაროდ, წლის სტატისტიკა ჯერჯერობით დაზუსტებულ ციფრებს ვერ იძლევა, მაგრამ წინასწარი მონაცემებით, ეროვნული ეკონომიკის ყველა ძირითადი დარგის მიხედვით აღინიშნება შესამჩნევი ზრდა, რაც განზოგადებული სახით ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებში, უწინარესად, მთლიან შიდა პროდუქტში აისახება.

წინასწარი შეფასებით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა სულ ცოტა 10-12 პროცენტით გადააჭარბებს 1995 წლის დონეს, ინდიკატური გეგმით გათვალისწინებული 7.5 — 9,3 პროცენტის ნაცვლად. ეს, ალბათ, მრავალ ქვეყანათა შორის, ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი უნდა იყოს.

ეკონომიკის სამინისტროს შეფასებით, ქვეყნის სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა 1996 წელს, ალბათ, 110 პროცენტს უნდა მიაღწიოს. ამავე დროს, კერძო სექტორში წარმოების არსებული მოცულობით აღრიცხვის გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ ეს მაჩვენებელი 115 პროცენტამდე გაიზრდება.

აღმავლობის გზაზე დგება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კომპლექსიც. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსა და სოცეკონომინფორმის წინასწარი მონაცემებით, შარშან 1995 წელთან შედარებით ქვეყანაში წარმოებულია 23 პროცენტით მეტი მარცვლეული, ეს ჯოჯოხეთური გვალვის უმძიმესი პირობე-

იხ. მე-2 გვ.



„აკურთხე გვირგვინი წელიწადისა შენისა, უფალო!“

უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის

საშობაო ეპისტოლე

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთივკურთხეულ ჩვენს შვილებს

> „შეჰღაღადეს უფალს თავიანთი მწუხარების ჟამს და გაჭირვებიდან იხსნა ისინი, და დააყენა ისინი სწორ გზაზე“.
> (ფს. 106, 6-7)

ქრისტესმიერ საყვარელნო ყოვლადსამღვდელონო, მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ძმანო და დანო, საქართველოს სამოციქულო წმინდა ეკლესიის ღვთისსათნო შვილნო,

ჩვენთან არს ღმერთი!

„აჰა მოვა უფალი ღმერთი ძლიერებით და იხელმწიფებს მისი მკლავი, აჰა საზღაური მასთანაა და მის წინაშეა გასამრჯელო და როგორც მწყემსი, და მწყსის თავის ფარას“, — ბრძანებს ესაია წინასწარმეტყველი (ესაია 40, 10-11)

დასასრულს უახლოვდება მეორე ათასწლეული, — ეს არის რთული და წინააღმდეგობებით სავსე დრო; დრო, როდესაც შეიძლება ბევრი რამ ადვილად შეიძინოს კაცმა და შეიძლება, ყველაფერი ერთბაშად დაჰკარგოს. მთავარია, არ დავივიწყოთ, რომ ჩვენი მიწიერი ყოფა დასაწყისია მარადიული ცხოვრებისა. ამიტომაც ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, ამქვეყნადვე დავუახლოვდეთ უფალს, ყოვლადწმიდა სამებას გავუღოთ გულის კარი, რათა დაივანოს მასში და იყოს ჩვენთან განუშორებლად. მხოლოდ ამ შემთხვევაში გავხდებით თანაზიარნი სინათლის, მშვიდობის, სიხარულის და ნეტარებისა.

დღეს ყველანი დიდებული ზეიმის — ქრისტეს შობის მონაწილენი ვართ.

როგორც ვიცით, ძე ღვთისას ამქვეყნად მოვლინების პირველი მაუწყებელი იყო უჩვეულოდ მნათობი ვარსკვლავი, რომელმაც უწინამძღვრა ბრძენ მოგვებს აღმოსავლეთიდან ვიდრე ბეთლემის გამოქვაბულამდე.

საზეიმო სიჩუმე და სიწყნარე იდუმალი ღამისა დაარღვია ელვარე ნათლით მოსილ ანგელოზთა საგალობელმა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლკ.2,14), რომელიც ყოველთა უწინარეს მწყემსებმა გაიგონეს.

ღვთაებრივმა სიყვარულმა შესაძლებელი გახადა უფლის განკაცება. „სიტყვა იგი ხორციელ იქმნა და დაემკვიდრა ჩვენს შორის, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“ (იოანე 1,14), — ვკითხულობთ სახარებაში, რაც ერთხელ კიდევ გვახსენებს იმ რეალობას, რომ სიტყვა ღვთისა მთლიანად მოიცავს მადლსა და ჭეშმარიტებას; და რომ უფალი, ამავე დროს, ამ ნიჭით აჯილდოებს ყველას, მასთან რწმენით და სიყვარულით მიმავალს. სამწუხაროდ, ადამიანები ხშირად თავისი ნებით ამბობენ უარს მადლსა და ჭეშმარიტებაზე იმიტომ, რომ ჩაფლულნი არიან ცოდვის ჭაობში და აღარ ძალუძთ იქიდან გამოსვლა. ყველა გონიერ ადამიანს აღელვებს და აინტერესებს არა მარტო საკუთარი ბედ-იღბალი, არამედ თავისი ხალხის და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს აწმყო და მომავალი. როდესაც უყურებ მიმდინარე პროცესებს, ზოგჯერ გულგატეხილობა გეუფლება; გეჩვენება, თითქოს კაცობრიობა სადღაც უძირო უფსკრულისაკენ მიექანება და აღარ არსებობს ძალა, რომელიც მოახლოებულ ტრაგედიას შეაჩერებს. მაგრამ ეს ასე არ არის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ის რაც კაცთათვის შეუძლებელია, ღვთისათვის არის შესაძლებელი. ოღონდ მთავარია, სწორ გზაზე დავდგეთ და სწორად ვიცხოვროთ. ხშირად მთელ ჩვენს ძალებს ვახმართ ფუჭ და ამაო საქმეს, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს ეგოიზმს; გვავიწყდება კი, რომ ასეთი ცრუ შინაგანი სიმტკიცე დამღუპველია და პირიქით, მოყვასის სიყვარულით, ჩვენი „მე“-ს ჩვენი ეგოისტური სურვილების უარყოფით, ვაღწევთ უმაღლეს სულიერ სიძლიერესა და სიმტკიცეს. სულიერი აღმასვლის ამ კიბეზე მთავარი მამოძრავებელი ძალა სიყვარულია.

ცნობილი ფილოსოფოსი ვლადიმერ სოლოვიოვი წერს: „სიყვარული ნიშნავს თვითუარყოფას, სხვისთვის მსხვერპლის გაღებას. ამასთან თვითუარმყოფელ პიროვნებაში ხდება უმაღლესი თვითდამკვიდრება. სიყვარულის ან თვითუარყოფის უარყოფა ე.ი. ეგოიზმი, არ არის ნამდვილი თვითდამკვიდრება, იგი უნაყოფოდ, დაუკმაყოფილებელი სწრაფვა და ძალისხმევაა თვითდამკვიდრებისათვის, რომლის შედეგად იბადება ეგოიზმი, რომელიც იქცევა ყველა განსაცდელის სათავედ. ჭეშმარიტი თვითდამკვიდრება კი მხოლოდ საკუთარი თავის უარყოფით მიიღწევა. ასე რომ, როდესაც ვამბობთ, აბსოლუტური პირველსაწყისი არის ერთიანობა საკუთარი თავისა და საკუთარი ნების უარყოფისა, ამით უფრო გასაგები ენით ვიმეორებთ მოციქულის სიტყვებს — „ღმერთი სიყვარული არს“. (2, 310). მაშასადამე, რაკი ეგოიზმის დამამარცხებელი ძალა მხოლოდ ნამდვილი სიყვარულია, ეგოიზმის დაძლევით მიიღწევა ჭეშმარიტი თვითდამკვიდრება.

აი, ამ მიმართულებით უნდა მოხდეს აღზრდა და განვითარება ჩვენი ხალხისა, ჩვენი ახალგაზრდობისა.

სიყვარულის სხვადასხვა სახე არსებობს. ყველაზე მაღალი მათ შორის არის შემოქმედი სიყვარული როგორც მთელი სამყაროსადმი, ისე ცალკეული პიროვნებებისადმი. ღვთის ყველა ქმნილება, მათ შორის ადამიანიც არის ნაყოფი უსაზღვრო და უნაპირო სიყვარულისა. ეს სიყვარული სარკის მსგავსად აისახება მატერიასა და ყოველ ცოცხალ ორგანიზმში და განსაკუთრებული ძალით გამოვლინდება ადამიანში.

ადამიანურ სიყვარულთაგან უპირველესი არის სიყვარული ღვთისადმი, რომელიც აუცილებლად ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ჭეშმარიტი რწმენა საძირკველია ჩვენი სულის შენობისა, იგია განმსაზღვრელი ჩვენი დამოკიდებულებისა ღვთისადმი, ადამიანისადმი და, საერთოდ, სამყაროსადმი. თუ პიროვნებას ჭეშმარიტი სარწმუნოება არა აქვს, მასში ყველა მოვლენა დამახინჯებულად აირეკლება და შედეგიც ასეთივე ექნება.

სიყვარული ღვთისა — ეს არის ცხოვრება ღმერთში და ღვთის არსებობა ჩვენში. ადამიანი მხოლოდ მაშინ მოიწევს ნაყოფს ჭეშმარიტი სიყვარულისას, თუ გახდება ღვთის მატარებელი, ღმერთშემოსილი. წმ. ისააკ ასური ბრძანებს: „ღვთის სიყვარული ლოცვით მოიპოვება და შედეგია მისი. სიყვარული უფლისა არის სამოთხე, ხე სიცოცხლისა, მეუფება ღვთისა, იგია „ღვინო“, რომელი ახარებს გულსა კაცისასა და ნეტარია, ვინც იგემებს მას. შესვეს იგი განლაღებულთ და დაირცხვინეს, იგემეს ცოდვილთ და დაუტევეს გზა წარწყმედისა, იხმიეს მემთვრალეთ და შეუდგნენ მარხვას, შესვეს მდიდართა და ისურვეს სიღარიბე, მიიღეს გლახაკთა და განმდიდრდნენ სასოებითა, დალიეს სნეულთა და განძლიერდნენ, იგემეს უვიცთა და იქმნენ ბრძენნი“ (სიტყვა 83). ამიტომაც ვამბობთ, მხოლოდ ჭეშმარიტ რწმენას და ღვთის სიყვარულს შეუძლია შეცვალოს და მთლიანად გარდაქმნას ჩვენი ყოფის ულმობელი რეალობა, ჩვენი დროის დაუნდობლობა და სისასტიკე, რაც არის შედეგი ურწმუნოებისა და სულიერი სიცარიელისა.

სამწუხაროდ, ღვთის რწმენისა და სიყვარულის დაკარგვით დაიკარგა სუფთა მიწიერი სიყვარულიც. სიყვარული, რომელიც უფრო მეტ გასცემს, ვიდრე იღებს — ანუ მშობლების სიყვარული შვილებისადმი და პირიქით, დაიკარგა ან დამახინჯდა შვილების სიყვარული მშობლებისა და წინაპრებისადმი.

დედ-მამისადმი ნაკლულევანი სიყვარულისა და უპატივცემულობის გამო ბავშვები ხშირად ბედნიერებას ოჯახის გარეთ ეძებენ და, სამწუხაროდ, მეტწილად იქ, სადაც იგი საერთოდ არ არის. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ სახლში ნამდვილი სიყვარული არ სუფევს. მხოლოდ ეგოიზმის დაძლევით შეიძლება ცოლ-ქმარს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება და სიყვარულით ცხოვრება. ამაზე უნდა აიგოს მათი ოჯახის ბედნიერება და კეთილდღეობა.

გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდები, რომელნიც ამთავრებენ საშუალო სკოლას, თუნდაც უმაღლეს სასწავლებელს, საერთოდ არ არიან მომზადებულნი იმ ფრიად საპასუხისმგებლო საიდუმლოსათვის, რომელსაც ქორწინება ჰქვია. მათ არ იციან, როგორ შექმნან ნორმალური ოჯახი, როგორ მოუფრთხილდნენ ერთმანეთს და თავის ერთობას.

ქორწინება ღვთივ დადგენილია. ქორწინებით, ჯერ ერთი, ხდება განმრავლება და გადარჩენა კაცთა მოდგმისა (შეს. 1. 27-28) მეორეს მხრივ, კი სიყვარულის საფუძველზე ხდება მეუღლეთა შეერთება და ურთიერთდახმარება ცხოვრების სიძნელეთა დასაძლევად. (შეს. 2, 18).

მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოში ვკითხულობთ: „ქორწინება არის საიდუმლო, რომლითაც ეკლესია აკურთხებს სასიძოსა და სასძლოს კავშირს ეკლესიასთან ქრისტეს სულიერი კავშირის მსგავსად და ითხოვს მათთვის მადლს ერთსულოვნებისას შვილთა შობისათვის და ქრისტიანულად აღზრდისათვის“.

ზოგიერთები ქორწინებაში ხედავენ რაღაც არაწმიდას, ცოდვისმიერს, რაც არასწორია. რა თქმა უნდა, ოჯახურ ცხოვრებაშიც შეიძლება იყოს დიდი ცოდვები, მაგრამ თუ ქორწინება კანონიერია, ღვთივ კურთხეულია და შეესაბამება ქრისტიანულ ნორმებს, იგი წმინდაა და შეუბილწავი. უფალი იესო ქრისტე თვითონ დაესწრო ქორწილს კანას გალილეაში, აკურთხა იგი და მოახდინა პირველი სასწაული — წყალი ღვინოდ შეცვალა.

აი, რას ბრძანებს მაცხოვარი მეუღლეთა შესახებ: „ვინც გაუყრება თავის ცოლს სიძვის მიზეზის გარეშე და სხვას შეირთავს, მრუშობს“ (მათე 19.9). ამიტომაც ადამიანებს სერიოზული დაფიქრება მართებთ ცხოვრების თანამგზავრის არჩევისას. სოლომონ ბრძენი გვასწავლის: „სახლი და დოვლათი მამის დანატოვარია, გონიერი დედაკაცი კი უფლისაგან არის“. (იგავნი 19, 14)

ახალგაზრდებმა, რომლებიც ოჯახს ქმნიან, უნდა იცოდნენ, რომ მათი ცხოვრების გზა ყოველთვის ია-ვარდით ფენილი არ იქნება. რომ წინააღმდეგობები ბევრი შეხვდებათ და მზად უნდა იყვნენ მათ დასაძლევად. მთავარია, ურთიერთსიყვარული და თანადგომა ჰქონდეთ და, რა თქმა უნდა, სასოება ღვთისა და აქედან გამომდინარე რწმენა მომავლისა.

ხშირად მეუღლენი ჩივიან ერთმანეთის მძიმე ხასიათის გამო და ამ მიზეზით არღვევენ ოჯახს, რაც არასწორია. თუ ერთ-ერთ მათგანს აქვს კეთილი თვისებები და ამოძრავებს რწმენა და სიყვარული, იგი შეძლებს მთლიანად შეცვალოს თანამეცხედრის შინაგანი სამყარო.

იხ. მე-5 გვ.

მეზობლად

რუსეთს უჭირს ჩეჩნეთი

ჩეჩნეთის პრობლემა მარჩიელობის ფაზაში შევიდა: ჯარი გაიყვანეს, რა იქნება ხვალ? რუსეთის პოლიტიკური მოღვაწეები ცდილობენ უპასუხონ ამ კითხვას, და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ დასკვნებამდე მიდიან.

მინტიმირ შაიმიევი, თათრეთის პრეზიდენტი, მაგალითად, მიიჩნევს, რომ 27 იანვარს ჩეჩნეთის პრეზიდენტის არჩევნების პერსონიფიცირებული შედეგების მიუხედავად, რუსეთმა უნდა აღიაროს იგი „მაქსიმალურად ლოიალური დამოკიდებულებით“, თუ არადა, — „ყველაფერი თავიდან დაიწყება... — კვლავ კონფლიქტი, კვლავ სისხლისღვრა და ახალი მსხვერპლი.

შაიმიევი მხარს უჭერს ჩეჩნეთისათვის თავისუფალი ეკონომიკური ზონის სტატუსის მინიჭებას, ეს ვარიანტი ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტად მიაჩნია.

სრულიად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნატორი ბორის ნემცოვი. მისი აზრით, „ასეთი ზონა ბოლოს და ბოლოს თავისუფალ კრიმინალურ ტერიტორიად იქცევა... აი, მაშინ რუსეთს წალეკავს კონტრაბანდული „ვოდკის“, იარაღისა და ბევრი სხვა რამის ფართომასშტაბიანი ნაკადი“.

რუსეთ-ჩეჩნეთის ურთიერთობა კი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვის აირჩევენ პრეზიდენტად. მასხადოვი, მიიჩნევს ნემცოვი, უფრო სასურველია, რადგან ზომიერი პოლიტიკოსია და მასთან მოლაპარაკება შეიძლება.

ერთი სიტყვით, ჩეჩნეთის პრობლემა ისე მარტივი არ ჩანს, ჯარის გაყვანით რომ მოგვარდეს.

რუსეთს აშკარად უჭირს ჩეჩნეთი.

არმაზ სანებლიძე.

გვწერენ

კერძო აფთიაქში წამალი უფრო იაფად ვიყიდე

მრავალჯერ მსმენია, ჯიხურებში უფრო იაფად იყიდება წამლები, ვიდრე სახელმწიფო აფთიაქში. მართლაც ასე ყოფილა.

ამას წინათ, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, დიდუბის ბაზართან, აფთიაქში ვიყიდე ბავშვის პუდრი, თითო პაკეტში 60 თეთრი გადამახდევინეს. შემდეგ კერძო ჯიხურში ვიკითხე და ერთი ცალი პაკეტის ღირებულება 50 თეთრი აღმოჩნდა.

პენსია რომ საკმარისი მქონდეს და კაპიკები გამომძალონ, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ მცირე პენსიის მქონე, როგორ მოვიქცე?

დ. მღებრიშვილი,
დიდი სამამულო ომის
მონაწილე და შრომის
ვეტერანი.

გვიპასუხებენ

პროკურატურა გააკონტროლებს

რედაქციაში წალენჯიხიდან მოსული განცხადება, რომელიც მ. კვარაცხელიას მკვლელობის ფაქტს ეხებოდა, გადაეგზავნა საქართველოს პროკურატურას.

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე რევაზ ყიფიანი გვიპასუხებს:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, 1992 წლის 24 ივლისს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში, ლუგელას ხეობაში, აღმოაჩინეს მოქალაქე მ. კვარაცხელიას გვამი. ამ ფაქტის გამო, 26 ივლისს წალენჯიხის რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

გამოძიებით დადგენილია, რომ 1992 წლის 14 ივლისს, დაახლოებით 20 საათზე წალენჯიხის რაიონის პოლიციის შენობაში, რომელიც იმ პერიოდში მთლიანად დაკავებული ჰქონდათ საქართველოს შინაგანი ჯარის დანაყოფებს, წარდგენილი იქნა ამავე რაიონის სოფელ მიქავაში მცხოვრები მ. კვარაცხელია. მიყვანისთანავე იგი მოათავსეს დროებითი დაკავების საკანში, ხოლო გვიან ღამით. აიყვანეს დაკითხვაზე შენობის მეორე სართულზე. დაახლოებით 03 საათზე კვარაცხელია გაიყვანეს შენობიდან, რის შემდეგ იგი აღარავის უნახავს.

წალენჯიხის რაიონის პოლიციის განყოფილების შენობის იმ ოთახიდან, რომელშიც აიყვანეს მ. კვარაცხელია, ამოღებული იქნა უცხო საგანი, კედელს ეტყობოდა სისხლის მაგვარი მუქი ფერის მრავლობითი ლაქები.

თვით მ. კვარაცხელიას სხეულიდანაც ამოღებული იქნა ორი უცხო საგანი, რომელიც ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით მიეკუთვნებოდა 1943 წლის ნიმუშის, 7,62 მმ ყალიბის ტყვიას და გასროლილი უნდა იყოს კალაშნიკოვის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან.

საქმეს იძიებდა ჯერ წალენჯიხის რაიონის პროკურატურა, ხოლო შემდეგ გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატი. დაკითხულია მრავალი მოწმე, მითითებულ პერიოდში წალენჯიხის რაიონში დისლოცირებული შინაგანი ჯარის ჯარისკაცები, მაგრამ დამნაშავე პირები ვერ დაადგინეს, რის გამოც შეჩერდა წინასწარი გამოძიება.

საქმე მეტი ოპერატიულობისათვის კვლავ გადაეგზავნა წალენჯიხის რაიონის პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცა წერილობითი მითითება სათანადო ოპერატიული ღონისძიებების გატარებისა და დამნაშავე პირების დადგენის მიზნით.

საქმის გამოძიება აყვანილია საქართველოს პროკურატურის კონტროლზე.

ინფორმაცია



ყველა წინადადებას ვერ დავთანხმდებით

6 იანვარს სახელმწიფო მინისტრთან ნიკო ლეკიშვილთან ორი თათბირი გაიმართა.

პირველ თათბირზე განიხილეს სააქციო საზოგადოება „მაუდის“ კრიზისიდან გამოსვლის წინადადებები, შეიქმნა სარეაბილიტაციო ღონისძიებების შემმუშავებელი კომისია.

მეორე თათბირზე იმსჯელეს სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმში“ შექმნილ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე. კრიზისის დაძლევისათვის „ტასისის“ ექსპერტების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციით საამისოდ საჭიროა 32 მილიონი ამერიკული დოლარის რაოდენობის ინვესტიცია.

„ჭიათურმანგანუმში“ ინვესტირების სურვილი გამოთქვა ბელგია-გერმანიის ერთობლივმა კონსორციუმმა „ენიტელმა“, რომელმაც სანაცვლოდ სახელმწიფო გარანტია მოითხოვა.

ნიკო ლეკიშვილის განცხადებით, საქართველო დღეს აღარ არის იმ მდგომარეობაში, რომ დათანხმდეს ნებისმიერ შემოთავაზებულ წინადადებას. სახელმწიფო აღარ გასცემს გარანტიებს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მოქმედებს კანონი ინვესტიციების შესახებ, რომელიც მუშაობის საუკეთესო პირობებს უქმნის ნებისმიერ დაინტერესებულ ინვესტორს.

კონტრ-ადმირალის კომერციული საქმენი

სააგენტო იბერიის კორესპონდენტს საქართველოს სამხედრო პროკურატურიდან აცნობეს, რომ მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილი სარდალი, კონტრ-ადმირალი ალექსანდრე ჯავახიშვილი ეწეოდა კომერციულ საქმიანობას თანამდებობაზე ყოფნის დროს. კერძოდ, ფოთის პორტში სამხედრო და სამოქალაქო გემები იტვირთებოდა კომერციული საქონლით. ამჟამად სამხედრო პროკურატურა იძიებს, თუ რამდენად შეესაბამებოდა ეს საქმიანობა მოქმედ კანონს.

იაფ ნავთს ბენზინის სუნი არ ასდის

კერძო ავტოგასამართი სადგურების მუშაკთა კავშირის ინიციატივით გაფილტრული საავიაციო ნავთი თბილისის ათივე რაიონში სადღესასწაულო დღეებში იაფად — 1 ლიტრი 35 თეთრად იყიდება.

საქველმოქმედო აქციის მიზანია შეუქმნას თითოეულ ოჯახს საკუთარი ბიუჯეტის, მართალია, მცირე, მაგრამ მაინც გარკვეული ეკონომიკის შესაძლებლობა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა - საქინფორმმა, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

უკანასკნელ საათს

ტერორისტებმა სიმღერა შემოსძახეს

სანამ პერუს პრეზიდენტი არ შეარბილებს თავის პოზიციას, ჩვენ არც ერთ მძევალს არ გავათავისუფლებთ, განაცხადა ტუპაკამარუს რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენელმა ისაკ ველასკომ, რომელსაც სხვა ტერორისტებთან ერთად 17 დეკემბრიდან ჰყავს დატყვევებული ხალხი იაპონიის ელჩის ლიმის რეზიდენციაში. გუშინ წითელი ჯვრისა და ადგილობრივი სამღვდელოების წარმომადგენლებმა სცადეს დაეყოლიებინათ ტერორისტები ტყვეთა გათავისუფლებაზე, მაგრამ — უშედეგოდ.

ალყაშემორტყმული რეზიდენციიდან, სადაც ამარუს ბოევიკებს 74 კაცი ჰყავთ მძევლად აყვანილი, სიმღერები მოისმოდა — სრულიად უდანაშაულო ხალხის დამტყვევებელი ტერორისტები თავისუფლებას უმღეროდნენ.

განახლდა სასამართლო პროცესი

გუშინ ვილნიუსში განახლდა სასამართლო პროცესი „ლიტვის 13 იანვრის“ საქმის გამო. მთავარი ბრალდებულნი არიან ლიტვის კომპარტიის ცკ პირველი მდივანი მიკოლას ბუროკიავიჩიუსი და ცკ იდეოლოგიური განყოფილების გამგე იოზას იარმოლავიჩიუსი. ამ საქმის გამო განსასჯელთა სკამზე არის კიდევ ოთხი მათი თანამზრახველი.

განსასჯელებს ბრალად ედებათ ლიტვაში კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობის მცდელობა, ვილნიუსში 1991 წლის 13 იანვრის ამბების დროს „მასობრივ მკვლელობაში მონაწილეობა“.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

1997 წლის 6 იანვარი ქ. თბილისი

ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და რუანდაში ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევებისათვის პასუხისმგებელ პირთა სასამართლო დევნისათვის შექმნილ საერთაშორისო ტრიბუნალებთან საქართველოს აქტიური თანამშრომლობის უზრუნველყოფის შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ადასტურებს თავის მზადყოფნას აქტიურად ითანამშრომლოს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და რუანდაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევებისათვის პასუხისმგებელ პირთა სასამართლო დევნისათვის შექმნილ საერთაშორისო ტრიბუნალებთან და მათ ორგანოებთან, აგრეთვე აღნიშნულ დანაშაულთა, მათ შორის გენოციდის, ეთნიკური წმენდის, ადამიანურობის წინააღმდეგ სხვა სახის დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებელ პირთა დაკავებასა და დასჯასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა რეალიზაციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების, აღნიშნული საერთაშორისო ტრიბუნალების სტატუსების მოთხოვნების შესასრულებლად:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძე), შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე), საქართველოში ინტერპოლის ეროვნულმა ცენტრალურმა ბიურომ (გ. ალექსიძე), საქართველოს პროკურატურამ (ჯ. ბაბილაშვილი), საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი), სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ (შ. კვირაია) და აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ გენოციდის — ეთნიკური წმენდის პოლიტიკის ფაქტების დადგენისა და მასალების საერთაშორისო ტრიბუნალისათვის გადაცემის საქართველოს სახელმწიფო კომისიამ (ლ. ალექსიძე) ორ თვეში წარმოადგინონ რეკომენდაციები ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და რუანდაში ჩადენილი დანაშაულობებისათვის შექმნილ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალებთან და მათ ორგანოებთან საქართველოს აქტიური თანამშრომლობისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე, წინადადებანი საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67^1-ე მუხლში ეთნიკური წმენდის, როგორც გენოციდის ერთ-ერთი ფორმის, შეტანა და ამ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

2. ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№4. სამშაბათი, 7 იანვარი, 1997 წელი.

„საქართველოს ყველა მოქალაქეს მინდა მივულოცო შობის ბრწყინვალე დღესასწაული, ვუსურვო ყველა ოჯახს და მთლიანად საქართველოს ბედნიერება და სიხარული, გამთლიანება“

(დასასრული)

ბის მიუხედავად, 17 პროცენტით მეტი ბოსტნეული, ღვინის ქარხნებმა გადაამუშავეს 27 ათასი ტონით მეტი ყურძენი, ქვეყნის ფარგლებს გარეთ რეალიზებულია თითქმის 15 ათასი ტონა ჩაის მზა პროდუქცია. დაიწყო ჩაის კულტურის გადარჩენის პროცესი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა უალკოჰოლო სასმელების, ლუდის, შამპანურისა და კონიაკის, საკონდიტრო ნაწარმის, შაქრის, ხილბოსტნეულის კონსერვების, ყველისა და სხვა პროდუქტების წარმოებაც. იმათა პირუტყვის სულადობამ და საკმაოდ სერიოზულადაც, სამწუხაროდ, დაზუსტებული მონაცემები არ არსებობს, მაგრამ, ასე ვთქვათ, შეუიარაღებელი თვალითაც ძალიან კარგად ჩანს, რომ პირუტყვის სულადობა ქვეყანაში ფაქტობრივად გაორმაგდა. მე, რა თქმა უნდა, კერძო სექტორი მაქვს მხედველობაში.

ზრდის მაჩვენებლით ხასიათდება ეკონომიკის სხვა სექტორებიც.

შარშან მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა საავტომობილო გზებსა და მათი შესაბამისი ინფრასტრუქტურის ობიექტებზე. მოგეხსენებათ, რომ გასული წლის დამლევს ჩვენ დავამტკიცეთ გზების რეაბილიტაციის საპრეზიდენტო 4-5 — წლიანი პროგრამა და სამუშაოები უკვე გასულ წელს დაიწყო. ალბათ, ყველა მოქალაქე სარგებლობს მანქანით, ყველას აქვს საშუალება დარწმუნდეს, რომ ცენტრალური მაგისტრალები, ასე თუ ისე, შედარებით მოწესრიგდა.

ქვეყანაში ამჟამად, როგორც ტვირთბრუნვის, ისე მგზავრთგადაყვანის საერთო მოცულობის ნახევარზე მეტი საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის, სადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ეს მაჩვენებლები. გარკვეული წარმატებები, ზრდის თვალსაზრისით, აღინიშნება რკინიგზის ტრანსპორტზე; კაპიტალურ მშენებლობაში და სხვაგან.

მაღალი მაჩვენებლებით დაასრულეს წელიწადი მომსახურების სფეროს დარგებმა. წინასწარი მონაცემებით საქონელბრუნვის მაჩვენებელი 20 პროცენტით სჭარბობს ინდიკატური გეგმით გათვალისწინებულ პროგნოზს. მივმართავ რადიომსმენელებს, გთხოვთ, ყველაფერ ამას მიაქციოთ ყურადღება, რადგან ამ ციფრებით აისახება რეალური ცხოვრება. მოსახლეობის ფასიანი მომსახურების ზრდის ტემპი 160 პროცენტია. ეს ხომ თითიდან გამოწოვილი არ არის, ეს არის ზუსტი სტატისტიკა.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედი უნდა გახდეს 1997 წლის ბიუჯეტი, რომლის პროექტის შემუშავებასაც, როგორც ჩვენი, ისე საერთაშორისო ექსპერტების ხანგრძლივი და დაძაბული ერთობლივი შრომა დასჭირდა, რამაც, სამწუხაროდ, გააჭიანურა ეს პროცესი და არ მოხერხდა გასული წლის განმავლობაში ბიუჯეტის დამტკიცება. მაგრამ, დავამტკიცებთ, როგორც კი პარლამენტი განაახლებს მუშაობას. ვფიქრობ, რომ ბიუჯეტი იქნება სრულყოფილი, მართლაც ყოველმხრივ შეჯერებული. ჩვენი ბიუჯეტის ცალკეული ასპექტები არაერთგზის იყო განხილული მთავრობის სხდომებსა და პრეზიდენტთან სპეციალურად გამართულ თათბირებზე.

პროექტით მნიშვნელოვნად იზრდება საკუთარი საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები.

კერძოდ, თუ 1996 წლისათვის, წინასწარი შეფასებით, ეს შემოსავალი შეადგენს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 9,1 პროცენტს, წლეულს ნავარაუდევია ზრდა თერთმეტნახევარ პროცენტამდე. ეს ძალიან დიდი ზრდაა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტის საგანგებო საფინანსო პროგრამით გათვალისწინებული იქნება უფრო მაღალი პარამეტრები, რომელთა რეალიზაცია წლის განმავლობაში შესაძლებლობას მოგვცემს მოვახდინოთ საკუთარი შემოსავლის დონის კორექტირება მისი ზრდის თვალსაზრისით, და ბუნებრივია, შესაბამისად გაიზრდება გასავლის ნაწილიც, რომელიც, ძირითადად, მოსახლეობის სოციალურ დაცვას მოხმარდება.

გათვალისწინებულია სოციალური სფეროს დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა. ამასთან იცვლება ხარჯების სტრუქტურა, იზრდება მიზნობრივ დახმარებათა ხვედრითი წილი, შემოღებული იქნება ოჯახური დახმარებები, გათვალისწინებულია ხელფასების, პენსიების მატებაც.

და ეს ყველაფერი მოხდება იმის მიხედვით, თუ როგორ შევასრულებთ საბიუჯეტო მონაცემებს. ასეთი რთული ამოცანების დაძლევის საფუძველს ქმნის საგადასახადო სფეროში შარშან მიღწეული შედეგები.

კერძოდ, ერთხელ კიდევ მინდა გავიხსენოთ, რომ, საგადასახადო ინსპექციის მიერ 1996 წლის განმავლობაში მობილიზებულია 290 მილიონი ლარის შემოსავალი, რაც საპროგნოზო პარამეტრების დონეზეა და ამასთან თითქმის 2,2-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. არა მგონია, იყოს სხვა ქვეყანა, რომელსაც ტემპის თვალსაზრისით ასეთი მატება ჰქონდეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დეკემბერში მიღებული შემოსავლის მაქსიმალური დონე — წინასწარი მონაცემებით იგი 40 მილიონ ლარს აჭარბებს და 1994 წლის მთლიანი შემოსავლის ტოლია.

ასევე მაღალია საბაჟოდან მიღებული შემოსავალიც, რომელმაც დეკემბერში 10,5 მილიონ ლარს გადააჭარბა. სულ 1996 წლის დამდეგიდან მიღებულია 72 მილიონ ლარზე მეტი, რაც 8-ჯერ აღემატება წინა წლის შემოსავალს. ორივე სამსახურის კოლექტივებს მადლობას ვუცხადებ გაწეული მუშაობისათვის და იმისათვის, რომ მოცემული სიტყვა შეასრულეს.

აღსანიშნავია, რომ თამბაქოს ახალი წესით დაბეგვრის შედეგად მიღებული შემოსავალი (იცით, რომ ეს ჩვენ მოგვიანებით დავიწყეთ, სექტემბრის დამლევიდან) 7 მილიონ ლარს აჭარბებს. აქ კეთილი სიტყვა უნდა ითქვას ამ სფეროში მომუშავე ბიზნესმენების მიმართ. სურვილი მაქვს მათ შევხვდე ამ წლის დასაწყისში.

ამ და ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა სხვა დამატებითმა ღონისძიებებმა, კერძოდ, მსოფლიო ბანკის მიერ საკის სესხის მეორე ტრანშის გამოყოფის პროცედურული საკითხების გადაწყვეტის დაჩქარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საახალწლოდ მოსახლეობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფას საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელფასების, პენსიების, დახმარებების გაცემის თვალსაზრისით. საკის სესხის გამოყოფის ვადებთან დაკავშირებით ბიუჯეტის პარამეტრების დაზუსტება საერთაშორისო-საფინანსო ორგანოების რეკომენდაციით განხორციელდა, რადგან არ იყო მეორე ტრანშისა და ევროკავშირის დახმარების წლის დამლევამდე მიღებისა და გამოყენების გარანტია დროის თვალსაზრისით. ოპერაციის დაჩქარება მხოლოდ საგანგებო ღონისძიებით განხორციელდა პრეზიდენტის, მისი თანაშემწის, სხვებისა და სხვების საგანგებო ჩარევის შედეგად. სამწუხაროდ, ზოგიერთმა გაზეთმა და არა მარტო მათ, სხვებმაც ვერ გაიგეს რა მოხდა და ისიც კი ითქვა, რომ მთავრობამ პარლამენტს 30 მილიონი ლარის შემოსავალი დაუმალა. სინამდვილეში, კიდევ ვიმეორებ, თუკი ჩვენს ანგარიშზე ეს ტრანში მოხვდა გასული წლის დამლევს, ეს იყო იმის შედეგი, რომ მივიღეთ საგანგებო ზომები, რათა ეს თანხა დროულად გადმორიცხულიყო და დროულად გაგვესწორებინა ჩვენი დავალიანება მოსახლეობისათვის. ლაპარაკია პენსიებზე, ხელფასებზე, დახმარებებზე და ასე შემდეგ.

ასეთია კომენტარი, რომლითაც დღეს შემოვიფარგლები.

— ახალი წლის პირველ დღეს ბევრი ჩვენი თანამემამულე ძალიან მძიმე პირობებში შეხვდა. სტიქიამ მნიშვნელოვნად დააზარალა ქვეყნის ეკონომიკაც. რამდენად მზად აღმოჩნდნენ შესაბამისი სამსახურები, რა მოხდა?

— ჯერ ერთი, მინდა გითხრათ, რომ სტიქიამ ძალიან დიდი ზარალი მოგვაყენა — მიახლოებითი გამოანგარიშებით ზარალი 20-25 მილიონ ლარს აჭარბებს. დაიღუპა სამი ადამიანი. მსხვერპლი და ზარალი გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხარეო და ადგილობრივი ადმინისტრაციების, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ქვეგანაყოფების, საგზაო პოლიციის, საჰაერო და რკინიგზის ტრანსპორტის თანამშრომელთა თავგანწირული საქმიანობა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კონცერნი „საქავტოგზა“, მისი ხელმძღვანელი ბორის სარალიძე, დიდი დატვირთვით მოქმედებდნენ ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და ფოსტის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები, სხვები და სხვები. საგანგებო ღონისძიებათა კოორდინაციას ახორციელებდა მთავრობის ცენტრალური კომისია ბატონ ნიკო ლეკიშვილის ხელმძღვანელობით. საჭიროების შემთხვევაში სტიქიასთან ბრძოლაში გვეხმარებოდნენ თავდაცვის სამინისტროს, სასაზღვრო ჯარების ქვეგანაყოფები და მათი ხელმძღვანელები.

საქართველოში სტიქიასთან ბრძოლის სისტემა შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას მოითხოვს. ჯერ ერთი, უნდა გითხრათ, რომ არსებულმა სისტემამ, ასე თუ ისე, გაუძლო გამოცდას და ძირითადი პრობლემები მაინც მოგვარდა, მაგრამ, სრულყოფა აუცილებელია. მხედველობაში მაქვს როგორც ორგანიზაციული, ისე მატერიალურ-ტექნიკური მხარე. შეუძლებელია ჩვენს განსაკუთრებულ კლიმატურ პირობებში არ გვქონდეს ვერტმფრენების მძლავრი პარკი. იგივე ითქმის მძიმე საგზაო ტექნიკაზე. ახალ ბიუჯეტში ყოველმიზეზგარეშე უნდა გავითვალისწინოთ პრეზიდენტის საგანგებო ფონდი ყოველგვარი მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის. ასეთია გაკვეთილი, რომელიც, ასე ვთქვათ, სტიქიამ მოგვიტანა.

— რას ნიშნავს რუსეთ-საქართველოს სამთავრობო კომისიების ერთობლივი სხდომა, რა არის ეს, გარკვეული ტენდენცია, თუ გამონაკლისი და ერთეული შემთხვევა?

— რაც შეეხება ამ საკითხს, რუსეთ-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობათა ერთობლივი კომისიის სხდომა, რომელიც ამ დღეებში თბილისში გაიმართება, კარგი ტრადიციის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ ორი ქვეყნის ურთიერთობაში, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა კონფლიქტების მოწესრიგება, სამეურნეო და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება. ალბათ, სწორედ ეს იქნება ყურადღების ცენტრში. ამ სფეროებში უამრავი პრობლემა დაგროვდა. ვიცე-პრემიერი ბატონი სეროვი სერიოზული უფლებებით აღჭურვილი მოლაპარაკე. ბუნებრივია, ველოდებით, რომ გადაწყვეტილებებიც მნიშვნელოვანი იქნება მიღებული. თანასწორუფლებიანი, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობით ორივე ქვეყანაა დაინტერესებული. რუსეთ-საქართველოს ნაყოფიერ თანამშრომლობაზე კი რეგიონის კეთილდღეობაც ძალიან მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული, უფრო ზუსტ ინფორმაციას, რა თქმა უნდა, მოსახლეობას მივაწვდით ამ ერთობლივი კომისიის სხდომის დამთავრების შემდეგ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა რადიომსმენელს, საქართველოს ყველა მოქალაქეს მივულოცო შობის ბრწყინვალე დღესასწაული, ვუსურვო ყველა ოჯახს და მთლიანად საქართველოს ბედნიერება და სიხარული, გამთლიანება.

მეგობარი

ფოლადი გაიდრიკება, მაგრამ არ გატყდება

ნათქვამია, მეგობარი ჭირში გამოიცდებაო. აზერბაიჯანის რესპუბლიკის შამქორის რაიონის აღმასრულებელი ხელისუფლების 35 წლის მეთაური, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ახლან ახლანოვი ახალი წლის წინ აფხაზეთიდან ლტოლვილებს ესტუმრა. სასტუმრო „იველია“ კარტოფილით, კომბოსტოთი, ხახვით, ფქვილით, ფხვნილი შაქრით, თევზით, ხურმით, შოკოლადით, ასი ბავშვისთვის საახალწლო საჩუქრებით დატვირთული 2 სატვირთო ავტომანქანა მოადგა. ბავშვებმა მადლიერებით მიიღეს საჩუქრები.

10 წლის ვოხის შეუმჩნევლად მეორეც მიაწოდეს საჩუქარი.

— არა, — გმადლობთ, მე უკვე მიღებული მაქვს, ეს სხვისია...

გაჭირვებამ ხარბები არ გახადა ბავშვები. ეს რომ მოისმინა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ, პოეტებს ილიას თაფლიძეს, ვალერი პაპიევს და იმორ მამედოვს თემა შესთავაზა — ფოლადი გაიდრიკება, მაგრამ არ გატყდება.

ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარემ ჩარგიზა ციხელიანმა განაცხადა:

— არ შემიძლია სიტყვით გამოვთქვა მადლიერების ის გრძნობა, რაც ბატონ ახლან ახლანოვის ქველმოქმედებამ მოგვანიჭა. ჩვენ დავუბრუნდებით საკუთარ კერებს და სამაგიეროს გადავუხდით ახლანს და შამქორელებს. ლტოლვილების სურვილია ახლან ახლანოვი გახდეს აფხაზეთის საპატიო მოქალაქე. ეს დღე არც ისე შორსაა.

სახელდახელო საქველმოქმედო-საზეიმო შეხვედრას, რომელიც ორი მოძმე ხალხის მეგობრობის კიდევ ერთი გამოხატულება იყო, ესწრებოდა აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში პაშა პაშაევი.

მამედ ბიულმამედოვი.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 9 დეკემბერი ქ. თბილისი

სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღების შემოღების შესახებ

ძვირფასი ლითონების გამოყენებით დამზადებული საიუველირო და საყოფაცხოვრებო ნაწარმის, ნახევარფაბრიკატების, შენადნობებისა და ზოდების საქართველოში მოქმედი სინჯების დამადასტურებელი ახალი სახელმწიფო დამღების შემოღების, ამ ფასეულობების სახელმწიფოებრივი კონტროლის უზრუნველყოფისა და მომხმარებლისა და მწარმოებლის ინტერესების დაცვის მიზნით:

1. 1997 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს ძვირფასი ლითონების, მათი გამოყენებით დამზადებული ნაწარმის დასადამღავად სინჯის აღმნიშვნელი ახალი სახელმწიფო დამღები.

2. ამ ბრძანებულების პირველი პუნქტი სრულდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 24 აპრილის №465 დადგენილებით (მასში 1992 წლის 31 აგვისტოს №875 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დამტკიცებული დებულებით „სახელმწიფო სასინჯი ზედამხედველობის შესახებ“.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე):

— ამოიღოს ხმარებიდან ყოფილი სსრკ-ს დროინდელი სინჯის აღმნიშვნელი დამღები;

— განსაზღვროს ძვირფასი ლითონების, მათი გამოყენებით დამზადებული ნაწარმის დადამღვის საქმიანობასთან დაკავშირებული სამუშაოთა წარმოების წესები და სასინჯ გადასახდელთა ტარიფები;

— მოქალაქეთა მოთხოვნით მათი კუთვნილი სსრკ-ს დროინდელი ან ზოლოტნიკის სისტემის (რევოლუციამდელი) ნაკეთობების მეტრული სისტემის დამღით გადადამღვისას, აგრეთვე სსრკ-ს დროინდელი მეტრული სისტემის დამღის ანაბეჭდის აღდგენისას გაითვალისწინოს შეღავათები სასინჯი გადასახდელების განსაზღვრისას;

— 1998 წელს დაამთავროს აღნიშნული ინსპექციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაიარაღება;

— დასახოს კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა 1998-1999 წლებში სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის „ძვირფასი ლითონების ნაკეთობების კონტროლისა და მარკირების“ საერთაშორისო კონვენციასა და სხვა ანალოგიურ ორგანიზაციებში გაწევრიანების მიზნით;

— 1997 წლის მე-4 კვარტალში წარმოადგინოს მთავრობის განსახილველად კანონპროექტი „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მოამზადოს წინადადებანი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ იმ პირთა მიმართ, რომლებიც გააყალბებენ სინჯის აღმნიშვნელ დამღებს ძვირფას ლითონებსა და ამ ლითონებისაგან დამზადებულ ნაკეთობებზე, და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ან მათი შემცველი ნაკეთობების მიღების, ხარჯვის, აღრიცხვის, შენახვის დადგენილი წესების დარღვევის გამო არსებული სანქციების გამკაცრების შესახებ.

5. ყველა იურიდიული, ფიზიკური პირი, რომლებიც დაკავებული არიან ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების გამოყენებით, საიუველირო და საყოფაცხოვრებო ნაწარმის დამზადებითა და სხვა ოპერაციების წარმოებით, ვალდებული არიან გაატარონ სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რათა 1997 წლის 1 თებერვლიდან უზრუნველყონ აღნიშნულ ნაწარმზე საქართველოში მოქმედი სინჯების დაცვა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მასთან არსებულმა სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციამ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მეწარმეებს აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაში.

6. საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სტანდარტიზაციის შესაბამისი ტექნიკური კომიტეტის მეშვეობით 1997 წლის განმავლობაში ორგანიზაცია გაუწიონ ძვირფას ლითონებზე, ძვირფასი ლითონების შენადნობებსა და ძვირფასი ლითონების გამოყენებით დამზადებულ ნაწარმზე საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული ეროვნული სტანდარტების შემუშავებას.

7. ბრძანებულება გამოქვეყნდეს პრესაში.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

სოციალური (ოჯახური) დახმარების შესახებ

საქართველოს მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ნაწილის სოციალური დაცვისა და სახელმწიფო სახსრების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების მიზნით:

1. 1997 წლის 1 იანვრიდან შემოღებულ იქნეს ყოველთვიური სოციალური (ოჯახური) დახმარება.

2. სოციალური (ოჯახური) დახმარება დაუწესდეთ:

— არამომუშავე მარტოხელა პენსიონერების ოჯახებს;

— შრომისუუნარო წევრებისაგან შემდგარ ოჯახებს;

— ქალაქად მცხოვრები მხოლოდ უმუშევარი წევრებისაგან შემდგარ ოჯახებს.

3. სოციალური (ოჯახური) დახმარება განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

— არამომუშავე მარტოხელა პენსიონერის ოჯახისათვის — საქართველოში დადგენილი ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობით;

— შრომისუუნარო და ქალაქად მცხოვრები მხოლოდ უმუშევარი წევრებისაგან შემდგარი ოჯახისათვის, თითოეულ წევრზე:

ერთწევრიანი ოჯახისათვის — დაუბეგრავი მინიმუმის 100 პროცენტი;

ორწევრიანი ოჯახისათვის — დაუბეგრავი მინიმუმის 80 პროცენტი;

სამ-და მეტწევრიანი ოჯახისათვის — დაუბეგრავი მინიმუმის 60 პროცენტი.

სოციალური (ოჯახური) დახმარების ოდენობა იცვლება დაუბეგრავი მინიმუმის ცვალებადობის შესაბამისად.

4. სოციალური (ოჯახური) დახმარება და მის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები დაფინანსდეს ამ დანიშნულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში.

5. სოციალური (ოჯახური) დახმარება არ იბეგრება.

6. სოციალური (ოჯახური) დახმარება გასცენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებმა.

7. დამტკიცდეს თანდართული დებულება „სოციალური (ოჯახური) დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“

8. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად განახორციელოს ორგანიზაციული ღონისძიებების სოციალური (ოჯახური) დახმარების სისტემის დანერგვისათვის; გამოსცეს განმარტებები და ინსტრუქციები „სოციალური (ოჯახური) დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ დებულების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

9. სოციალური (ოჯახური) დახმარების შემოღებასთან დაკავშირებით, 1997 წლის 1 იანვრიდან შეწყდეს 16 (18) წლამდე ასაკის ბავშვებისა და მარტოხელა დედებისათვის (ბავშვებისათვის) დახმარების დანიშვნა-გაცემა.

10. ბრძანებულება გაშუქდეს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 4 იანვარი ქ. თბილისი

ჩვილ ბავშვთა კვების მართვადი სისტემის შექმნის შესახებ

1981 წელს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ასამბლეის მიერ მიღებული ქალის რძის შემცვლელთა მარკეტინგის საერთაშორისო კოდექსით გათვალისწინებული რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოში ჩვილ ბავშვთა ბუნებრივი კვებისთვის უპირატესობის მინიჭებისა და ბავშვთა კვების კონტროლის მართვადი სისტემის შექმნის მიზნით:

1. დამტკიცდეს ჩვილ ბავშვთა ბუნებრივი კვების, მეძუძურ დედათა დაცვისა და ხელოვნური საკვების კონტროლირებადი მოხმარების თანდართული ერთიანი სახელმწიფო პროგრამა.

2. დაევალოთ ჯანმრთელობის დაცვის სამსახურისა და განათლების დარგის მუშაკებს წაახალისონ ჩვილ ბავშვთა ბუნებრივი კვების პრაქტიკა, უზრუნველყონ მოსახლეობა სრული ინფორმაციით ხელოვნური კვების უარყოფითი შედეგებისა და მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების შესახებ.

3. საქართველოს სამედიცინო პროფილის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სავალდებულო სასწავლო პროგრამებში 1997 წლიდან შეტანილ იქნეს ჩვილ ბავშვთა ბუნებრივი კვების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისი სპეციალური სალექციო და პრაქტიკული კურსი.

4. ჩვილ ბავშვთა ხელოვნური საკვების შემოტანა ქვეყანაში განხორციელდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ხოლო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ა. ჯორბენაძე) განახორციელოს შემოტანილი ხელოვნური საკვების ხარისხის, განაწილებისა და მოხმარების ვადების დაცვის კონტროლი.

5. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ასამბლეის გადაწყვეტილების შესაბამისად აგვისტოს პირველი კვირა საქართველოში გამოცხადდეს „ჩვილ ბავშვთა კვირეულად“.

6. ეთხოვოს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციას საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე შემოიღოს რეგულარული გადაცემები, რომლებიც ჩვილი ბავშვის ბუნებრივი თუ ხელოვნური კვების პრობლემატიკას შეეხება.

7. ბრძანებულება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს ტელევიზიით.

ე. შევარდნაძე.

ჩვილ ბავშვთა ბუნებრივი კვების, მეძუძურ დედათა დაცვისა და ხელოვნური საკვების კონტროლირებადი მოხმარების ერთიანი სახელმწიფო პროგრამა

1. მიზანი და ამოცანები

1.1. მიზანი

ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება ძუძუთი კვების სიხშირისა და ხანგრძლივობის მომატების, მეძუძური დედის დაცვისა და 0-6 თვემდე ბავშვთა ხელოვნური კვების რეგულირების გზით.

1.2. ამოცანები

1.2.1. განხორციელდება ინიციატივა „ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საავადმყოფო“ საქართველოს დედათა და ბავშვთა პროფილის ყველა სამედიცინო დაწესებულებაში.

1.2.2. საქართველოს სამედიცინო პროფილის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სავალდებულო სასწავლო პროგრამაში ჩაირთვება სპეციალური სალექციო და პრაქტიკული ციკლი მხოლოდ ძუძუთი კვების შესახებ (ძუძუთი კვების ათი საფეხური).

1.2.3. დედებს გაეწევათ დახმარება მხოლოდ ძუძუთი კვებისა და ლაქტაციური ამენორეის საკითხებში ძუძუთი კვების მხარდამჭერი ჯგუფების, ახალგაზრდა დედებისა და ქალთა ასოციაციების მიერ.

1.2.4. შეიქმნება მეძუძურ დედათა დაცვისა და ქალის რძის შემცვლელთა მოხმარების რეგულირებადი სისტემა მარკეტინგის საერთაშორისო კოდექსის შესაბამისად.

2. სტრატეგია და განსახორციელებელი ღონისძიებები

2.1 სტრატეგია

ძუძუთი კვების მხარდაჭერის, მეძუძურ დედათა დაცვისა და ბავშვთა ხელოვნური კვების მოხმარების რეგულირების ერთიანი სისტემის შექმნა.

ღონისძიებები

2.1.1. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა, რომელშიც შევლენ დედათა და ბავშთა დაცვის, ბავშვთა კვებისა და სანიტარიული ზედამხედველობის სპეციალისტები.

2.1.2. ბავშვთა ხელოვნური კვების რეგულირების, მეძუძურ დედათა დაცვის ეროვნული პოლიტიკის შემუშავება და დამტკიცება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რეფორმების საბჭოს სხდომაზე.

2.1.3. მუშაობის საკოორდინაციო დოკუმენტაციის ერთიანი საინფორმაციო ცენტრის შექმნა.

2.2. სტრატეგია

ძუძუთი კვების შემდგომი მხარდაჭერისა და გავრცელების, მეძუძურ დედათა დაცვისა და ხელოვნური საკვები პროდუქტების მოხმარების რეგულირებისათვის სათანადო საკანონმდებლო აქტების შემუშავება და დამტკიცება.

ღონისძიებები

2.2.1. ქალის რძის შემცვლელთა მარკეტინგის საერთაშორისო კოდექსის თანახმად საქართველოს ჯანრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით, დაინტერესებული ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციის მონაწილეობით მუდმივმოქმედი კომისიის შექმნა.

2.2.2. ახალშობილთა, ჩვილ ბავშთა, ორსულთა და მეძუძურ დედათა კვების ახალი ინსტრუქციების შემუშავება.

2.2.3. ქალის რძის შემცვლელთა შემოტანის, ხარისხისა და მოხმარების ვადების კონტროლის შესაბამისი ინსტრუქციების შემუშავება.

2.2.4. ჩვილ ბავშვთა ხელოვნური კვების გამანაწილებელი პუნქტების შექმნისა და ბავშვთა საკვები პროდუქტებით მოვაჭრე დაწესებულებებისადმი მოთხოვნების სათანადო ნორმატიული აქტების შემუშავება.

2.2.5. პროგრამის სხვადასხვა პუნქტის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაბამის ბრძანებათა მომზადება, დამტკიცება და გავრცელება.

2.2.6. ლაქტაციის მართვის კლინიკის წესდების შემუშავება და დამტკიცება.

2.3. სტრატეგია

ძუძუთი კვების პროგრამით მედმუშაკთა სწავლების ერთიანი და მუდმივი ქსელის მუშაობის შემდგომი სრულყოფა.

2.4. სტრატეგია

ძუძუთი კვების პოპულარიზაცია და მოსახლეობის ინფორმირების დონის ამაღლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით.

2.5. სტრატეგია

მეძუძურ დედათა დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის შექმნა.

ღონისძიებები

2.5.1. ქალთა დეკრეტული შვებულების სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.

2.5.2. მომუშავე მეძუძურ დედათა დაცვის საკანონმდებლო აქტების შემუშავება, კერძოდ, შემოკლებული სამუშაო დღის, მუშაობის მცოცავი გრაფიკის შექმნა, სასწავლებლებში, საწარმოებსა და სხვა დაწესებულებებში „მეძუძური ქალის ოთახის“ ორგანიზაცია და სხვ.

2.5.3. ძუძუთი კვების მხარდამჭერი ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძოდ „დედები დედების დასახმარებლად“ ორგანიზაციის, მუშაობის ხელშეწყობა და კოორდინაცია.

2.5.4. საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა დახმარების ორიენტირება მეძუძურ ქალთა დახმარებაზე.

2.5.5. მეძუძური დედის პრესტიჟის ამაღლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით.

2.6. სტრატეგია

ქალის რძის შემცვლელთა შემოტანის, ხარისხისა და მოხმარების ვადების კონტროლის მართვადი სისტემის შექმნა.

ღონისძიებები

2.6.1. ჩვილ ბავშთა ხელოვნური საკვების შემოტანისა და მისი რეალიზაციის კონტროლის განხორციელება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

2.6.2. საქართველოში განთავსებულ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან კავშირურთიერთობის დამყარება მუშაობის კოორდინაციის მიზნით.

2.6.3. ჩვილ ბავშთა ხელოვნური საკვები პროდუქტების მომარაგების პროგრამის ყოველწლიური შედგენა ძუძუთი კვების ეროვნული კომიტეტის მიერ რეგიონალური სამედიცინო ცენტრების მონაცემების გათვალისწინებით და მისი წარდგენა სათანადო სამთავრობო სტრუქტურებში.

2.6.4. ჩვილ ბავშვთა ხელოვნური საკვების პროდუქტების რეალიზაცია სპეციალიზებულ პუნქტებში (აფთიაქებში) ან სპეციალურ სავაჭრო ობიექტებში ინდივიდუალური მოთხოვნის წესით.

2.6.5. ჩვილ ბავშვთა ხელოვნური საკვები პროდუქტების შემოტანის, რეალიზაციისა და გავრცელების საინფორმაციო ბანკის შექმნა.

2.7. სტრატეგია

ძუძუთი კვების ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში ქალთა კონსულტაციების, სამშობიარო სახლებისა და პოლიკლინიკების ექიმთა კონტიგენტის ჩაბმა.

2.8. სტრატეგია

სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განხორციელება.

3. პროგრამის მართვასა და შესრულების მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო თავისი ფუნქციური და რეგიონალური სამსახურების, აგრეთვე საქართველოს ჯამნრთელობის დაცვის სამინისტროს ძუძუთი კვების ეროვნული კომიტეტის მეშვეობით.

ოფიციალური ინფორმაცია

გამოიყო დამატებითი ასიგნებები

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაკმაყოფილდა საქართველოს კულტურის სამინისტროს თხოვნა და ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოუყოს კულტურის სამინისტროს 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი დრამატურგების, კომპოზიტორების, მხატვრებისა და ჟურნალ „ხელოვნების“ ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის.

* * *

საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც დაკმაყოფილდა საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აღორძინების“ და საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თხოვნა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს 1996 წლის ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო სარეზერვო ფონდიდან აჭარაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და სხვა რაიონებში ჩასახლებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოების შესასრულებლად ერთჯერადი დახმარების სახით გამოუყოს ახალქალაქის რაიონის გამგეობას 19,3 ათასი ლარი, გარდაბნის რაიონის გამგეობას — 3,8 ათასი ლარი, მარნეულის რაიონის გამგეობას — 12 ათასი ლარი, ბოლნისის რაიონის გამგეობას — 2,4 ათასი ლარი, საგარეჯოს რაიონის გამგეობას — 0,5 ათასი ლარი, ხონის რაიონის გამგეობას — 12 ათასი ლარი, სულ — 50 (ორმოცდაათი) ათასი ლარი.

დამტკიცდა საავტომობილო გზების განსაზღვრის მაჩვენებლები და ნუსხა

საავტომობილო გზების ქსელის განვითარების დაგეგმვის, მათი მშენებლობის, შეკეთებისა და შენახვისათვის გათვალისწინებული სახსრების უკეთ გამოყენების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განსაზღვრის მაჩვენებლები და საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხა.

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ გადასინჯონ და სამ თვეში დაამტკიცონ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხა დამტკიცებული მაჩვენებლების გათვალისწინებით.

ძალადაკარგულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 4 მაისის № 527 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო გზების კლასიფიკაციის შესახებ“.

შეიქმნა მიწის ნაკვეთის გამოყოფის კანონიერების შემსწავლელი კომისია

ავსტრიის ფირმა „აბე“-სა და საქართველოს ფირმა „დერიგას“ ერთობლივ საწარმო „განთიადისათვის“ მუხათგვერდის მეურნეობიდან მიწის ფართობის გამოყოფის კანონიერების შესწავლის მიზნით საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით შეიქმნა მცხეთის რაიონის მეურნეობიდან შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „განთიადისათვის“ მიწის ნაკვეთის გამოყოფის კანონიერების შემსწავლელი კომისია მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მურთაზ ვეკუაშვილის თავმჯდომარეობით.

საქინფორმი.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1997 წლის 2 იანვარი ქ. თბილისი

ბავშვთა და მოზარდთა სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღებისა და შემეცნებით-შემოქმედებითი დასვენების პროგრამის — „საქართველოს მომავალი" — 2000 წლამდე განხორციელების ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის, ჩვენს საზოგადოებაში ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპზე მომავალი თაობისათვის განსაკუთრებული ზრუნვა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 1 ივლისის № 431 ბრძანებულებით დამტკიცდა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანთა, განსაკუთრებით დევნილთა, უმეთვალყურეოდ დარჩენილ მოზარდთა შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას, მათი პროფესიული მომზადებისა და სოციალური ადაპტაციის სისტემის შემუშავებას.

პროგრამის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ სამინისტროები, უწყებები და აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა აქტიურობასა და სურვილს, რომ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანათა გადაწყვეტაში, ყოველმხრივი წახალისება ესაჭიროება.

მხარდასაჭერია საქართველოს ბავშვთა ფედერაციის ინიციატივა ბავშვთა და მოზარდთა სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღებისა და შემეცნებით-შემოქმედებითი დასვენების პროგრამის ფართომასშტაბიან და გრძელვადიან პროგრამად ჩამოყალიბების შესახებ.

საკითხის აქტუალურობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 27 ნოემბრის № 1 და 1996 წლის 30 აპრილის № 123 განკარგულებებითა და 1996 წლის 1 ივლისის № 431 ბრძანებულებით დამტკიცებული პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ბავშვთა ფედერაციისა და სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განყოფილების წინადადება მოსწავლეთა სასკოლო არდადეგების პერიოდში ბავშვთა და მოზარდთა სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღებისა და შემეცნებით-შემოქმედებითი დასვენების სხვადასხვა პროგრამის („XXI საუკუნის ლიდერები", „იმედი", „მომავლის ოლიმპიელები" „ურეკი — მომავლის ქალაქი", „ბროლის ნაძვი", „მცირე აკადემია"; „ახალი სახელები") ერთიან გრძელვადიან პროგრამად ჩამოყალიბებისა და განხორციელების შესახებ.

2. დამტკიცდეს ბავშვთა და მოზარდთა სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღებისა და შემეცნებით-შემოქმედებითი დასვენების თანდართული პროგრამა — „საქართველოს მომავალი".

3. პროგრამა განახორციელოს საქართველოს ბავშვთა ფედერაციამ (ქ. გილაშვილი), საქართველოს განათლების სამინისტროსთან (თ. კვაჭანტირაძე) და სახელმწიფო კანცელარიასთან (ზ. შენგელია) თანამშრომლობით და უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ქალაქებსა და რაიონებში გამართვის საერთო კოორდინაცია, მონაწილე ბავშვთა კონტინგენტის შერჩევა.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გამართვის ხარჯების ნაწილს გაიღებს ორგანიზატორი — საქართველოს ბავშვთა ფედერაცია.

5. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა (ო. ხუფენია) პენსია-დახმარებების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით მონაწილეობა მიიღოს პროგრამის განხორციელებაში წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

6. საქართველოს განათლების სამინისტრომ (თ. კვაჭანტირაძე), საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი), შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე), ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ა. ჯორბენაძე), კულტურის სამინისტრომ (ვ. ასათიანი), სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ (თ. გაზდელიანი), ტრანსპორტის სამინისტრომ (მ. ადეიშვილი), კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ (ფ. ინჯია), სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ (დ. ზუბიტაშვილი), ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა (ნ. ნიკოლოზიშვილი), სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა (კ. ასათიანი), სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, სახელმწიფო კანცელარიის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურმა (ზ. ხატიძე), აგრეთვე სამხარეო ადმინისტრაციების, ქალაქების მერიებისა და რაიონული გამგეობების ხელმძღვანელებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას.

7. წინადადება მიეცეთ დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საქმიან წრეებს მონაწილეობა მიიღონ პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გამართვაში.

8. ეთხოვოს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციას (ა. გოგელია), საქართველოს საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციას („საქინფორმი") (ვ. აბაშიძე), აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს სათანადოდ გააშუქონ პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მომზადება და მიმდინარეობა.

9. ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალოს მთავარ სახელმწიფო მრჩეველს, სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განყოფილების უფროსს კობა იმედაშვილს.

ე. შევარდნაძე.

ბავშვთა და მოზარდთა სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღებისა და შემეცნებით-შემოქმედებითი დასვენების პროგრამა
„საქართველოს მომავალი"

(1997 – 2000 წ. წ.)

შესავალი

საქართველოს ცხოვრებაში მომხდარმა დადებითმა ცვლილებებმა ბიძგი მისცა ბავშვთა აღზრდისა და განვითარების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებისა და ეფექტიანი საშუალებების მოძიების ღონისძიებებს.

დღეს, როცა სულ უფრო ძლიერდება ჰუმანიზაციის ტენდენცია, ბავშვს, მოზარდს აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ ნაკარნახევი იდეის შემსრულებლის ფუნქციები; ცდილობს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ მოქმედების, მოღვაწეობის არჩევაში. მისი ასეთი აქტიურობა მიზნულად უნდა იქნეს პიროვნების თვითრეალიზაციის, მისი ინდივიდუალობის, პოტენციური შესაძლებლობების, ძლიერი მხარეებისა და თვისებების გამოვლენის პირობად.

ბავშვთა და მოზარდთა აქტიურობას ყოველმხრივი წახალისება ესაჭიროება, ხოლო მათ ენერგიას — სწორი კალაპოტით წარმართვა. ამ ამოცანის განხორციელებას ითვალისწინებს ბავშვთა და მოზარდთა სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღებისა და შემეცნებით-შემოქმედებითი ერთიანი გრძელვადიანი პროგრამა „საქართველოს მომავალი".

პროგრამა ეყრდნობა „ბავშვის უფლებათა კონვენციას" (1989 წ.), „ბავშვის გადარჩენის, დაცვისა და განვითარების უზრუნველყოფის საყოველთაო დეკლარაციას" (1990 წ.), შესაბამის საერთაშორისო პაქტებსა და სხვა დოკუმენტებს. იგი აგებულია იმ ძირითად დებულებებზე, რომელთა განუხრელი დაცვა ჩვენი ქვეყნისა და საერთოდ კაცობრიობის მომავლის გადარჩენის მთავარი საშუალებაა.

პროგრამის ძირითადი იდეა სრულად შეესაბამება 1990 წლის 30 სექტემბერს ბავშვთა დაცვის პირველ მსოფლიო ფორუმზე 71 სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მიერ მიღებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას — 2000 წლამდე უზრუნველყონ ბავშვთა ფიზიკური და გონებრივი განვითარების საფუძვლიანი დაცვა („ბავშვთა გადარჩენის, დაცვისა და განვითარების უზრუნველყოფის საყოველთაო დეკლარაცია").

წარმოდგენილ პროგრამაში წინა პლანზეა წამოწეული თავისუფლების, ღირსების გაფრთხილებისა და სამართლიანობის პირობებში ბავშვის, მოზარდის პიროვნულობის, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების, ინდივიდუალური პოტენციალის ყოველმხრივი განვითარება, რაც სამომავლო თავისუფალ საზოგადოებაში გაცნობიერებულად ცხოვრებისათვის მისი მზადყოფნის წინაპირობაა. ამდენად, პროგრამა ლოგიკური შემადგენელი ნაწილია ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სახელმწიფო პოლიტიკისა, რომელმაც საზოგადოების განსაკუთრებული ზრუნვის პრიორიტეტად ბავშვი და მოზარდი გამოაცხადა. 1996 წელს საქართველოს ბავშვთა ფედერაციის მიერ მომზადებული საქართველოს განათლების სამინისტროსთან, საქართველოს პრეზიდენტის აპარატთან და სხვა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთობლივად განხორციელებული პროგრამების — „XXI საუკუნის ახალი სახელები" (საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 27 ნოემბრის განკარგულება № 1, 1996 წლის 5-15 იანვარი, ბორჯომ-ბაკურიანი) და „ურეკი — მომავლის ქალაქი" (საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 30 აპრილის № 123 განკარგულება, 1996 წლის ივნის-ივლისი, ურეკი) — ანალიზით დასტურდება, რომ აბსოლუტურად ამართლებს მასობრივი საყმაწვილო შემეცნებით-შემოქმედებითი საქმიანობისა და აქტიური დასვენება-გაჯანსაღების იდეას — მოზარდთა ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური განვითარების წინა პლანზე წამოწევა. აქვე წარმოჩინდა სამთავრობო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა მჭიდრო და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა, რაც სრულად შეესაბამება სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების პოლიტიკურ კურსს.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 1 ივლისის № 431 ბრძანებულებით დამტკიცდა „არასრულწლოვანების სოციალური დაცვის, პროფესიული მომზადებისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა". იგი ითვალისწინებს არასრულწლოვანთა, განსაკუთრებით დევნილთა, ობოლთა და უმეთვალყურეოდ დარჩენილ მოზარდთა, პრობლემატიკის მეცნიერულ კვლევას, მათი პროფესიული ორიენტაციის, მომზადებისა და სოციალური ადაპტაციის სისტემის შემუშავებას. პროგრამის — „საქართველოს მომავალი" — განხორციელების მეთოდები მისადაგებულია აღნიშნული ბრძანებულების იმ პუნქტებთან, რომლებშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხატვრულ შემოქმედებაში, სპორტსა და შემეცნებით-შემოქმედებით ცხოვრებაში ბავშვებისა და მოზარდების, მეტადრე მშობლების მზრუნველობას მოკლებული და უმეთვალყურეოდ დარჩენილი არასრულწლოვნების, აქტიური ჩაბმისათვის შესაბამისი პირობების შექმნას, კერძოდ, მათი უფლებების დაცვისა და ინტერესების გათვალისწინებით სპორტულ-გამაჯანსაღებელი, შემეცნებით-შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული დასვენების ერთიანი პროგრამის შემუშავებას, რომელიც გულისხმობს მოზარდთა თავისუფალი დროის გონივრულ ორგანიზებას, 1996-1999 წლებში პროფილური ბანაკების შექმნას, არსებული გამაჯანსაღებელი ცენტრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესებას და მათ ჩართვას უკვე აპრობირებულ პროგრამებში, შესაბამისი კადრების (მათ შორის „სოციალური მუშაკის") შერჩევასა და მომზადებას. ყოველივე ეს კი განხორციელდება ამ ბრძანებულების III თავის („მოზარდთა მხატვრულ შემოქმედებასა და სპორტში ჩართვა") მე-3 პუნქტისა: „მოზარდთა ინტერესების გათვალისწინებით შეიქმნას პროფილური ბანაკები. ორგანიზაცია გაეწიოს უმეთვალყურეოდ დარჩენილ მოზარდთა მონაწილეობას არსებულ პროგრამებში: „XXI საუკუნის ახალი სახელები", „ურეკი — ბავშვთა ქალაქი" და სხვ.

მიგვაჩნია, რომ ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს პროგრამის — „საქართველოს მომავალი" — ფართომასშტაბიან და გრძელვადიან ერთიან სახელმწიფო პროგრამად ჩამოყალიბების აუცილებლობას, ხოლო მისი მაღალორგანიზებულ დონეზე განხორციელება ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა იქნება იმისა, რომ მესამე ათასწლეულს შევხვდეთ წელგამართულნი და ვაღმოხდილნი.

პროგრამის განხორციელების მეთოდოლოგიური საფუძვლები

პროგრამის მიზნები და ამოცანები ხორცს ისხამენ კონკრეტული შინაარსის საშუალებით, რომელშიც მონაწილეობის შედეგად ბავშვი, მოზარდი იძენს ახალ ცოდნას, ჩვევებს, სხვადასხვა ასაკისა და ინტერესების მქონე ადამიანებთან ურთიერთობის უნარს. პროგრამაში პრიორიტეტულადაა წარმოდგენილი ბავშვის ინტერესთა სფერო, მისი მოთხოვნილებები და მისწრაფებები, გათვალისწინებულია მისი სურვილი; შესაძლებლობა ეძლევა შეასრულოს „მოსწავლის პოზიციისაგან" არსებითად განსხვავებული „ახალი როლი"; დიდი ყურადღება ექცევა საინტერესო ადამიანებთან, პროფესიონალებთან ურთიერთობებს, პროგრამით გათვალისწინებულია მათთან ერთობლივი საქმიანობისათვის, საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციის მიღებისათვის, საკუთარი უნარ-ჩვევების, ჩანაფიქრის, იდეების განხორციელებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

პროგრამა აგებულია ერთიანი პროცესის სამი ურთიერთდაკავშირებული რგოლის შეთანხმებულ მუშაობაზე:

ბავშვები და მოზარდები:

— მოქმედებენ მზა ნიმუშის მიხედვით, უფროსების დახმარებით. ბაძავენ მათ მოქმედებას;

— დამოუკიდებლად ასრულებენ მთელ სამუშაოს ან მის ნაწილს. პოულობენ მისი განხორციელების განსხვავებულ მეთოდებს, ავლენენ თვითშემოქმედების უნარს;

— ცდილობენ თანატოლებს, უმცროსი ასაკის მოზარდებს უწილადონ საკუთარი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ხშირად თვითონვე გვევლინებიან მასწავლებლების როლში.

პროგრამის ძირითადი ფუნქციებია

1. განტვირთვა და აღდგენა — აქტიური დასვენება ბავშვს საშუალებას აძლევს განიტვირთოს სასწავლო პერიოდში დაგროვილი დაძაბულობისაგან, აღადგინოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალები, გააკაჟოს ორგანიზმი;

2. გართობა და ჰობი — მრავალფეროვანი საკლუბო სივრცეების შექმნა, მოზარდთა ინტერესებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით;

3. პროფესიულ-საგანმანათლებლო კომპენსაცია — განსაზღვრული პროფესიული განათლების მიღების სტიმულირება, სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის გარდა დამატებითი ინფორმაციის მიღება, ახალი უნარ-ჩვევების დაუფლება;

4. თვითგანვითარება და თვითრეალიზაცია — საკუთარი თავის შეცნობა, მოქმედების მიზნის განსაზღვრა, მიღწეული შედეგების შეფასება, მოზარდის ინდივიდუალობისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება და საბოლოო ჯამში მისი თვითდამკვიდრებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა განსაზღვრავს პროგრამის ძირითად არსს.

დაფინანსების სავარაუდო წყაროები

— საქართველოს ბავშვთა ფედერაციის სახსრები;

— პროგრამის მონაწილე დაინტერესებული ორგანიზაციებისა და უწყებების სახსრები;

— სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ დაფუძნებული სახელმწიფო სახაზინო საწარმოებისაგან მოზიდული სახსრები;

— საქართველოს ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები;

— სახელმწიფო და არასახელმწიფო ფონდები;

— პროგრამის ცალკეული მიმართულებების შესაბამისად კონკურსის წესით მიღებული გრანტები;

— უცხოეთის ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი სახსრები;

— კერძო შემოწირულობანი.

ბავშვთა და მოზარდთა სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღებისა და შემეცნებით-შემოქმედებითი ერთიანი გრძელვადიანი პროგრამა „საქართველოს მომავალი"

შედგება შემდეგი

პროგრამებისაგან:

„იმედი"
„მომავლის ლიდერები"
„დედამიწის ზეიმი"
„ახალი ტალანტები"
„მცირე აკადემია"
„სხივი"
„მომავლის ოლიმპიელები"
„მომავლის ქალაქი"
„ცისკრის ვარსკვლავი"
„საბავშვო გულმოწყალების ორდენი"
„შევარდენი".

„იმედი"

კონფლიქტურ ზონებში მოყოლილი, ფსიქოლოგიურად განსაკუთრებით ტრავმირებული, იძულებით ადგილნაცვალი, ობოლი, მშობლების მზრუნველობას მოკლებული, ინვალიდი და სოციალურად დაუცველი სხვა ჯგუფის (მათ შორის, თბილისის ტრაგიკული მოვლენების პერიოდში დაზარალებული ოჯახების, საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების შვილების) ბავშვების მორალურ-ფსიქოლოგიური და სამედიცინო რეაბილიტაციისა და კულტურულ-ინტელექტუალური განვითარების ხელშემწყობი პროგრამა ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას თითოეული მოზარდისადმი; აქტიურ მუშაობას მათში „დათრგუნვილობისა" და „არასრულფასოვნების" კომპლექსის მოსახსნელად; საკუთარი ნიჭისა და უნარის, ფარული შესაძლებლობების გამოვლენისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას.

პროგრამა ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში და შედგება როგორც ცალკეული, ერთჯერადი და მრავალჯერადი აქციებისაგან, როგორიცაა საქველმოქმედო კონცერტები, მარათონები, ჰუმანიტარული დახმარების გაწევა, ისე გრძელვადიანი და ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისაგან: სასწავლო და სამეცნიერო-შემოქმედებით პროგრამებში, კულტურულ-მასობრივ და შემეცნებით-გასართობ ღონისძიებებში (ტრენინგები, სემინარები, ინტელექტუალური თამაშები, მხატვრული და ტექნიკური შემოქმედების სტუდიები და წრეები, კონცერტები და ფესტივალები, ოლიმპიადები და კონფერენციები) აქტიური მონაწილეობა, როგორც საერთო, ისე კონკრეტულ ჯგუფთან მისადაგებული აღზრდა-განვითარებისა და გაჯანსაღების სპეციფიკური პროგრამების განხორციელება.

„იმედი" აგრეთვე ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნული კონტინგენტის სამედიცინო და ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციასა და აქტიურ შემეცნებით დასვენებას საქართველოს სხვადასხვა საკურორტო ზონაში. პროგრამის აპრობაცია მოხდა 1996 წელს ბაკურიანსა (5-15 იანვარი) და ურეკში (ივნისი-ივლისი).

„მომავლის ლიდერები"

პროგრამა ითვალისწინებს დაინტერესებულ მოზარდთა მომზადებას სახელმწიფოს მომავალ მართვა-გამგებლობაში აქტიური, გონივრული და პროფესიული მონაწილეობისათვის: ნორჩ პარლამენტართა, იურისტთა, ეკონომისტთა, ბიზნესისა და მარკეტინგის მომავალ სპეციალისტთა, მასმედიის ნორჩ წარმომადგენელთა თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის აუცილებელი შეხვედრა-სემინარების, დისპუტების, სიტუაციურ მოდელირებაზე აგებული ინტელექტუალური და საქმიანი თამაშების ორგანიზებას. პროგრამის მიზანია მოზარდებს შორის საკუთარი თავისადმი რწმენის განვითარება, ღირსების დაცვა, სხვისი პიროვნულობისა და განსხვავებული აზრის პატივისცემა, სხვადასხვა ასაკისა და ინტერესის მქონე ადამიანებთან ურთიერთობის კულტურისა და საკუთარი აზრის გამოხატვის სწორი ფორმის შემუშავება, სწორი პროფესიული არჩევანის მოხდენა, სამოქალაქო საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ფორმირება.

აღსანიშნავია, რომ „მომავლის ლიდერების" იდეამ გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, რითაც აიხსნება ადგილებზე „ნორჩი პარლამენტის" ანალოგიური საყმაწვილო გაერთიანებების შექმნა.

„დედამიწის ზეიმი"

პროგრამა ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. იგი მიზნად ისახავს ბავშვთა შორის საბუნებისმეტყველო-ეკოლოგიური განათლების პროპაგანდასა და გარემოს დაცვითი მოძრაობის გაშლას ქვეყნის ყველა რეგიონში.

მისი მოქმედების ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

მოზარდი თაობისათვის გარემო პირობებში სწორი ქცევის ჩვევების ჩანერგვა; სასიცოცხლო ძალთა მობილიზება, ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირება; ისეთი ადამიანის აღზრდა, რომელიც შეძლებს ბუნებასთან ჰარმონიულ ურთიერთობას.

პროგრამის განხორციელების ფორმები და მეთოდებია:

— ბუნებათსარგებლობის თეორიული საფუძვლების შესწავლა და პრაქტიკული გამოყენება;

— ექსპედიციებისა და ეკოლოგიური ბანაკების ორგანიზება.

— საბუნებისმეტყველო-ეკოლოგიური ოლიმპიადების, ვიქტორინების, დისპუტების მოწყობა;

— თავისუფალი აზროვნების განვითარება;

— გარემოსდაცვით აქციებში მონაწილეობა;

— განსაკუთრებულად დაცული ტერიტორიების (ნაკრძალების, აღკვეთილების, ეროვნული პარკების) ექსკურსიების მოწყობა;

— სამშობლოს, მშობლიური კუთხის, მხარის ისტორიის, კულტურისა და ეროვნული ტრადიციების, ფოლკლორის, ხელოვნების ნიმუშების შესწავლა, რომლებიც უშუალო კავშირშია ბუნებასთან, მისი სიმდიდრის გონივრულ გამოყენებასთან, ბუნებაში ქცევის ნორმებთან.

პროგრამის ეფექტიანი კოორდინაციის მიზნით გათვალისწინებულია დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად (განათლების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროები, მეცნიერებათა აკადემია, პროფილური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები) მოსწავლეთა საბუნებისმეტყველო-ეკოლოგიური განათლებისა და აღზრდის ცენტრის შექმნა.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საყმაწვილო მოძრაობის — „თავისუფლება ეკოლოგიური აუცილებლობის ფარგლებში" — და ეკოლოგიური თამაშის — „ჩემი პლანეტის უფლებები გალაქტიკაში" — ორგანიზება.

„ახალი ტალანტები"

პროგრამის მიზანია ნორჩი ტალანტების გამოვლენა ხელოვნების სხვადასხვა სფეროში; მათი ნიჭისა და უნარის განვითარების ხელშეწყობა; ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციების ფართო პროპაგანდა და გაცნობა-შესწავლა.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ყოველწლიური საერთაშორისო საბავშვო მუსიკალური ფესტივალის — „ბროლის ნაძვის" მოწყობა ბორჯომის ხეობაში. მისი ორგანიზატორები არიან საქართველოს ბავშვთა ფედერაცია და საქართველოს განათლების სამინისტრო. იმართება 1994 წლიდან. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი საბავშვო-მუსიკალური ღონისძიება მთელ კავკასიის რეგიონში. ფესტივალი დადებით გავლენას ახდენს თანამედროვე ქართული საყმაწვილო სამუსიკო ხელოვნების განვითარებაზე; ხელს უწყობს განსაკუთრებული ვოკალური მონაცემების მქონე მოზარდების გამოვლენას; ეხმარება მათ ეზიარონ ჭეშმარიტ ხელოვნებას, შეითვისონ მუსიკალურ-კულტურული ტრადიციები, ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად; სტიმულს აძლევს კომპოზიტორებსა და პოეტებს მაღალი დონის საბავშვო სიმღერების შექმნაში; ხელს უწყობს ბავშვებსა და პედაგოგებს შორის მეგობრული, ჰუმანური და შემოქმედებითი ურთიერთობების განვითარებას, ქართველი და სხვადასხვა ეროვნების ბავშვების დამეგობრებას. არასაკონკურსო პროგრამის ფარგლებში იმართება ფოლკლორული სიმღერის საჩვენებელი კონცერტები. ფესტივალი მიზნობრივად ეწყობა სამცხე-ჯავახეთში, იმ მხარეში, რომელიც ოდითგანვე ცნობილი იყო უმდიდრესი ეროვნული ტრადიციებით, და დადებით გავლენას ახდენს ამ კუთხის კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებაზე.

პროგრამის ფარგლებში ეწყობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების ყოველწლიური შეკრება ზამთრისა (ბორჯომი) და ზაფხულის (ურეკი) არდადეგების პერიოდში: ბავშვები თავიანთ შემოქმედებას აცნობენ თანატოლებს, სტუმრებს; ეწყობა პერსონალური გამოფენები, კონცერტები, ნორჩ ხელოვანთა და ლიტერატორთა სალონური შეხვედრები, იდგმება სპექტაკლები. დაგეგმილია ხელოვნების ფესტივალის — „მოციმციმე ვარსკვლავები", — საბავშვო თეატრების ფესტივალის — „თეატრალური ურეკი" და ნეპტუნის დღესასწაულის — „ზღვა, სპორტი, მუსიკა..." — გამართვა. პროგრამამ აპრობაცია გაიარა 1996 წელს.

„მცირე აკადემია"

პროგრამა ითვალისწინებს ტრენინგების, სემინარების, შეხვედრების, ვიქტორინების, სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენციების, ოლიმპიადების, სიმპოზიუმების ორგანიზებას მთელი წლის განმავლობაში.

პროგრამის უდავო დამსახურებაა „მცირე აკადემიის" მივიწყებული ტრადიციების აღდგენა, ამოქმედება, ახალი შინაარსობრივი დატვირთვა, მასში ახალგაზრდა მეცნიერთა აქტიური ჩაბმა, რაც ხელს უწყობს მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროთი დაინტერესებული მოზარდების ინტელექტუალური უნარის გამოვლენას, მათი პოტენციალის გამოყენებას, საბოლოოდ ამ მიმართულებით განვითარების ხელშემწყობი პირობების უზრუნველყოფას.

პროგრამის ფარგლებში გამოიცემა „ახალგაზრდულ შრომათა კრებული" (I გამოცემა განხორციელდა 1996 წელს საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 27 ნოემბრის № 1 განკარგულების შესაბამისად), საინფორმაციო ბიულეტენები.

პროგრამით გათვალისწინებულია საყმაწვილო სამეცნიერო და საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების ინტენსიური განხორციელება საზღვარგარეთის შესაბამის ცენტრებთან.

„მცირე აკადემიამ" აპრობაცია გაიარა 1996 წლის იანვარში (ბორჯომი), სექციურ (საბუნებისმეტყველო-ეკოლოგიური, სამედიცინო, ტექნიკური და ჰუმანიტარული სექციები) მუშაობას უძღვებოდნენ ახალგაზრდა მეცნიერები.

პროგრამის ფარგლებში იმართება „ნორჩ ერუდიტთა ტურნირი", „მხიარულთა და საზრიანთა" შეხვედრები მოზარდებს შორის.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და განათლების სამინისტროს ხელშეწყობით.

„სხივი"
(„საქართველოს ხვალინდელ იმედად ვიზრდები")

პროგრამა მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის პატარა მოქალაქეებსა და უცხოეთში მცხოვრებ მათ ქართველ თანატოლებს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას; ქართული დიასპორის მოზარდებში დედაენის, ეროვნული კულტურის, მეცნიერების, სპორტული ტრადიციების პროპაგანდას; მათ აქტიურ ჩაბმას ერთიანი პროგრამით — „საქართველოს მომავალი" — გათვალისწინებულ ღონისძიებებში. საზღვარგარეთ არსებული ქართული ისტორიული და მოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო კერების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ბავშვებისათვის გაცნობას საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მშობლიურ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელოებისა და სხვა ლიტერატურის დასტამბვა-მიწოდებაში დახმარების აღმოჩენას. გამიზნულია უცხოეთში მცხოვრებ ქართველ თანატოლებთან მეგობრობის საბავშვო საზოგადოების დაფუძნებას არსებული პერიოდული გამოცემების ბაზაზე ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო დამატების გამოშვებას.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვების სისტემატური ჩამოყვანა საქართველოში და მათი შემეცნებითი დასვენება და გაჯანსაღება პროფილურ ბანაკებში. დაინტერესებულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან ერთად გათვალისწინებულია ამ კატეგორიის მოზარდთათვის სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაციის სპეციფიკური პროგრამის შემუშავება (იმისათვის, ვინც საცხოვრებლად ბრუნდება სამშობლოში).

„მომავალი ოლიმპიელები"

პროგრამის მიზანია ბავშვთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის. იგი წაახალისებს მოზარდთა ჩაბმას საყოველთაო სპორტულ მოძრაობაში, რაც ხელს შეუწყობს ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდას.

პროგრამამ აპრობაცია გაიარა 1996 წელს ბაკურიანში (იანვარი). მოეწყო საყმაწვილო შეჯიბრებები ზამთრის სპორტულ თამაშობებში. იგი განხორციელდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, ზამთრის სპორტული სახეობების ფედერაციასთან და განათლების სამინისტროს სპორტისა და სამხედრო მომზადების სამმართველოსთან ერთად.

„მომავლის ქალაქი"

პროგრამა მიზნად ისახავს სასკოლო არდადეგების ორგანიზების სისტემის კრიზისის პროცესში ახალი მიდგომების გააზრებას; საცდელ-საექსპერიმენტო საქმიანობის გააქტიურებას; ბავშვებისათვის საინტერესო დასვენების ახალი ფორმების აღმოჩენას; ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, დაფინანსებისა და მოქმედების არასტანდარტული ფორმების შემუშავებას, საბავშვო გამაჯანსაღებელი პროფილური ბანაკის პრაქტიკულ ორგანიზებას.

„მომავლის ქალაქის" პროგრამაზე თეორიული მუშაობა და მისი რეალიზაცია მიზნად ისახავს არსებული საბავშვო გამაჯანსაღებელი ბანაკების სისტემისათვის მომავლის ბანაკის ერთგვარი მოდელის შეთავაზებას. ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს 1996 წლის ივნის-ივლისში განხორციელებული პროგრამა „ურეკი — მომავლის ქალაქი".

„მომავლის ქალაქის" მოდელი თავისი არსებით წარმოადგენს სეზონური მოქმედების სოციალურ-პედაგოგიურ კომპლექსს, რომელიც ეფუძნება პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ჰუმანურ კონცეფციას. ძირითად ფორმულად გამოყენებულია არა „ბავშვი — ბანაკისათვის", არამედ „ბანაკი, კოლექტივი, დროებითი გაერთიანება — ბავშვისათვის, მისი ინტერესებისათვის". „მომავლის ქალაქის" საქმიანობა აგებულია უფროსებისა და ბავშვის თანამშრომლობაზე, ყველა სამსახურისა და ქვედანაყოფის პედაგოგიზაციაზე და, პირველ რიგში, ითვალისწინებს მაქსიმალური რაოდენობის მრავალფეროვანი საკლუბო სივრცეების შექმნას, სადაც ურთიერთმოქმედების ნორმები და წესები გამომუშავდება თავად ჯგუფის წევრთა მიერ. ყოველივე ეს ხელს უშლის უფროსების ავტორიტეტულ ზეწოლას და ზრდის მოზარდთა თვითდამკვიდრებისა და თვითგანვითარების ხარისხს.

პროგრამაში მონაწილეობის უპირატესი უფლებით სარგებლობენ: სოციალურად დაუცველი, მშობლების მზრუნველობას მოკლებული, იძულებით ადგილნაცვალი, რთულ პირობებში, სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში მცხოვრები, აგრეთვე სწავლაში, ხელოვნებაში, მეცნიერებასა და სპორტში [illegible] და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები. აქცენტი გაკეთდება მასში ე. წ. „რისკის ჯგუფის" არასრულწლოვანთა მონაწილეობაზე.

პროგრამის განხორციელების ძირითადი ფორმაა სიტუაციურ მოდელირებაზე აგებული თამაშები, სადაც ბავშვები თვითონ ფიქრობენ, პოულობენ პრობლემის გადაჭრის გზებს, საქმიანობენ, აფასებენ საკუთარ მოქმედებას. პროგრამის ძირითადი იდეაა დავეხმაროთ ბავშვებსა და მოზარდებს შეიცნონ საკუთარი თავი და გააუმჯობესონ თავიანთ გარშემო არსებული სამყარო; შეიძინონ მეგობრები და მოძებნონ საქმიანობის ის სფერო, რომელიც მათ ინტერესებს შეესაბამება და საუკეთესო საშუალება იქნება თვითგამოვლენისა და ცხოვრებაში თვითდამკვიდრებისათვის.

პროგრამის ძირითადი პრინციპებია:

ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების პრიორიტეტი, ზრუნვა მოზარდის უფლებების დასაცავად, მსოფლმხედველობის, რელიგიური სარწმუნოებისა და ეროვნული თვითმყოფადობის პატივისცემა, ყველა შესაძლო საშუალების მოძიება თითოეულ ბავშვთან საერთო ენის გამოსანახავად, მათი ინდივიდუალობის, პიროვნულობის დაცვა, ღირსების გაფრთხილება; მოქმედების მიზნის განსაზღვრა და განმარტება, სამუშაოს დაგეგმვა, ბავშვებთან და მოზარდებთან ერთობლივი ჩანაფიქრის შესრულება და შედეგების შეფასება. საერთო, ყველასათვის სავალდებულო ღონისძიებების გონივრული შეხამება კონკრეტული ბავშვისა და მოზარდის საჭირო მოქმედებასთან.

პროგრამის აპრობაცია განხორციელდა 1996 წლის ივნის-ივლისში ურეკში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3000-მდე ბავშვმა. სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ამ პროგრამის შესახებ შექმნილია დადებითი საზოგადოებრივი აზრი როგორც მოზარდ თაობაში, ისე მშობლებსა და პედაგოგებში.

პროგრამის ძირითადი ორგანიზატორები არიან: საქართველოს ბავშვთა ფედერაცია, საქართველოს განათლების სამინისტრო.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ისტორიული „მზიანეთის" ადგილას (ბორჯომის რაიონი) ბავშვთა ქალაქის მშენებლობა.

„ცისკრის ვარსკვლავი"

პროგრამის მიზანია საქართველოს დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით მივიწყებული სამხედრო-პატრიოტული თამაშების „მართვესა" და „ცისკრის" ტრადიციების აღდგენა.

„ცისკრის ვარსკვლავი" ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი ნებაყოფლობითი თამაშია, რომელიც ეფუძნება სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ სამხედრო და ფიზიკური მომზადების საფუძვლებს.

პროგრამა ითვალისწინებს თამაშში ჩაბმული მოზარდების ფიზიკურ და მორალურ მომზადებას ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის; მათი ჯანმრთელობის გაკაჟებას, ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავებას, ისეთი მორალური თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა ვაჟკაცობა, გადაწყვეტილების მიღების უნარი, სიმამაცე, დისციპლინიანობა, კოლექტივიზმი და ინიციატივიანობა.

„ცისკრის ვარსკვლავის" პროგრამის განხორციელება ეფუძნება საქართველოს მხედრული დიდების ისტორიის ღრმა ცოდნას, სამხედრო და შრომითი ტრადიციების შესწავლას, ქართული ეროვნული სპორტული თამაშობების აღდგენასა და მათი მასობრივი გავრცელებისათვის ხელშეწყობას.

პროგრამის დასკვნითი ეტაპი იმართება სასკოლო საშემოდგომო არდადეგების პერიოდში და გულისხმობს სამხედრო-სპორტული პროფილური ბანაკის მოწყობას საქართველოს თავდაცვისა და განათლების სამინისტროებთან, სპორტის დეპარტამენტთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად.

„საბავშვო გულმოწყალების ორდენი"

პროგრამა მიზნად ისახავს:

1. ინვალიდი, გონებრივად ჩამორჩენილი, შეზღუდული გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მქონე ბავშვებში საკუთარი თავისადმი რწმენის, გულდაჯერებულობის განმტკიცებას, ინტერესების მიხედვით მათი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას; სოციალური და ფსიქოლოგიური სტრესების მოხსნას, რათა თითოეული მათგანი დარწმუნებული იყოს, რომ საზოგადოება მიიღებს მას ისეთს, როგორიცაა;

2. საქართველოს მომავალი თაობა აღიზარდოს სათნო, უანგარო, თავდადებული, ჰქონდეს სურვილი და უნარი გულმოწყალების ხელი გაუწოდოს იმას, ვისაც ყველაზე მეტად ესაჭიროება თანადგომა. სწორედ ეს არის საბავშვო გულმოწყალების ორდენის შექმნის ძირითადი მიზანი.

ორდენის საქმიანობა ახლოს დგას ღვთისმსახურთა საქმიანობასთან: მოუსმინოს, გაუგოს, დაეხმაროს პრობლემათა გადაწყვეტაში.

ორდენის მოქმედების ძირითადი პრინციპია: „გულმოწყალება არ გულისხმობს მხოლოდ თანაგრძნობას. ეს უპირველესად თანადგომას, თანასწორობას, საზოგადოების სრულუფლებიან წევრად თავის შეგრძნობისათვის შესაფერისი პირობების შექმნას ნიშნავს".

პროგრამას ითვალისწინებს:

— ინვალიდი ბავშვების ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების განვითარების მიზნით ხელსაქმის, შემოქმედებითი, სპორტული კლუბების შექმნას, მათში ზემოთ აღნიშნული კატეგორიის ბავშვების გაერთიანებას;

— ინვალიდ ბავშვთა ნაკეთობებისა და ნახატების გამოფენების, საქველმოქმედო აუქციონების, კონცერტების, დათვალიერებების, სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას.

წლის განმავლობაში პროგრამაში აქტიურად ჩაბმული და გამორჩეული ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ ბავშვთა გულმოწყალების კვირეულში, რომელიც გაიმართება ყოველწლიურად საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში.

პროგრამის ფარგლებში დაწესდება აღნიშნული ორდენის „საპატიო ლეგიონერის" წოდება.

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ახალგაზრდულ წითელ ჯვართან ერთად.

„შევარდენი"
საბავშვო-საყმაწვილო საინფორმაციო სააგენტო

— ნათელი გონება, მახვილი მზერა,
სწრაფი მოქმედება —

დღეს არსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სისტემა და ორიენტაცია ბავშვს, მოზარდს პრაქტიკულად ან არ, ან ვერ აძლევს საშუალებას საზოგადოებისა თუ თანატოლების სამსჯავროზე გამოიტანოს და დაიცვას საკუთარი ინტერესები და უფლებები, გამოამჟღავნოს პასუხისმგებლობა, მიმართოს საზოგადოებრივ აზრს.

სახელმწიფო და საზოგადოება ნაკლებად სწავლობენ და აანალიზებენ ახალგაზრდა თაობის, ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრების წესს, მენტალიტეტს, იდეალებს (თუ მათ არ ქონას), მონაპოვრებსა თუ დანაკარგებს, მიღწევებსა და პრობლემებს. ასეთი,მეტნაკლებად „დამოუკიდებელი" განვითარება ქმნის თაობათა ერთმანეთის მიმართ გაუცხოების, ტრადიციული ღირებულებების რღვევის, არაპროგნოზირებადი პროცესების დაწყება-გაღრმავების, რეალურად ღირებული კულტურისა და ცოდნის სანაცვლოდ „მასობრივი კულტურისა" თუ ფსევდო-კულტურის გაფეტიშების, კოსმოპოლიტიზმის ზომაგადასული აღზევების, ახალი თაობის სისტემური აღზრდის მაგიერი იმპულსური „ფრაგმენტული" აღზრდის, „შემთხვევითი" აღზრდის დამკვიდრების სერიოზულ საფრთხეს.

საზოგადოება, სკოლა, ოჯახიც კი დღეს ნაკლებად იცნობენ ბავშვსა თუ მოზარდს, რამდენადაც არც თავად ზრუნავენ მათ შესასწავლად და არც ახალგაზრდა თაობას აძლევენ თვითგამორკვევისა და თვითგამოხატვის რეალურ შესაძლებლობას.

ზემოთქმულიდან, საზოგადოდ კი — სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, გარდაუვალი აუცილებლობაა ხსენებული პრობლემის ოპერატიული გადაწყვეტა, რის ერთ-ერთ დიდ შესაძლებლობად მიგვაჩნია საბავშვო-საყმაწვილო საინფორმაციო სააგენტოს დაარსება.

სააგენტოს ძირითადი მიზანია შექმნას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ფართო ქსელი, რაც ბავშვებისა და მოზარდებისათვის საჭირო ინფორმაციის მომზადებასა და გავრცელებას უზრუნველყოფს; ჩართოს ახალგაზრდა თაობა მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ეროვნულ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო სისტემებში; შექმნას ერთიანი სპეციალური საინფორმაციო სივრცე მოზარდთათვის; გასწიოს ფართო საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობა საქართველოს განათლების სამინისტროსთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად.

ამ მიზნების მისაღწევად სააგენტო გააერთიანებს ახალგაზრდა ჟურნალისტებსა და საზოგადოებრივ კორესპონდენტებს, ჟურნალისტური ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებსა და მოზარდებს, პედაგოგებს, ფსიქოლოგებს, ხელოვნების მოღვაწეებს.

აღნიშნული სააგენტოს შექმნა სტიმულს მისცემს მოზარდებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ტიპის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში — მათთვის მოამზადონ სპეციალური მასალები, გაზეთისა თუ ჟურნალის გვერდები, სტატიები, ტელე-რადიო გადაცემათა სიუჟეტები, ჩამოაყალიბონ საბავშვო რედაქციები.

სააგენტოს ძირითადი სამუშაო მიმართულებებია:

1. საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროგრამებისა თუ პუბლიკაციების მომზადება — შესაბამისი აუდიო-ვიზუალური თუ ბეჭდვითი ინფორმაციის შექმნა და გავრცელება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

2. სპეციალური მიზანდასახულობის მასალების, გამოშვებების, გადაცემების, ფილმების მომზადება (მათ შორის სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო დაკვეთითაც);

3. სოციოლოგიური გამოკითხვების მოწყობა (და ანალიზი) ბავშვთა და მოზარდთა პრობლემატიკაზე;

4. საინფორმაციო ბანკის შექმნა, რაც მოიცავს სპეციალურ ინფორმაციას საბავშვო და საყმაწვილო ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებზე;

5. სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა და სარეკლამო მომსახურება;

6. კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების მოწყობა (ფესტივალები, კონკურსები, გამოფენები და ა. შ.).

სააგენტოს მუშაობის პედაგოგიურ-მეთოდური საფუძვლები დამუშავებულია საქართველოს განათლების სამინისტროს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტთან ერთად და ეყრდნობა სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს.

გათვალისწინებულია აქტიური და მჭიდრო თანამშრომლობა როგორც ზემოთ ხსენებულ ინსტიტუტთან, ისე განათლების მთელ სისტემასთან, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და უწყებებთან, უპირველესად — ტელე-რადიო კორპორაციასთან.

კლინტონსაც და ჟირინოვსკისაც – 5-5 პროცენტი

ამასწინანდელი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, რომელშიც მონაწილეობდა 1600 რესპონდენტი მთელ რუსეთში, ალექსანდრე ლებედი ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია ქვეყანაში. მან მოიპოვა რესპონდენტთა 29 პროცენტის მხარდაჭერა. პოპულარობის მიხედვით მეორე ადგილზე მიდის პრეზიდენტი ელცინი (14%), მას მიჰყვებიან კომპარტიის ლიდერი ზიუგანოვი (10 %) და მოსკოვის მერი ლუჟკოვი (6 %). პრემიერ ჩერნომირდინს, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერს ჟირინოვსკის და აშშ პრეზიდენტს ბილ კლინტონს მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 5 პროცენტმა.

ვინ ემუქრება რუსეთს?

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ივანე რიბკინმა ტის-ს მისცა ინტერვიუ, რომელიც „ინტერნეტის" ქსელით გადაიცა. რიბკინმა თქვა, რომ რეგიონული კონფლიქტები, ორგანიზებული დამნაშავეობა, ნარკოტიკებით ვაჭრობა და ტერორიზმი ყველაზე სერიოზულ საფრთხეს უქადის რუსეთის ეროვნულ უშიშროებას. მისი აზრით, რუსეთმა და ნატომ უნდა მიაღწიონ კომპრომისს, ვინაიდან რუსეთს მთავარ საფრთხეს უქმნის არა დასავლეთი, არამედ „ეროვნული ფანატიკოსები" და „ფუნდამენტალისტები" სამხრეთიდან.

აურზაური არყის გამო

ბელორუსიის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ უარყო განცხადებები იმის შესახებ, რომ არყის საკითხი შებრკოლების ლოდად იქცა რუსეთ-ბელორუსიის ურთიერთობაში. საქმე ის არის, რომ რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ალკოჰოლის გაყიდვაზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღებასთან დაკავშირებით ბელორუსიისა და უკრაინის საზღვრებზე გაიხსნება ახალი საბაჟო საგუშაგოები, რათა კონტროლი გაუწიონ რუსეთში არყის შემოტანას. ის განცხადება, რომ რუსეთის ბიუჯეტის შარშანდელი სიძნელეები იაფი უკრაინული არყის ბრალია, აბსურდულია, დასძინა ლუკაშენკომ. არაყი რუსეთში თანამეგობრობის ყველა სახელმწიფოდან შედის და ბელორუსიასაც ასევე ადგება ზარალი იაფი უკრაინული ალკოჰოლის გამო.

ზიუგანოვი შფოთიან წელიწადს წინასწარმეტყველებს

რუსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერმა ზიუგანოვმა როიტერის სააგენტოს განუცხადა, რომ დღევანდელი სიტუაცია მას მოაგონებს 1917 წლის აგვისტოს, როდესაც რევოლუციას არავინ მოელოდა, მაგრამ იგი სამი თვის შემდეგ მოხდა. მისი თქმით, მარტში მოსალოდნელია სოციალური აფეთქება. თუმცა რუსეთში ბოლო დროს სიმშვიდე იყო, მზის აქტიურობის 11-წლიანმა ციკლმა შეიძლება სულ მალე გამოიწვიოს ქვეყანაში „ძალზე შფოთიანი პერიოდის დადგომა". თავის სტატიებსა და გამოსვლებში ზიუგანოვი ხშირად იშველიებს ისტორიულ ანალოგიებს; კერძოდ, იგი ადარებს დღევანდელ რუსეთს XVII საუკუნის დამდეგის შფოთიანობას და ოქტომბრის რევოლუციის წინა თვეებს.



სად არის ხსნა?

ბრიტანული „სანდი ტაიმსი" აშუქებს რუსეთის პოლიტიკურ სიტუაციას, 1996 წლის ივლისში ბორის ელცინმა პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა. თავის მოვალეობათა შესრულებას იგი მხოლოდ შობის წინ შეუდგა. სანამ ელცინი საოპერაციოდ ემზადებოდა და შემდეგ ჯანმრთელობას აღიდგენდა, ქვეყანა სრული კრახის პირას აღმოჩნდა. ბიუჯეტში ფულის უქონლობა გვაფიქრებინებს, რომ პრეზიდენტის ოპერაცია ძალიან ძვირი ღირდა და ახლა მისი საფასურის გასტუმრება უხდებათ უბრალო ადამიანებს. მრავალი ათწლეულის მანძილზე პირველად მოხდა, რომ რუსეთი უოპტიმიზმოდ შეხვდა ახალ წელიწადს. ელცინის პოლიტიკამ ცხადყო რუსული დემოკრატიის მთელი უნიადაგობა. მაგრამ ელცინის სრული გამოკეთების შემთხვევაშიც კი საეჭვოა, რუსეთში რაიმე შეიცვალოს. ერთადერთი, რაც რუსებს უშველის, — ეს არის ახალი პრეზიდენტის არჩევნები.

შექსპიროლოგები აღშფოთებული არიან

შევისწავლოთ შექსპირი თუ არა? ეს კითხვა აღელვებს ახლა დიდი ბრიტანეთის პრაქტიკულად ყველა ლიტერატურათმცოდნეს, წერს გაზეთ „გლოუბ ენდ მეილის" კორესპონდენტი.

დღემდე არავის გაუხდია საცილოდ შექსპირის გენიალობა. სხვა ინგლისელ პოეტებთან და დრამატურგებთან შედარებით მისი უპირატესობა არასდროს დაუყენებიათ ეჭვქვეშ. ახლა კი ზოგიერთი ბრიტანელი ლიტერატურათმცოდნე, მართალია, შექსპირს უტოვებს გენიოსად წოდების უფლებას, მაგრამ საეჭვოს ხდის მის ლიდერობას.

მათი აზრით, ინგლისში მრავლად არიან არანაკლებ ნიჭიერი პოეტები, მაგალითად, ჯეფრი ჩოსერი და ჯონ მილტონი. მაგრამ ამ პოეტების შემოქმედებას არ სწავლობენ ისეთი ყურადღებით, როგორც შექსპირის ნაწარმოებებს.

ამასთან დაკავშირებით ლიტერატურათმცოდნეებმა წამოაყენეს წინადადება, ძირფესვიანად შეცვალონ შექსპირის შემოქმედების შესწავლის პროცესი. საკმარისი იქნება მხოლოდ გაეცნონ „ჰამლეტის", „ოტელოსა" და შექსპირის სხვა ნაწარმოების შინაარსს, ისე, რომ არ ჩაუღრმავდნენ დეტალებს. მაგრამ შექსპირის შემოქმედებისადმი ასეთი მიდგომა აღაშფოთებს შექსპიროლოგებს. მათი აზრით, დიდი ბრიტანეთი ვერ იარსებებს უშექსპიროდ, ზუსტად ისევე, როგორც იტალია — უდანტეოდ.

სამეფო ოჯახს შავბნელი დღეები დაუდგა

დიდ ბრიტანეთში მონარქიას დიდი დღე აღარ უწერია, წერს გაზეთი „ტაიმსი". ამას მოწმობს ქვეყნის მცხოვრებთა შორის მოწყობილი გამოკითხვის შედეგები. მაგალითად, ინგლისელთა 48 პროცენტი დარწმუნებულია ბრიტანეთის ათასწლოვანი მონარქიის გარდაუვალ კრახში და მხოლოდ 33 პროცენტს აქვს იმედი, რომ იგი კვლავაც იარსებებს. ბრიტანეთის საზოგადოების ესოდენ პესიმისტურ განწყობილებას სტატიის ავტორი უკავშირებს სამეფო ოჯახის ბოლოდროინდელ ამბებს. პრინც ჩარლზის და პრინცესა დაიანას განქორწინებამ, პრინცის სკანდალურმა კავშირმა კამილა პარკერ ბოულზთან საზოგადოების კონსერვატიული ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. სამეფო ოჯახისადმი დამოკიდებულებას იმ რეფორმებმაც კი ვერ უშველა, ელისაბედ დედოფალმა რომ განახორციელა მონარქიის სრულყოფისათვის. როგორც ჩანს, სამეფო ოჯახს შავი დღეები დაუდგა და მას მხოლოდ განგება თუ იხსნის.

შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის სანაპიროზე გრძელდება წყალდიდობა, რომელიც შარშან დეკემბერში დაიწყო.

[illegible] ნაციონალიზმის [illegible]

გაიმართა სერბეთ
მართლმადიდებელი ე
ლესიის სინოდის სხდო
მა, რომელიც მოიწვი
ქვეყანაში მიმდინარე
პროტესტების განსახი
ლველად. ეკლესიამ დ
უფარავად დაუჭირა
მხარი ნაციონალიზმ
კომუნისტური სისტ
მის დაშლის შემდეგ
მაგრამ ბევრი მორწ
მუნე და ზოგიერთ
არქიეპისკოპოს
თვლის, რომ ასეთი ნა
ციონალიზმი ძალზ
მჭიდროდ უკავშირდებ
პოლიტიკურ ხელისუ
ფალთ, როგორც კომ
ნისტების, ისე ყოფი
ლი კომუნისტის მილო
შევიჩის დროს. ისინი
ვინც ამგვარ შეხედუ
ლებებს ადგანან, უფრ
მეტად იხრებიან იქი
თკენ, რომ ქვეყანა
ხელმძღვანელად იხი
ლონ რადიკალ კარაჯი
ჩი, რომელსაც არა აქ
კომუნისტური წარსუ
ლი. პატრიარქმა პა
ვლემ ხელისუფალთ მო
უწოდა არ მიმართო
არავითარ ძალადობა
დემონსტრანტების წ
ნააღმდეგ.

ქრისტიანებს დაერივნენ

ინდონეზიის ქალაქ ტაქსიმალაიაში, რომელიც ჯაკარტიდან 200 კილომეტრზე მდებარეობს, არეულობა მოხდა. მღელვარების მიზეზი გახდა ხმები, თითქოს პოლიციას ეცემოს მუსლიმანური სკოლის სამი მასწავლებლისათვის. მუსლიმანთა ბრბო შეესია ქრისტიანთა უბნებს, დაარბიეს და დაწვეს სახლები და ეკლესიები. ორი კაცი ცოცხლად დაიწვა.

სლოვაკეთის ბოშები მილიციას ქმნიან

ქალაქ პრიევიძის ბოშების წინამძღოლმა მარეკ ბალაჟმა განაცხადა, რომ თუ სახელმწიფო არ მიიღებს არავითარ ზომებს სლოვაკეთის „თავგადაპარსულთა" მიმართ, მაშინ სამოქალაქო ომის საფრთხე წარმოიქმნება. ბოშებმა მთავრობისთვის გაგზავნილ წერილში განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ შექმნან მილიცია თავიანთი ოჯახების დასაცავად და ამჯობინებენ დაიხოცონ, ვიდრე უარი თქვან თავიანთ სამოქალაქო და ადამიანურ უფლებებზე. წერილი დაიწერა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა „თავგადაპარსულმა" შობის დღესასწაულობის დროს მოკლა ბოშა.

ნამთვრალეობის სინდრომი

მეცნიერთა ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ნამთვრალევის ცუდად ყოფნის მიზეზი ბოთლის ფსკერზე არ უნდა ვეძებოთ, წერს „ბრიტიშ მედიკალ ჯორნელი". მთავარია არა რამდენი დალია კაცმა, არამედ — რა დალია.

ყველა მავნე ნივთიერება, რომელიც ორგანიზმში აღწევს ალკოჰოლთან ერთად, ისპობა სისხლის მიმოქცევის პროცესში. მაგრამ მიღებული სპირტიანი სასმელის სახეობის კვალობაზე ადამიანის ორგანიზმში წარმოიშვა ნივთიერებანი, რომლებიც იწვევს ნამთვრალეობის სინდრომს. მაგალითად, ნამთვრალევზე ყველაზე მძიმე სინდრომს იწვევს ბურბონისა და არყის სმა, მას შემდეგ მოდის რომი, ვისკი, ჯინი და წითელი ღვინო, დასძენს დასასრულს „მედიკალ ჯორნელი".

ხარის წელიწადი



ასეთი არის ბელგიური ხარი, რომლის ღირსებები ინჟინერ-გენეტიკოსთა მიერ არის გაუმჯობესებული.

დევიდ ხო — წლის კაცი

ერთნი XX საუკუნეს კომუნიზმის აღზევებისა და დამხობის ხანას უწოდებენ, მეორენი — ამერიკანიზმის ხანას, მესამენი — ბირთვულ ხანას. ყველა ეს განსაზღვრება ისევე გამართლებულია, რამდენადაც მცდარი. ვერც ერთი მათგანი ვერ იქნება ის ერთადერთი წვეთი, რომელიც დროის მთელ ოკეანეს ირეკლავს. ასეთი წვეთები რამდენიმეა. და ერთი მათგანია შიდსის ხანა.

მე-20 ასწლეულის ასეთი განსაზღვრება შეიძლება ექსტრავაგანტურად მოგვეჩვენოს, მაგრამ პრინციპულად იგი სავსებით ტრადიციულია. იყო ჭირის საუკუნე, როდესაც თათარმა სოვდაგრებმა, ცენტრალური აზია რომ გადმოკვეთეს 1347 წელს, სიცილიაში აღმოსავლურ საქონელთან ერთად ჩამოიტანეს შავი ჭირი. „შავმა სიკვდილმა" 30 მილიონი კაცი იმსხვერპლა. იყო ყვავილის საუკუნე, როდესაც კორტესის კონკისტადორებმა მექსიკაში 1520 წელს შეიტანეს ყვავილი, რომელმაც ამ ქვეყნის ნახევარი მოსახლეობა შეიწირა. ალბათ, ბევრს აღარ ახსოვს: გრიპმა, 1918 წელს რომ იფეთქა პირველი მსოფლიო ომის დროს ფრანგთა სანგრებში, გაცილებით მეტი სიცოცხლე შეიწირა, ვიდრე თვით ომმა, — 21 მილიონი კაცი.

შიდსი უკვე მონათლეს „XX საუკუნის ჭირად". 15 წლის მანძილზე — მას შემდეგ, რაც პირველად იფეთქა ნიუ-იორკისა და სან-ფრანცისკოს აბანოებში, მათს ჰომოსექსუალურ მიკროსამყაროში, — დაახლოებით 30 მილიონი კაცი გახდა მისი მსხვერპლი. შიდსით გამოწვეულ თავზარს მრავალგზის აძლიერებდა მისი უკურნებლობა. შიდსი ანგრევდა არა მარტო ადამიანის იმუნურ სისტემას, არამედ აგრეთვე მის რწმენას განკურნებისადმი. და აი, გასული წლის ივლისში ვანკუვერის შიდსის საერთაშორისო კონფერენციაზე გამოვიდა შეერთებული შტატების წარმომადგენელი ექიმი მოხსენებით თავისი „იმედის მომცემი" ექსპერიმენტების შესახებ. მან ილაპარაკა შიდსის მკურნალობის „კოქტეილურ" მეთოდზე, რომელიც თითქმის მთლიანად ანადგურებდა პაციენტებში ამ ლეტალური სენის ვირუსებს. ამ ექიმს დევიდ ხო ერქვა.

სწორედ დევიდ ხო გამოაცხადა ჟურნალმა „ტაიმმა", უკვე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, წლის კაცად. „დოქტორი ხო გაზეთის სათაურებს არ ქმნიდა, მაგრამ იგი ქმნიდა ისტორიას", — ასე ახსნა ჟურნალის არჩევანი კომპანია „ტაიმის" პრეზიდენტმა ბრიუს ჰელეკმა.

თვით დოქტორი ხო, როდესაც წინასწარ შეატყობინეს, რომ არჩევანი მასზე შეჩერდა, აშკარად დაიბნა და, ერთი პირობა, უარიც კი თქვა ესოდენ მაღალ პატივზე. ბოლოს დათანხმდა. ოღონდ, ორი უცილობელი პირობით. ჟურნალს გასაგებად უნდა განეცხადებინა, რომ შიდსისაგან განსაკურნებელი არავითარი წამალი ჯერჯერობით არ არსებობს, ეს პირველი, და მეორე, ექიმ ხოს წარმატება — ეს არის არა მარტოხელა გმირის, არამედ მეცნიერთა, ექიმთა, ტექნიკოსთა მთელი არმიის გარჯის შედეგი. „მე ლუი პასტერი არა ვარ. მარტოკაცი შიდსს ვერ მოერევა. საამისოდ არც უნარი ეყოფა და არც ჯიბე", — თქვა დევიდ ხომ.

მაგრამ, თუკი დღეს მეცნიერებაში აღარ არიან ეული გენიოსები, გაჩნდნენ გეზის მიმცემი გენიოსები. ექიმი ხო ერთი მათგანია. კაცობრიობა ყველაზე მეტად სწორედ მას უნდა უმადლოდეს „იმედის იმედს", რომ შიდსი იკურნება, რომ შიდსის გამო სიკვდილის განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს და გაუქმდეს კიდეც.

ვინ არის დევიდ ხო, რომელიც ჯეიმს ბონდის ექიმისაგან განსხვავებით სრულიად რეალური პიროვნებაა, თუმცა უკვე ლეგენდარულ ადამიანად იქცა?

ამ კითხვაზე პასუხი ბევრია, იმდენი, რამდენიც შიდსის მკურნალობის მეთოდი. დევიდის დედა — სონია ამ კითხვაზე მომხიბვლელი გულუბრყვილობით უპასუხებს: „იცით, ჩემი დევიდი გენიოსია. რა თქმა უნდა, ამას ჩემს შვილზე არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ეს სიმართლეა". ბევრნი დევიდს აზარტულ მოთამაშედ თვლიან და ამაშიც არის ჭეშმარიტების ნატამალი. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, როდესაც კალიფორნიაში სწავლობდა დევიდი, ხშირად დადიოდა ლას-ვეგასში და ფრიად წარმატებით თამაშობდა „ბლეკ-ჯეკს". ფენომენური მეხსიერების პატრონი ხო ყველა კარტს იხსომებდა. იგი თვალში ამოიღეს და ბევრ სამორინეში აღარც უშვებდნენ, მთელი მოგება რომ არ წაეღო. გენია და მეცნიერება გახდა მისი მთავარი იარაღი შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დევიდ ხო 1952 წლის 3 ნოემბერს დაიბადა ტაივანის კუნძულის ქალაქ ტაიჩუნში. სახელი, რომელიც მას უწოდეს, ასე ჟღერდა — და ი. ეს იყო ორი ჩინური იდეოგრამა, რომლებიც სიტყვასიტყვით ნიშნავს „დიადს", და ი დაოისტური კოსმოლოგიური გაგებითაც გამოხატავს „დიდ მოლოდინს".

1956 წელს დევიდის მამა უკეთესი ცხოვრების საძებნელად ამერიკას გაემგზავრა. და ი 12 წლისა იყო, როდესაც მამამ დედასთან და უმცროს ძმასთან ერთად ჩაიყვანა შტატებში. ისინი მოხვდნენ უცნობ ქვეყანაში, რომლის არც ენა იცოდნენ და არც ზნე-ჩვეულებანი. ხოების ოჯახი ლოს-ანჯელესის ზანგთა უბანში დასახლდა.

და ი, რომელიც დევიდად იქცა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, სულ ხუთებზე სწავლობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. იქ, მერე კი კალიფორნიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში დევიდი ფიზიკას ეუფლებოდა. ტანმორჩილობის მიუხედავად, გატაცებული იყო კალათბურთით, აგრეთვე, ჭადრაკით. უყვარდა გამარჯვება და იმარჯვებდა კიდეც. ფიზიკით გატაცებამ მალე გაუარა და დევიდი გადაერთო მოლეკულურ ბიოლოგიასა და მედიცინაზე. ნიჭიერი ჭაბუკი მიიღეს ჰარვარდის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. აქ იგი პირველად შეხვდა შიდსით დაავადებულ პაციენტებს — თანატოლებს. მათმა საცოდაობამ შეაძრწუნა დევიდი და გადააწყვეტინა შებმოდა გოლიათს, რომელიც მხოლოდ მიკროსკოპში მოჩანდა. საკვლევი მუშაობის დროს ხომ გამოიყენა ფუნდამენტურად ახლებური მიდგომა შიდსის ვირუსის პრობლემისადმი და გახსნა იმის საიდუმლო, თუ როგორ უტევს და ანგრევს იგი ადამიანის ორგანიზმის იმუნურ დაცვას. მის თეორიულ ზეშთაგონებას დაერთო ექსპერიმენტები ეგრეთ წოდებულ პროთიზულ ინჰიბიტორებზე (Protease inhibitors), რამაც შიდსის ეფექტიანი თერაპიის შესაძლებლობანი დასახა. რით არის ორიგინალური ექიმ ხოს იდეა? იმით, რომ მან გადაწყვიტა შიდსს ებრძოლოს დაავადების გაჩენის ყველაზე ადრეულ სტადიაში, როდესაც მისი ვირუსი ჯერ კიდევ „მთვლემარე მდგომარეობაშია" ავადმყოფის ორგანიზმში. ხომ დაამტკიცა, რომ ვირუსის „თვლემა", რომლის საინკუბაციო პერიოდი სამიდან ათ წლამდე გრძელდება, სანამ სრულ შიდსად გადაიქცეოდეს, — საბედისწერო შეცდომაა. ვირუსი კი არ თვლემს, არამედ ფრიად აქტიურად მოქმედებს. ხო არ ყოფილა პირველი, ვინც შეძლო შიდსის ვირუსის იზოლირება. „ფინიშზე" იგი მივიდა მეოთხე — ლუკ მონტანიეს, როდერტ გალოსა და ჯეი ლევის შემდეგ. მაგრამ იგი იყო პირველი, ვინც დაამსხვრია ვირუსის პასიურობის მითი.

ექიმ ხოს მუშაობით დაინტერესდა ცნობილი ფილანთროპი და მეცნიერების მეცენატი ირენ დაიმონდი. მან გადაწყვიტა ნიუ-იორკში დაეარსებინა შიდსის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და მის ხელმძღვანელად მიეწვია ყველასთვის უცნობი 37 წლის დევიდ ხო. „მეუბნებოდნენ, რომ იგი მეტისმეტად ახალგაზრდაა და არ არის ცნობილი, — იხსენებს ქალბატონი დაიმონდი, — მაგრამ მე ვუპასუხებდი, რომ მჭირდება არა კინოვარსკვლავი, არამედ ნამდვილი მეცნიერი".

დაიწყო შიდსთან ბრძოლის ახალი ეტაპი. ექიმმა ხომ მიზნად დაისახა ამოცანა — დაედგინა, რა ხდება ადამიანის ორგანიზმში, რომელიც დასნებოვნებულია ვირუსით, მაგრამ ჯერ არ არის დაავადებული შიდსით. ინსტინქტი უკარნახებდა, რომ ამ კითხვის პასუხს შეიძლებოდა, თავის მხრივ, ეკარნახა აქამდე უკურნებელ სნეულებებთან ბრძოლის ეფექტიანი მეთოდები. სისხლის ჩვეულებრივი ანალიზი ცხადყოფდა, რომ მომაკვდინებელი ვირუსების რაოდენობა ამ ეტაპზე თითქმის ნულის ტოლია. მაგრამ ექიმ ხოს გენიალობა სწორედ ის არის, რომ მან შეძლო არითმეტიკული ნული განესხვავებინა ვირუსოლოგიურისაგან. სისხლში ვირუსის რაოდენობა თითქმის ნული იყო, მაგრამ ლიმფურ სტრუქტურებში — ათასები და მილიონები. იქ ისინი უჩინმაჩინებივით მრავლდებოდნენ, რათა შემდეგ დაეწყოთ გადამწყვეტი შტურმი. იმუნური სისტემა გარკვეული დროის მანძილზე უმკვლავდება ვირუსს, მაგრამ საბოლოოდ ფარხმალს ყრის. ხო ამ ბრძოლას ადარებს მარათონელის რბენას, რომელიც ვერ უძლებს აღებულ ტემპს. ვირუსები, რომლებიც სწრაფად მრავლდებიან, ფიტავენ ორგანიზმის დამცავ შესაძლებლობებს და იგი „დისტანციას ტოვებს".

ექიმმა ხომ, რომელიც ექსპერიმენტებს აყენებდა ოც ავადმყოფ მოხალისეზე, გამოავლინა ორი რამ. ჯერ ერთი, შიდსთან ბრძოლა უნდა დაიწყო მაშინ, როდესაც ავადმყოფის იმუნური სისტემა ჯერ კიდევ ნორმალურად ფუნქციონირებს. შიდსი უნდა გამოიწვიო, ასე ვთქვათ არა მარათონულ დისტანციაზე, არამედ სპრინტზე, მეორე, შიდსთან არ შეიძლება ბრძოლა მხოლოდ ერთი იარაღით, თუნდაც ყველაზე მძლავრით.

და აი, ექიმმა ხომ დაიწყო კომბინირებული ბადის ქსოვა ვირუსის დასაჭერად და გასანადგურებლად. ბადეს ქსოვდა ტრადიციული წამლით AZT-ით, Protease inhibitors-ით და კიდევ ერთი პრეპარატით, რომელიც ზტს-ის სახელწოდებით არის ცნობილი. როგორც ლოს-ალამოსის ეროვნული ლაბორატორიის ბაზაში მომუშავე ხოს კოლეგების მიერ შექმნილი მათემატიკური მოდელები ადასტურებს, ვირუსს „დიდი ჯაფა დაადგებოდა", რათა თავი დაეღწია ასეთი კომბინირებული ხაფანგისათვის. ვირუსს საამისოდ მოუწევდა უმოკლეს ვადაში განეხორციელებინა სამი მუტაცია და მხოლოდ მაშინ გადარჩებოდა. ლოს-ალამოსის კომპიუტერებმა გამოიანგარიშეს, რომ გადარჩენის შანსი აქ არის ერთიდან 10 მილიონამდე. ეს სტატისტიკა ამართლებდა ექსპერიმენტის რისკს და დოქტორმა ხომაც გაბედა.

ექსპერიმენტის შედეგები განსაცვიფრებელი გამოდგა. დევიდის ათ პაციენტთაგან შვიდმა უცებ მოიკეთა. სისხლის ანალიზი აჩვენებდა, რომ ვირუსების რაოდენობა იმ დონეზე უფრო დაბლა დაეცა, რომელიც შეიძლებოდა ანალიზურად აღრიცხულიყო. აურაცხელ ვირუსებთან გამუდმებული ბრძოლის დაძაბულობისაგან გათავისუფლებულმა ავადმყოფმა იმუნურმა სისტემამ რეამინირება იწყო.

მიღწეული შედეგები დევიდ ხომ თავდაპირველად გამოაცხადა ჟურნალ „ნეიჩურში", შემდეგ კი თავის სენსაციურ სიტყვაში ვანკუვერის კონფერენციაზე.

მე წილად მხვდა ბედნიერება დავსწრებოდი ამ მოვლენას. აუდიტორია — სპეციალისტებიც, პროფანებიც, და, განსაკუთრებით, ყველაზე დაინტერესებული პირნი — ავადმყოფები ექიმ ხოს აყრიდნენ კითხვებს: ხომ არ ნიშნავს ეს, რომ უკვე ნაპოვნია უებარი წამალი? შეგვიძლია უკვე არ გვეშინოდეს შიდსისა? შეგვიძლია დავივიწყოთ საშუალება „ანტიშიდსი?"

ყველა ამ კითხვაზე დევიდმა მტკიცე უარით უპასუხა.

მან ილაპარაკა იმის შესახებ, რაც გააკეთა, ეს იყო და ეს. და რას შეიძლება მოველოდოთ ისე, რომ რეალობას არ მოვწყდეთ, — მივაღწიოთ ვირუსის განადგურებას იმ ავადმყოფთა მცირერიცხოვან ჯგუფში, რომლებმაც ინფექცია „აიკიდეს" არა უმეტეს სამი თვის წინათ. თან, — „მხოლოდ საუკეთესო შემთხვევაში". როგორც ხომ თქვა, მისი „ანტივირუსული კოქტეილები" ალბათ ვერ უშველის ავადმყოფებს, რომელთა დაავადება უკვე გადასულია სისხლსავსე შიდსის სტადიაში. ნამდვილი, და არა მოჩვენებითი თუ დროებითი განკურნება ნიშნავს ვირუსების გაქრობას არა მარტო ავადმყოფის სისხლიდან, არამედ აგრეთვე ლიმფური კვანძებიდან, ტვინის უჯრედებიდან, ზურგის ტვინის სითხიდან, მამაკაცის სპერმიდან, ადამიანის ორგანიზმის ყველა კუთხე-კუნჭულიდან.

მაგრამ არც ეს არის ყველაფერი. ავადმყოფი მთელი სიცოცხლე „კოქტეილების" ამარა უნდა იყოს. მერედა, ყველას შეუძლია გაუძლოს მათი მიღების რიტმულ დისციპლინას, მათს თანამდევ ეფექტს, ყველას ექნება საამისო ფული? „კოქტეილი" — ეს არის ათობით აბი დღეში. ისინი უნდა მიიღო ზუსტად განსაზღვრულ დროს. მიღების გრაფიკის ნებისმიერი დარღვევა, და მით უმეტეს, პაუზები, არათუ აქარწყლებს მკურნალობას, არამედ კიდევ უფრო მეტადაც აღრმავებს დაავადებას, ვინაიდან საშუალებას აძლევს ეშმაკ ვირუსს გონს მოვიდეს და მოახდინოს მუტანტური მეტამორფოზა. შეიძლება ფატალური გამოდგეს თანამდევი ეფექტებიც — ფაღარათით, გამოფიტვით, კრუნჩხვებით დაწყებული და თირკმლის კენჭებითა და ღვიძლის ტრავმებით დამთავრებული. და, ბოლოს, რამდენ კაცს შეუძლია თავს მისცეს იმის ნება, რომ ყოველწლიურად მარტო ამ „კოქტეილებზე" ხარჯოს ოცი ათასზე მეტი დოლარი? მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის, სადაც შიდსი განსაკუთრებით მძვინვარებს, ეს მიუწვდომელია. მაგრამ შეძლებულ ამერიკაშიც კი ყველას როდი აქვს საამისო სახსარი. და, ბოლოს, არის კიდევ ერთი „დაბოლოს". ვინ იცის, ეგებ ექიმ ხოს პაციენტთა გამოჯანმრთელება მხოლოდ დროებითს ხასიათს ატარებს.

აგერ უკვე წელიწადია, რაც ავადმყოფები, რომელთაც ექიმი ხო მკურნალობდა, სალ-სალამათნი არიან და ვირუსის თუ შიდსის არსებობისა არაფერი ეტყობათ, მაგრამ დევიდს ახსოვს, რომ ვირუსოლოგიური ნული არ არის მათემატიკური ნულის ტოლი. იგი კოლეგებთან ერთად კვლავ ეძებს მზაკვარ ვირუსს ლიმფაში, ტვინის უჯრედებში, სპერმაში, ტვინის სითხეში. დამარცხებულია მტერი თუ უბრალოდ გაირინდა და საბედისწერო კამარისათვის ემზადება? მაგრამ ექიმი ხო ოპტიმისტურად არის განწყობილი. ლოს-ალამოსის კომპიუტერულმა მოდელებმა გამოიანგარიშეს, რომ ორი-სამი წლის მანძილზე თუ არავითარი შეცდომა არ დაუშვ „კოქტეილური" თერაპი შედეგად ვირუსი უნდა გ დაიწვას, და მოკვდეს.

მართალია, ყველა მეც ერი როდი ეთანხმება ხოს და კომპიუტერებს. მ ყუან-მართლის დადგენა შ უძლია მხოლოდ ძალზე ს სტიკ ექსპერიმენტს. დევ დის „გამომჯობინებულმა პაციენტებმა უნდა შენ ტონ „კოქტეილების" მიღ ბა, რათა მედიცინას გაეც პასუხი მტანჯველ კითხვაზ

1996 წლის უპირველესმ კაცმა ჩვენ მოგვიტანა არ შიდსისაგან განკურნები იმედი და მით უმეტეს, არ თვით განკურნება. მან მოგ ვიტანა იმედის იმედი რაო დენ მცირე და რაოდენ ბევ რია ეს ერთდროულად! მრ სხანე მტრის აქილევსის ქუ სლი მიგნებულია, მაგრა ჯერ არ არის განგმირულ

დევიდ ხო გარეგნულა სულ არა ჰგავს წმინდა გ ორგის, ურჩხულს რომ გმ რავს. მოლიმარი, პირმრგვა ლი, სათვალიანი ხო, რომე ლიც თავის 43 წელიწადზ გაცილებით უფრო ახალგა ზრდად გამოიყურება, — ე არის დასავლეთის მიერ და ხვეწილი ტიპიური ჩინელ ინტელიგენტ-ინტელექტუა ლი, რომლის პიროვნებაში ერთმანეთს ერწყმის ჩინურ სიბრძნე და ამერიკული გ რგილიანობა. იგი ჩინურად ფიქრობს, მაგრამ ინგლისუ რად მეტყველებს. იგი ცდი ლობს ხაზგასმით არ წარმო აჩინოს თავისი ჩინური ბე გრაუნდი, როგორც მისი წა რმატების ერთ-ერთ მთავარი კომპონენტი, მა გრამ სწორედ ეს არის წმ ნდა წყლის ჩინური თვისებ უფრო სწორედ, ღირსება — თავმდაბლობა.

მისი უმცროსი ძმა, ფილ პი, ამბობს, რომ დევიდი — ეს არის კაცი, რომელმაც ა ლაგმა ტემპერამენტი და გ ნივითარა „ლეგენდარულ სიმშვიდე". შიდსს ვერ ა გმავ, თუ შენი ვნებები არ ა ლაგმე. ძალების ბალანს ყოველთვის იხრება სული რად გაწონასწორებულ ადამიანების სასარგებლო დევიდის საყვარელი აფო რიზმია ტაოისტი ბრძენკა ცის დიდი ლაო-ძის გამონა თქვამი „ამ ქვეყნად ყველა ზე რბილი საგნები ამარცხ ბენ ყველაზე მაგარ საგნებ (ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „გასტეხს ქვასაც მაგარსაო..."). ხომ არ ფ ქრობს იგი, როდესაც ა აფორიზმს ამბობს, საკუთარ თავსა და შიდსზე? სავსებით შესაძლებელია. მაგრამ ახლა მე ვფიქრობ სულ სხვაზე — იმაზე, რომ მშვიდობამ ბო ლოს და ბოლოს სძლი ომს, კეთილმა — ბოროტ და თვით ჟურნალ „ტაიმს" — პირმშოს გაზეთის მეფ ჰენრი ლიუსისას, რომელმაც XX საუკუნეს ამერიკანიზმის ხანა უწოდა, თავის ყდაზე წლის კაცად გამოჰყავს არა სუპერმენ-პოლიტიკოსი თუ გენერალი, არა წყალბადის ბომბის მამა და ატომური პაპა, არამედ ექიმი დევიდ ხო, რომელიც ჩვენი გული სათვის შეება XX საუკუნის ჭირს — შიდსს.

მელორ სტურუა.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების— OMRI -სა და „პლანეტა—ფორტეს" მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

ეროვნული

საშობაო ეპისტოლე

დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ერთი ცნობილი ბედნიერი ოჯახის ისტორიას გავიხსენებ: წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის დედა, ნონა, იყო შვილი შესანიშნავი ქრისტიანი მშობლებისა. გოგონა გამოირჩეოდა მტკიცე სარწმუნოებით და მორჩილი ხასიათით. როდესაც მისი გათხოვების დრომ მოაწია, მისი ნების საწინააღმდეგოდ მშობლებმა იგი ახალგაზრდა წარმართს გააყოლეს. აქედან დაიწყო ნონას მძიმე გამოცდა. მეუღლეებს ერთმანეთის არ ესმოდათ, მათი ინტერესები და მისწრაფებანი სხვადასხვა იყო. როდესაც ნონა ცალკე ოთახში ხატების წინ ლოცულობდა, მისი მეუღლე მეორე ოთახში მსხვერპლს სწირავდა კერპებს; და საერთოდაც ვერ უგებდნენ ერთმანეთს. ნონა იმედს არ კარგავდა და დღემუდამ გულმხურვალედ შესთხოვდა უფალს, შინაგანი თვალი აეხილა მისი მეუღლისათვის, რათა მასაც ეცნო ჭეშმარიტება. და აი, ერთხელ ნონას ქმარს ძილში გამოცხადება ჰქონდა: იგი გალობდა მისთვის უცნობ დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნის სიტყვებს: „გავიხარე, როცა მითხრეს: „უფლის სახლში წავიდეთ“ (ფს. 121, 1). ამ ხილვის შემდეგ სრულიად შეიცვალა ნონას ქმრის ცხოვრება და მართლაც დაიწყო სვლა უფლის სახლისაკენ. იგი გახდა არა მარტო კარგი ქრისტიანი არამედ სასულიერო პირიც – მოძღვარი; უფალმა განსაკუთრებული მადლი მოიღო მათ ოჯახზე, ეკლესიის მნათობად გამობრწყინდა მათი შვილი, დიდი გრიგოლ ღვთისმეტყველი — მთავარეპისკოპოსი კონსტანტინეპოლისა.

ასეთია შედეგი რწმენისა, სიყვარულისა, სასოებისა და მოთმინებისა. ამიტომაც ვამბობთ, რომ ოჯახური ცხოვრებისათვის უნდა მოვამზადოთ ახალგაზრდები. ამ საკითხით უნდა დაინტერესდეს სახელმწიფოც, ეკლესიაც, ოჯახიც და სასწავლებელიც. მტკიცე ოჯახი — მტკიცე სახელმწიფოა.

სამშობლოს, შენი სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის გრძნობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი და საუკეთესო თვისებაა ადამიანისა. ბიბლიაც და ჩვენი ქვეყნის ისტორიაც სავსეა მამულისა და ქვეყნისადმი თავდადებული სიყვარულის მაგალითებით. ძველ აღთქმაში ვკითხულობთ მოსე წინასწარმეტყველის, ისუ ნავეს, სამუელის, მეფე დავითის, ილიას, ათთა მაკაბელთა და სხვათა შესანიშნავ ცხოვრებებს. ისინი სამშობლოსთვის სანთლად იწვოდნენ და მზად იყვნენ ყოველ წუთს გაეწირათ სიცოცხლე თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის.

„თუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმ, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა. მიეკრას ჩემი ენა ჩემს სასას, თუ არ გაგიხსენო, თუ არ დავაყენო იერუსალიმი ჩემი მხიარულების სათავეში“ (ფს. 136, 5-6), – დავით წინასწარმეტყველის ამ სიტყვებს ფიცად დებდნენ ებრაელები ბაბილონში ტყვეობის ჟამს. ისინი მარტო კი არ იფიცებდნენ და მოსთქვამდნენ, არამედ მოქმედებდნენ, იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ.

თავისი ხალხისადმი განსაკუთრებული სიყვარული იყო იესო ქრისტეშიც.

ჩვენი ქვეყნის წარსულიც მამულისადმი თავგანწირული სიყვარულის მრავალ მაგალითს გვიშლის: მოწამეებმა დავითმა და კონსტანტინემ, მეფეებმა არჩილმა და ლუარსაბმა, დიმიტრი თავდადებულმა, ქეთევან დედოფალმა და ათასობით სხვამ თავი დადეს რწმენისა და სამშობლოსათვის და როგორც მაგალითნი მისაბაძნი და საოცარნი წმიდანად იქნენ აღიარებულნი.

ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა ამ მიმართულებითაც უნდა გაძლიერდეს. ბავშვებს მამულის სიყვარულის, სულის სიძლიერის და ვაჟკაცობის გრძნობა პირველყოვლისა მშობლებმა უნდა ჩაუნერგონ, სკოლამ და უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა განუმტკიცოს იგი. მხატვრულმა ლიტერატურამ, სპექტაკლებმა, კინოფილმებმა კი უნდა გააძლიერონ. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ახალგაზრდების და საერთოდ ადამიანის ფორმირებაში ენიჭება ეკლესიას.

ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ მომავალი თაობა ამავე დროს მშვიდობის და მეგობრული სულისკვეთებით აღვზარდოთ. ეს გრძნობები ჩვენი ხალხისათვის ოდითგანვე მახლობელი იყო, მაგრამ ურწმუნოებამ ბევრი რამ დაამახინჯა და ამიტომაც არის, რომ ეგოიზმს აყოლილი ჩვენი ახალგაზრდები ხშირად ავლენენ დაუნდობლობას მოყვასის მიმართ.

სამართლიანობა და სიყვარული არის მთავარი პირობა ადამიანებს შორის მშვიდობისა. კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაა და იგი ღვთისგან ნაბოძები დიდი წყალობაა. ადამიანი ესწრაფვის სხვასთან დაახლოებას, რადგან ამით გარკვეულწილად ივსებს სიცარიელეს, იღებს ენერგიას, იბადება ახალი აზრები და იდეები; ასეთი ურთიერთობით ერთმანეთს ვეხმარებით ამქვეყნიური ცხოვრების ჯვრის ზიდვაში. წმ. პავლე მოციქული წერს: „ურთიერთის უღელი იტვირთეთ და ამით აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალ. 6, 2).

თუ გვსურს, ადამიანებთან მშვიდობა გვქონდეს, აუცილებელია მშვიდობა დავამყაროთ საკუთარ თავთან, მოვიპოვოთ სულის სიმშვიდე, ეს კი ისევ და ისევ ეკლესიურობით, ვნებებთან და ცოდვებთან ბრძოლით, ღვთის მცნებებისა და მისი ნებისადმი ერთგულებით მიიღწევა.

ჩვენ ხშირად ვფიქრობთ ეკლესიის დანიშნულებაზე და მის საიდუმლოებებით სავსე ცხოვრებაზე, თუმცა ბოლომდე ვერ ვწვდებით, ვერ ვიცნობიერებთ მის არსს. მრწამსში ვკითხულობთ: „მრწამს ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია...“ ეკლესია ღვთით დადგენილი ის წიაღია, სადაც ხდება საოცარი ფერისცვალება ძველი კაცისა ახალ ადამიანად, რომლის დროსაც თითოეულ ჩვენგანში იშვება ქრისტე. ხელახლად შობის პროცესი მძიმე და რთულია. იგი „მშობიარობის ტკივილებში“, ანუ საკუთარ თავთან, ხილულ და უხილავ ბოროტ ძალებთან, მიწიერ ვნებათა და საცდურთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოვლინდება და სულიერი დალუპვისაკენ მიმავალი ფართო გზის უარყოფას ნიშნავს.

ეკლესია მადლმოსილია არა მარტო იმიტომ, რომ მაცხოვრის ჯვარცმიდან ორმოცდამეათე დღეს მიიღო სულიწმიდის მადლი, არამედ იმიტომაც, რომ ეს მადლი დღემდე გადადის თითოეულ მის წევრზე და სიახლით, სიცოცხლის ძალითა და სინათლით აესებს მთელ სამყაროს. ბედნიერნი ვართ, რომ სულიწმიდის ეკლესიის წევრები ვართ. ეკლესია სულის განსაკურნებელი სავანეა. აქ მოდიან ყველანი: კეთილნი და ბოროტნი, ქვრივნი და ღატაკნი, მდიდარნი და მრუშნი, მკვლელები; მოდიან ცხოვრებით დაღლილნი და მიწიერი ყოფიერების გზაზე ახლად შემდგარნი, მოდიან ტვირთმძიმენი და სნეულნი, კეთილშობილნი და ბოროტი ძალით შეპყრობილნი, მოდიან, რათა უკეთესი გახადონ თავისი ცხოვრება, გამოასწორონ ჩადენილი დანაშაული, ჩამოიცილონ ჭუჭყი სულისა. ეკლესია ყველას აძლევს საშუალებას განწმენდისა და სულიერი ფერისცვალებისა, ოღონდ უნდა იყოს ჭეშმარიტი სინანული და დიდი სურვილი ცოდვისაგან განთავისუფლებისა.

არაეკლესიური ხალხი ხშირად განიკითხავს ეკლესიას იმის გამო, რომ აქ ხედავენ ცოდვებით დამძიმებულ ადამიანებს. მათ ავიწყდებათ მაცხოვრის სიტყვები: „არა მოვედ მართალთა მოწოდებად, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მათე. 9, 13).

ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ღმერთმა უბრძანა დავით მეფეს და სოლომონს აეგოთ ტაძარი — სახლი უფლისა. ახალ აღთქმაში ტაძრის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა. ზეცა მიწაზე, — ასე უწოდებს ეკლესიას დიდი მამა, წმ. გერმანე — პატრიარქი კონსტანტინეპოლისა. და მართლაც, აქ ხდება შეერთება ზეციური და მიწიერი ეკლესიისა, ზეციური ეკლესია, რომელიც არის ანგელოზთა, მოციქულთა, წმინდანთა და მარადიული ნეტარი ცხოვრების ღირს ჩვენს დიდებულ წინაპართა მთელი დასი, ლოცვის და წირვის დროს უკავშირდება მიწიერ ეკლესიას. რომელსაც წმ. მამები მებრძოლ, ანუ მოგზაურ ეკლესიას უწოდებენ. და იქმნება ერთიანი, განუყოფელი სხეული ქრისტესი. ამით სრულდება აღთქმა მაცხოვრისა, ამაღლების შემდეგ რომ დაუდო თავის მოწაფეებს და მათ მიმდევართ: „მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ (მათე. 18, 20). საბრალონია, რომელნიც სიცოცხლეს ეკლესიის — ქრისტეს სხეულის გარეშე განლევენ, ამქვეყნად ვერაფერი ვერ შეავსებს იმ სიცარიელეს, რასაც ადამიანი არაეკლესიურობით კარგავს. ეკლესია, მართალია, განსაზღვრულია დროით და სივრცით, მაგრამ იგი მიმართულია ზეცისაკენ და თავისი შვილები მიჰყავს ნეტარმარადიულობაში.

საეკლესიო დღესასწაულები არა მარტო იმ ღირსშესანიშნავ წმიდა მოვლენებს გვახსენებენ, შორეულ წარსულში რომ მოხდა, არამედ გვაახლოებენ იმ სულიერ სიწმინდესა და რეალობასთან, რომელიც უჟამოა, დროზე მაღლა დგას და სულიერ ძალას გვმატებს.

ქრისტეშობისას იგალობება საგალობელი: „... ქრისტე იშვა ბეთლემს...“ ბეთლემი, — ეს ჩვენი გულია. ჩვენს გულში არა თუ უნდა დაიბადოს ქრისტე, არამედ უნდა სუფევდეს განუშორებლად. მისი მარადიული სიყვარული უნდა ავსებდეს და ათბობდეს ჩვენს სულს ამქვეყნადაც და იმ სოფელშიც. ამისთვის ვართ ჩვენ მოწოდებულნი.

წმ. მღვდელმოწამე მეთოდე გვასწავლის ასეთ ლოცვას: „უფალო განწმინდე გული ჩემი და ჰქმენ იგი სავანედ სულისა წმიდისა“, — ეს სიტყვები მიგვანიშნებს, რომ თუ გვსურს შევიმოსოთ სულიწმიდის მადლით, უპირველეს ყოვლისა გული უნდა განვიწმინდოთ, რაც ეკლესიის გარეშე შეუძლებელია.

ეკლესია ერთად-ერთი ადგილია ჩვენი გადარჩენისა; იგი კარიბჭეა მარადიული ნეტარი ცხოვრებისა. არ შეიძლება დაგვიანება, დაუშვებელია სულიერი განწმენდის კიბეზე ზეასვლის სამომავლოდ გადადება. არავინ არ იცის, რას გვიმზადებს ხვალინდელი დღე. მაშ, ნუ დავაყოვნებთ, გავხდეთ წევრნი ქრისტეს ეკლესიისა, და ვეზიაროთ იმ სიწმინდეს, რასაც გვთავაზობს იგი ნათლობის, მირონცხების, აღსარების, ზიარების და სხვა საიდუმლოთა მადლით.

ღირსი ანტონი დიდი ბრძანებს: „ილოცეთ, რათა უფალმა მოგანიჭოთ მადლი, რომ ყოველივეს ხედავდეთ ნათლად, განსჯიდეთ სწორად და შეუცდომლად განარჩევდეთ რა არის სიკეთე და რა ბოროტება“. თუ ვიქნებით ეკლესიურნი, გავხდებით ღირსნი ამ მადლისა, მაშინ აღარც ჩვენს წინაშე მდგომი პრობლემების შეგვეშინდება.

სკეპტიკოსები, როდესაც დიდ წინააღმდეგობებს აწყდებიან, ამბობენ: ამის გაკეთება შეუძლებელია; მორწმუნეს პასუხი კი ასეთია: კაცთათვის შეუძლებელი, ღვთისათვის შესაძლებელია.

როგორ შეძლო ყრმა დავითმა, დაემარცხებინა გოლიათი? როგორ შეძლო საქართველომ, გაეძლო მრავალრიცხოვან მტერთა შემოსევებისათვის? ჩვენთან იყო, არის და იქნება ღმერთი! მთავარია, ჩვენ არ განვუდგეთ მას, არ მივატოვოთ იგი.

საიდუმლო ნამდვილი წინსვლისა და გამარჯვებისა სულიერ ძლიერებაშია. იმარჯვებს არა გონება, აზროვნება და ფიზიკური ძალა, არამედ ძალა ღვთისა, რომელიც ღვთის სათნო შვილთ, ღვთის საყვარელ ერს მიენიჭება. მტერზე გაიმარჯვებთ „არა ძალითა და ძლიერებით, არამედ ჩემი სულითო, ამბობს უფალი საბაოთ“ (ზაქარია 4,6).

ჩვენი ხალხი დღეს სიმბოლურად სინას უდაბნოში მოგზაურობს. ეს არის დრო განწმენდისა, დრო ჩვენი რწმენისა და გამძლეობის გამოვლინებისა.

ღვთის წყალობით, იმედი მაქვს, რომ გავუძლებთ ამ გამოცდას და შევალთ „აღთქმულ ქვეყანაში“.

რწმენით, სასოებითა და სიყვარულით აღვსილი ყველას გულითადად გილოცავთ ქრისტეშობის დიდებულ ზეიმს. მწამს, რომ გავხდებით ბედნიერი მოწმენი და თანაზიარნი ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისა. მწამს, უფლის წყალობით, საქართველო იქნება ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო და გავიხარებთ მშვიდობითა და კეთილდღეობით.

მაშ, სასოებით შევთხოვოთ შემოქმედს: „აკურთხე გვირგვინი წელიწადისა შენისა უფალო!“

კურთხეულია ღვთისმშობლის წილხვედრი ივერია. ინებოს ღმერთმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხებით გავხდეთ ღირსნი ამ დალოცვისა: მაშინ „უფალი გეყოლება საუკუნო მნათობად და ღმერთი შენი დიდებად შენდა“ (ისაია 60,20). ამინ!

ილია II
სრულიად საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქი
ქრისტეშობა
თბილისი, 1996-1997 წწ.

მილოცვა

მრავალ ახალ წელს — კოლეგებო!

კიდევ ერთი წელიწადი ჩაეარდა ჟამთასვლის ყულაბაში; კიდევ ერთი წელიწადი გახდა ისტორიის კუთვნილება; გარდამავალი პერიოდის კიდევ ერთი მძიმე წელიწადი გადაიტანა საქართველომ, თითოეულმა ჩვენგანმა, ჩემო კოლეგებო. და მაინც, თქვენ — ჟურნალისტებო, მასმედიის წარმომადგენლებო, ბედურას ერთგულებით ერთგულობდით პროფესიას; შრომის დაბალი ანაზღაურების მიუხედავად, სხვა სფეროში არ გიძებნიათ სიკეთე. იქ დარჩით, სადაც ხართ და სხვაგვარად არ ძალგიძთ.

ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს. ღმერთმა მოგცეთ ჯანმრთელი სიცოცხლე, მხნეობა, შემოქმედებითი ნაპერწკალი საწერ მაგიდასთან, ტელე-კამერასთან, რადიო-მიკროფონთან, როტატორულ მანქანასთან თუ კომპიუტერთან.

მრავალ ახალ წელს, კოლეგებო!

დიდი პატივისცემით,

აკაკი სიხარულიძე,
საქართველოს
ჟურნალისტთა ფედერაციის
სახელით, ფედერაციის
თავმჯდომარე.

დავით მეფის საგალობლები

„... მაშინ ააგო ფსალმუნთა სახლი:
მსახიობელთა ღამეული თავშესაფარი –
გზად მიღებული ჭრილობების გასაყუჩებლად...“

ნილოი ზაქსი, „დავითი.“

ბეთლემი. დავით წინასწარმეტყველისა და იესოს შობის ადგილი.

ხალხური გადმოცემით, ისრაელის მეფეს, ბიბლიური ფსალმუნების ავტორს, დავით წინასწარმეტყველს (X საუკუნე ჩვენს ერამდე) თავისი ქნარი სამეფო სასახლის გალავანთან ჰქონია ჩამოკიდებული წმინდა იერუსალიმში. მთელი დღე, დილიდან ვიდრე შუაღამემდე, იგი თურმე დუმდა. შუაღამისას კი, როცა იერუსალიმის ტაძრებსა და ციხე-გალავნებს ჩრდილოეთის მაცოცხლებელი ნიავი დაჰბერავდა, ქნარი შეირხეოდა და თვითონვე იწყებდა გალობას. მის ჰანგებზე გამოღვიძებული მეფე-პოეტი გამოდიოდა ტალანში, ჩამოიღებდა ქნარს და განთიადამდე თხზავდა თავის უკვდავ საგალობლებს.

ჭეშმარიტად, ფსალმუნთა წიგნი ღვთიური შთაგონებით არის შექმნილი და დიდი მეფე-წინასწარმეტყველი მხოლოდ უზენაესის ნებას თუ აღასრულებდა.

არანაკლებ საინტერესოა მეორე ლეგენდაც, რომელიც ძველი აღთქმის წიგნების (ფსალმუნები კი — მათი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია) პირველ ბერძნულ თარგმანს, ე.წ. სეპტუაგინტას უკავშირდება: სამოცდათორმეტმა ალექსანდრიელმა ებრაელმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად რომ დაასრულა „თანახის“ (ძველი აღთქმის ებრ. სახელწოდება) თარგმნა და თავიანთი თარგმანები ერთმანეთს შეუჯერეს, ყოველი მათგანის ტექსტი აბსოლუტურად იდენტური აღმოჩნდა. ყველასათვის საცნაური გახდა, რომ მთარგმნელები ზეგარდმო ძალებთან იყვნენ წილნაყარი და უფლის კარნახით მოქმედებდნენ...

ფსალმუნთა წიგნი (ძველქართული ტრადიციით „დავითნი“) და მისი ავტორი იმთავითვე აყო ცნობილი საქართველოში (ამის დასტურად თუნდაც „შუშანიკის წამება“ იკმარებდა). ქართული საისტორიო ტრადიცია ბაგრატიონთა სამეფო გვარს დავით წინასწარმეტყველის შთამომავლად („დავითიან-ბაგრატოვანნი“) და, შესაბამისად, ქრისტესთან წილნაყარად მიიჩნევს, რაკი თავად იესოც, ახალი აღთქმის გენეალოგიით, დავითის შტოს განეკუთვნებოდა, როგორც ამას გვაუწყებს სახარება მათესი — „წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისი, ძისა აბრაჰამისი...“

ფსალმუნთა ადრეული (თავისთავად უბრწყინვალესი) ქართული თარგმანები სეპტუაგინტადან უნდა იყოს შესრულებული, თანაც, როგორც ჩანს, ბერძნული თარგმანიც მოგვიანებით დადგენილ და კანონიზებულ ებრაულ ტრადიციულ (ე.წ. მასორეთულ) ტექსტამდე არსებულ დედანს ეყრდნობა და ალაგ-ალაგ განსხვავებულ ვარიაციებს შეიცავს. ამიტომ საჭიროება ამ წიგნთა უშუალოდ ებრაული ენიდან თარგმნისა დიდი ხანია არსებობს. ნებისმიერი თარგმანი და ნებისმიერი ახლებური წაკითხვა, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს ლიტერატურულ-კულტურული თვალსაზრისითაც. ყოველივე ამან განაპირობა ჩემი ცდა — ფსალმუნთა ახალი, უშუალოდ დედნის ენიდან შესრულებული თარგმანი დედნისავე პოეტური ფორმით მივაწოდო ქართველ მკითხველს.

ჯემალ აჯიაშვილი.

ფსალმუნი 4

გუნდის ლოტბარს. მუსიკალურ საკრავებზე.

2. ოდეს მოგიხმობ, შემეხმიანე, უფალო ჩემი
სიმართლისაო!
იწროების ჟამს სივრცე მომეცი,
შემიწყალე და შეისმინე ჩემი გალობა.
3. ვიდრემდე იყოს, ადამის ძენო, ღირსება ჩემი
დამცირებული,
ვიდრემდე ეტრფით ამაოებას
და სიყალბისკენ გაგირბით თვალი?
4. სცანით – უფალმა აირჩია კეთილმოსავი,
უფალი ისმენს, როდესაც ვუხმობ.
5. იგულისწყრომეთ და ნუ შესცოდავთ,
და ღამით, ოდეს სარეცელზე განმარტოვდებით,
თქვენსავე გულებს ესიტყვეთ ჩუმად!
6. შესწირეთ მართლის შესაწირველი და ესასოეთ
უფალსა თქვენსა!
7. მრავალი იტყვის:
„სახიკეთოს ჩვენ ვინ გაგვიმხელს?“
გარდმოაფინე, უფალო, ჩვენზე
ნათელი შენი სახიერების!
8. შენ უფრო მეტი სიხარული მოაგე ჩვენს გულს,
ვიდრე მათ ჰქონდათ, ოდეს უხვობდა პურეული და
ბადაგი მათი.
9. დავწვები მე და მშვიდობაში დამეძინება,
რადგან, უფალო, მხოლოდ შენა ხარ,
ვინც სასოებით დამაბინადრებს.

ფსალმუნი 13

გუნდის ლოტბარს. დავითის ფსალმუნი.

2. როდემდე ვიყო,
უფალო, შენგან საუკუნოდ დავიწყებული,
შენს მიერ სახეშექცეული როდემდე ვიქვე?
3. როდემდე ვიხმო ზრახვები სულში
ყოველდღიური სატკივარით გულგასენილმა,
როდემდე უნდა მძლავრობდეს ჩემზე აღზევებული
მოშუღლე ჩემი?
4. მომხედე მე და შემისმინე, უფალო ღმერთო,
გამომიბრწყინე თვალში ნათელი,
რომ არ მივიქცე სიკვდილის ძილით;
5. რომ არ იზრახოს ჩემმა მტერმა: დავთრგუნე იგი!–
გაიხარებენ მძლავნი ჩემნი,
თუ უცაბედად დამიცდა ფეხი.
6. მე კი ვესასოებ წყალობით შენით,
გულს განვიხარებ შენმიერი მაცხოვარებით,
საგალობლებით ვადიდებ უფალს –
კეთილმყოფელს და მწყალობელს ჩემსას.

ფსალმუნი 30

დავითის ფსალმუნი. სიმღერა სახლის განახლებისა.

2. უფალო ჩემო, განგადიდებ,
რომ შემივედრე
და არ ახარე მოძულე ჩემი.
3. უფალო ჩემო, ღმერთო ჩემო, ამოგღაღადე
და შენ განკურნე სალმობა ჩემი.
4. შენ სული ჩემი ამოიხმე ჯოჯოხეთიდან,
შენ გამაცოცხლე, უფალო ჩემო,
რომ არ შთავენთქე ქვესკნელის წიაღს.
5. უმღერეთ, უფლის წმინდანებო, მეუფეს თქვენსას,
მის წმინდა სახელს აღუვლინეთ სამადლობელი.
6. რამეთუ მისი გულისწყრომა მხოლოდ წამია,
ხოლო სიცოცხლე – სურვილი მისი:
ღამით გოდება დაისადგურებს,
გამთენიის ჟამს – მხიარულება.
7. მე კი შვების ჟამს ვეზრახე ჩემს თავს:
არ შევტოკდები უკუნისამდე!
8. უფალო, შენი ნება-სურვილით
მთა შემიმოსე შენმიერი შესამოსელით,
უკუმარიდე პირი შენი
და მე შევძრწუნდი.
9. და შენ, უფალო, ამოგღაღადებ, და ჩემს მეუფეს
დავევედრები.
10. რა ხელჰყრი ჩემს სისხლს, ჩემო უფალო,
უკეთუ მე ჩემს სამარეში დავეშურები?–
განა ეგ მტვერი შეგასხამს ქებას, შენს სიმართლეზე
ილაპარაკებს?
11. უფალო ჩემო, შემისმინე
და შემიწყალე,
გესავ, უფალო, მეოხად მექმენ!
12. როკვად აქციე გოდება ჩემი,
შემომაძარცვე ძაძა-ფლასები
და შემომასხი სიხარულის შესამოსელი:
13. რომ გიგალობო, დიდებაო, და არ დავდუმდე:
უფალო ჩემო,
მეუფევ ჩემო,
შენ განგადიდებ უკუნისამდე!

ფსალმუნი 42

ლოტბარისადმი. მოძღვრება. კორახის ძეთათვის.

2. როგორც ირემი ანკარა წყაროს,
ასე მოგელტვის სული ჩემი,
უფალო ჩემო!
3. ახარებს ჩემს სულს წყურვილი ღმერთის –
უკვდავი ღმერთის,
ძლიერი ღმერთის,
როდის მოვალ და
წარმოვჩნდები უფლის წინაშე!
4. დღისით და ღამით მაპურებდნენ ჩემი ცრემლები,
რომ დამმახოდნენ ყოველჟამიერ –
სად წავიდაო მეუფე შენი!
5. გავიხსენებ და
სული ჩემი გადმოიღვრება, –
როგორ ვილხენდი ათასების საკრებულოში
და მათთან ერთად შევედიოდი სალვთო ტაძარში
და მოზეიმე გუნდებთან ერთად
ქება-დიდებას აღვავლენდი
მხიარულ ხმებით.
6. რად დაღვრემილხარ, სულო ჩემო,
რატომ დამკვნესი? –
მიენდე ღმერთს და
განვადიდოთ კვლავინდებურად
მაცხოვარი და
მეუფე ჩვენი.
7. ო, ღმერთო ჩემო,
სული ჩემი შეძრწუნდა ფრიად, –
ამად გიხსენებ ქვეყნისაგან იორდანისა
და ხერმონისა,
მიცარის მხრიდან.
8. ეხმიანება უფსკრული უფსკრულს
ქვე გადმომსკდარი ნიაღვრის ხმებით, –
შენმა წყლებმა და
ღვარცოფებმა გადამიარეს.
9. დღისით წყალობას გარდმომივლენს
უფალი ჩემი
და ღამით –
სალვთო საგალობლებით
ჩემი ცხოვრების ღმერთისადმი აღვავლენ ლოცვას.
10. და ვეტყვი:
ჩემო სიმტკიცევ, რატომ განმიღექ,
რად დამატარებ შევიწროებულს
და შეჭირვებულს მტერთაგან ჩემთა?
11. მესრალებიან ჩემს ძვლებს ჩემი მტრები და
ნიშნისმოგებით მაყვედრიდნენ ყოველდღიურად:
„გვარქვი, სად არის მეუფე შენი?“



ბეთლემი, მღვიმე ქრისტეშობის ეკლესიაში.

12. რად დაღვრემილხარ, სულო ჩემო,
რატომ დამკვნესი? –
მიენდე ღმერთს
და განვადიდოთ კვლავინდებურად
მაცხოვარი და
მეუფე ჩვენი.

ფსალმუნი 51

ლოტბარისადმი. დავითის ფსალმუნი. რაჟამს მოვიდა მასთან ნათან წინასწარმეტყველი, მას შემდეგ, რაც ბათ-შებაყთან შევიდა.

3. მიწყალე, ღმერთო, შენი წყალობით
და შენი მრავალმოწყალებით,
მოწყალევ ჩემო,
წარხოცე ჩემი დანაშაული.
4. განბანე ჩემი უკეთურება
და ჩემთა შეცოდებათაგან
განმასპეტაკე.
5. რადგან მე ვუწყი ჩემეული უსჯულოება
და დღენიადაგ თანამდევენ
ცოდვანი ჩემნი.
6. შენ ერთს, შენ გცოდე,
უფალო ჩემო,
წინაშე შენსა აღვასრულე დანაშაული,
ჭეშმარიტია შენი სიტყვები
და უტყუარი –
სამსჯავრო შენი.
7. უსჯულოებით ჩავეისახე,
აჰა, ესერა,
ცოდვით დამბადა დედამან ჩემმან.
8. გესათნოება დაფარული ჭეშმარიტება
და განმიცხადებ იდუმალ სიბრძნეს.
9. მასხურე შენი უსუპი და
განვეიწმინდები,
განმბანე მე და,
უფალო ჩემო,
განვსპეტაკდები უფროის თოვლის.
10. მასმინე მე ხმა სიხარულის
და ხმა გალობის,
რომ ჩემი ძვლები –
ნაგვემი შენგნით –
სასიხარულოდ აღმეძრას ისევ.
11. უკუარიდე პირი შენი
ცოდო-ბრალს ჩემსას,
უსჯულოება წარხოცე ჩემი.
12. მართალი გული მომმადლე კვალად
და გვამსა შიგან განმიახლე
სპეტაკი სული.
13. ნუ უკუმაგდებ, უფალო, შენგან,
ნუ წამგვრი სულსა მშვენიერსა
სიწმინდის შენის.
14. კვლავ განმახარე შენმიერი მაცხოვარებით,
განმაძლიერე ზეგარდმო სულით.
15. მე კი ვასწავლი უსჯულოებს
ბილიკებს შენსას, –
ცოდვილნი შენდა მოიქცევიან.
16. მიხსენ სისხლიდან,
სისხლისთხევიდან –
ო, ღმერთო, ღმერთო,
ღმერთო ჩემი მაცხოვარების, –
და ენა ჩემი განადიდებს
სიმართლეს შენსას.
17. განხვენ, უფალო, ბაგენი ჩემნი
და პირი ჩემი გიგალობებს ქება-დიდებას.
18. რამეთუ მსხვერპლი შესაწირად შენ არ ისურვე,
არც ძღვენი ყოვლად-აღსავლენი
არა ინდომე.
19. ღმერთის მსხვერპლი და შესაწირავი
მოდრეკილი და
მორცხვი სულია,
მორიდებულ და მოდრეკილ გულებს
ნუ მისცემ, ღმერთო, მოლიზღართა შესალანძღავად.
20. იყავნ, უფალო, ნება შენი და
კეთილმძლეობა მოჰმადლე სიონს
და ზღუდეები აღუშენე იერუსალიმს.
21. მაშინ ისურვებ მართლის შესაწირს,
აღსავლენსა და
ყოვლად დასაწველს –
და სამსხვერპლოზე ზვარაკები აღევლინება.

ფსალმუნი 58

ლოტბარისადმი. „არ შეიმუსროს“. დავითის საგალობელი.

2. ნუთუ სიმართლეს ლაპარაკობთ,
მოსამართლენო,
სამართლიანად განიკითხავთ,
ადამის ძენო?
3. უკეთურებას აღასრულებთ
თქვენსავე გულში,
რომ საწუთროულ სასწორზე წონოთ
ბოროტეული ნაღვაწი თქვენი.
4. გარე-მიიქცნენ ცოდვილები
შობისთანავე,
გზას აცდნენ დედის მუცლიდანვე
სიცრუის მთქმელნი.
5. სამსალა მათი
სადარია გველის სამსალის –
ყრუ ასპიტისა,
რომელიც მდუმრად
დაიგმანავს და
დაიხშობს ყურებს.
6. და არად აქნევს
შემლოცველთა იდუმალ ჩურჩულს,
დაბრძენებული
გრძნეულის
გრძნებას.
7. ღმერთო,
შემუსრე მათი კბილები,
ლომებს ეშვები დაუმსხვრიე,
ჩვენო უფალო!
8. დაათხიე და
წარახდინე,
ვითარცა წყალი,
წარსადინელად რომელიც წარვალს,
ოდეს საომრად მოზიდონ მშვილდი,
ნამუსრალივით მიმოიბნეს
ისრები მათი.
9. ლოქორასავით გაილიოს,
გაღღვეს და
გადნეს,
დედის საშოდან მოწყვეტილივით ვერ მოიხილოს
ნათელი მზისა.
10. მაგრამ ვიდრემდე იეკლებდეს
რბილი ეკალი,
ჩამოიქროლებს მეუფის რისხვა
ბოროტეული ნაშიერის
წარსახოცავად.
11. და გაიხარებს წმინდანი ხილვით:
და შურისგების სიხარულით ატაცებული
ცოდვილის სისხლში
განიბანს ფეხებს.
12. და იტყვის კაცი:
„აჰა, აღსრულდა,
ეს არის მისი საზღაური სიწმინდისათვის,
რამეთუ მართლაც არსებობს ღმერთი,
ვინც ასამართლებს ქვეყნიერებას“.

გამოფენა

„ცხოვრება იესო ქრისტესი"

მამია მალაზონიას მიერ დასურათებულ „ახალ აღთქმას" პირველად შარშან გაეცნო საზოგადოებრიობა ბიზნესკლუბ „მთაწმინდის" საგამოფენო დარბაზში და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. სწორედ ამ ექსპოზიციამ დაბადა აზრი, რომ იესო ქრისტეს შობიდან 2000 წლისთავის მოახლოების ჟამს იგი წიგნად დაბეჭდილიყო.

იდეას ბათუმელი ქალბატონის იზო ფოფხაძის სახით გამოუჩნდა სპონსორი, რომელმაც სტამბოლის თფდქფტფშფტთ-ს დაუკვეთა მისი გამოცემა. წიგნის რედაქტორია პროფესორი ზურაბ კიკნაძე, ტექსტის ავტორი არტკრიტიკოსი დავით ანდრიაძე.

სამხატვრო გალერეა ეძთ-ში სწორედ წიგნის „ცხოვრება იესო ქრისტესი". პრეზენტაცია გაიმართა, ამასთან, აქვე წარმოდგენილი იყო ილუსტრაციების ორიგინალები და მხატვრის მიერ ბოლო წლებში შესრულებული ნამუშევრები: გრაფიკული ციკლი სათაურით „კლასიკური მწერლობის ალბომი", გალაკტიონის „შვიდი ლექსი", სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისა", იბსენის „პერ გიუნტი", გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი", „ფსალმუნნი მეფის დავითისი" და „იეროგრამები".

ორი კვირის განმავლობაში ეცნობოდა დამთვალიერებელი ამ გამოფენას, რომელმაც სამოცი წლის მხატვრის ბოლომდე ამოუხსნელი შესაძლებლობები წარმოაჩინა. თვითმყოფადი მხატვარ-ინტერპრეტატორის აქ ექსპონირებული ქმნილებები იშვიათი ტონალური სიმდიდრითა და სინატიფით გამოირჩევა. ეს სერიები ძირითადად ლიტერატურული პირველწყაროების საფუძველზე არის შექმნილი. მათი სახვითი სტილისტიკა სრულიად განსხვავებულია, იგი გვიზიდავს ფანტაზიისა და წარმოსახვის სიმდიდრით, ორიგინალური აზროვნებითა და ფაქიზი ტექნიკური ოსტატობით, კოლორისტისა და გრაფიკოსის თანაბრად ძლიერი ტალანტით, მხატვრული სახეების მეტყველი გამომსახველობით.

უდიდესი შინაგანი დატვირთვითა და ზემოქმედების ძალით მაინც „ცხოვრება იესო ქრისტესი" გამოირჩევა. პირველწყაროში ღრმა წვდომა, ლაკონიზმი, ზედმიწევნით გამომსახველი ხაზი და ფერი ბიბლიურად მკაცრ, თავშეკავებულ იერს, განსაცვიფრებელ დახვეწილობას ანიჭებს ამ ციკლის გრაფიკულ ფურცლებს. მიუხედავად მცირე ზომისა, ისინი მონუმენტურობით ხასიათდება. მხატვარი, ნაწარმოების ხასიათიდან გამომდინარე, ერთგვარ თხრობით რიტმს მიმართავს, ქრისტეს ცხოვრების მთავარ მომენტებს სიუჟეტურ ფრაგმენტებად გამოსახავს, და მათი აქცენტირებით შესაძლებლობას აძლევს მნახველს საკუთარი ფანტაზიის ასამოქმედებლად, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია ილუსტრაციის დარგში.

მალაზონიასეულ „ქრისტეს ცხოვრების" ნიმუშების საერთო კომპოზიციურ გააზრებაში სპეციფიკური დატვირთვა ენიჭება ილუსტრაციისა და ტექსტის ურთიერთმიმართებას, ახალი აღთქმის ხელნაწერი ტექსტების შეტანა სიძველის, რელიგიურ-პოეტურ განცდას აღძრავს მნახველში.

მამია მალაზონიამ „ქრისტეს ცხოვრებით" თავისი დამოკიდებულება და სათქმელი მაღალი ესთეტიზმითა და ღრმა ემოციურობით გადმოსცა, როგორც დავით ანდრიაძე აღნიშნავს — „მან ახალი აღთქმის ინდივიდუალურ ტექსტურა-ფაქტურას მიაგნო, რაც მთავარია, შეძლო მოეძებნა ის აურული გამა, ბიბლიურ წარსულში რომ „გვასახლებს", მიაღწია ფერადოვნებისა და ხაზის, მოძრაობისა და პიერატიკის სინთეზს". ეს თვისებები მხატვრის ამ ციკლს ქართული სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო შენაძენად აქცევს, რომელიც ამიერიდან წიგნად გამოცემულიც არსებობს და უფრო მეტ მნახველსა და დამფასებელს შეიძენს.

გიორგი ლალიაშვილი.


სურათზე: „შობა" მამია მალაზონიას ციკლიდან „ცხოვრება იესო ქრისტესი".

სიკეთე

ანთებული სანთლები

„... წყალობაი შენი, უფალო, თანა-მავალ მეყავნ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, დამკვიდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა, განგრძობასა დღეთასა..." (ფსალმუნი 22) — აი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პრინციპი და დევიზი.

შრომისმოყვარე ოჯახი და კეთილი ადამიანები აყალიბებდნენ მის სულს.

რასაკვირველია, სწავლა-აღზრდის როლი დიდია და გადამწყვეტი პიროვნების მეობის დაუნჯებაში, მაგრამ უმთავრესია მასში თავიდანვე განგებისაგან ჩადებული კოდი.

გურამ გეწაძის ძარღვებში, დედისა თუ მამის მხრივ, წინაპართა, ღვთისმორწმუნეთა სისხლი მოედინება, სწორედ იმ წინაპართა, ბაღდადის მთელ საკათედროში ეკლესიები რომ აღაშენეს.

საერთოდ, ბაღდადი, ეს უმშვენიერესი იმერული კუთხე, თითქოს ღვთის მიერ არის მირონცხებული, მიტომაც ძნელად თუ მოიძებნება სოფელი, სადაც ორი თუ არა, ერთი ეკლესია-ტაძარი მაინც არ მოქმედებდეს და არ აღავლენდეს ლოცვა-კურთხევას. მაგალითად, სოფელ დიმსა და ობჩაში მოქმედებს ორ-ორი ეკლესია, ხანში, რიკოთში, წითელხევსა და ვარციხეში კი — თით-თითო.

ობჩის ყოველი მკვიდრი ამ სოფელში სტუმრად ითვლება, მაგრამ ბატონი გურამი აქ მასპინძელიც გახლავთ, რადგან უშუალოდ მის მიერ გაღებული საჩუქრებითა და ქველმოქმედებით შეკეთდა, განახლდა და გალამაზდა მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია.

... უკვე ტაძრის თაღებქვეშ ვიმყოფებით. მაღლიდან სევდიანი და მოწყალე თვალებით გადმოგვყურებს მაცხოვრის ფრესკა.

— ღვთის წყალობითა და ბატონი გურამის თავდადებით დავდექით ფეხზე და მრევლიცა და ბერიც ჩვენკენ მოიქცა, — გვეუბნება ეკლესიის წინამძღვარი, მამა ვახტანგი.

მზე ილიმის ბაღდადის მაღალ ცაზე და ოქროსფერი ათინათი ცნობისმოყვარე ბავშვივით ვიწრო სარკმლიდან ეშვება და საკურთხეველს ეფინება...

ბატონი გურამი სწორედ ის კაცია, რომლის მონდომებითა და შემწეობით (საქართველოში პირველად!) ბაღდადის რაიონის სკოლებში შემოიღეს რელიგიის საფუძვლების სწავლება.

ეს განათლების რეფორმის დაწყებას ნიშნავდა რაიონში.

სოფლის ორღობეს მივუყვებით. სკოლის შენობის გვერდით ღვთისმშობლის კოპწია ეკლესია იწონებს თავს. ირგვლივ ოქტომბრის ოქროსფერი დღეები დამკვიდრებულა. სოფლის შარაზე არავინ ჩანს. სკოლის ფანჯრებიცა და კარებიც საგულდაგულოდ გამოუკეტავთ, — სა შემოდგომო არდადეგებია. ეკლესიას ვუახლოვდებით. კარები ფართოდ არის გაღებული. საყდარში რამდენიმე ახალგაზრდა სანთლებს ანთებს. მამა გიორგი, ერისკაცობით ირაკლი იოსებაშვილი და ბატონი გურამი სალმის შემდეგ მაშინვე საქმიან ბაასზე გადადიან, რამეთუ აქ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მოსახატი და მოსაჩუქურთმებელი.

ჩვენც უხმოდ მივიდივართ საკურთხეველთან და კრძალვით ვუნთებთ სანთლებს იმ გარდასულ წინაპართა სულებს, ვინც დღემდის გადაგვარჩინა პატარა, მაგრამ ჯიუტი და გაუტეხელი საქართველო.

„... შევიდე სახლსა შინა, თაყვანი ვცე ტაძარსა წმიდასა შიშით. უფალო, მიმეღუმე და სიმართლითა შენითა მტერთა ჩემთათვის წარემიმართე შენს წინაშე გზაი ჩემი..." — ამშვენებს წარწერა სოფელ ობჩის დედაღვთისმშობლის ეკლესიას. ეკლესიის წინამძღვარი მამა იოსები, კელაპტარივით სუსტი და ტანკენარი, ხელში „ბიბლიით" გვეგებება და საყდრისაკენ მიგვიძღვის.

— ეს ეკლესია, როგორც ამბობენ და როგორც ზედვე ეტყობა, წელამდე იყო მიწაში ჩაფლული და გამოკეტილ-გაუქმებული, მაგრამ მოვიდა ეს ღვთის კაცი (ბატონ გურამზე მიგვანიშნებს) და ყველაფერი შეიცვალა: გაიწმინდა და გასუფთავდა შემოგარენი, ამაღლდა და წელში გაიმართა საძირკველი, შეთეთრდა და დამშვენდა კედლები, — გვესაუბრება მამა იოსები. იქვეა პაწია, კოხტა საყდარი, ისიც ბატონი გურამის წყალობითა და შემწეობით განათლებული და გაცისკროვნებული.

ვტოვებთ ამ ღვთის საუფლოს და თან მოგვყვება სინათლე და სიმსუბუქე იმ ზეცურისა, რაც ასე გვჭირდება ჩვენ, მიწიერ ცოდვილებს.

მხოლოდ ერთი წელიწადი იმუშავა ბატონმა გურამ გეწაძემ ბაღდადის რაიონის გამგებლად და რამდენი სიკეთე მოუტანა რაიონსა და ხალხს: საფუძველი ჩაუყარა სასმელი წყლის, ელექტროენერგიისა და სამკურნალო წყლის „საირმის" ჩამოსხმისა და რეალიზაციის განახლებას, ხოლო მთელი რაიონის განათლების სისტემას, განათლების ყველა მუშაკს, ადგილობრივსა თუ დევნილს, შეჭირვებულსა თუ დავრდომილს, მოღვაწესა თუ პენსიონერს, ყოველთვის მხარში ედგა და უდგას, როგორც საერთაშორისო სტანდარტის ბიზნესმენი, რესპუბლიკის მრავალდარგოვანი ფირმა „ქართლის" დამფუძნებელი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი და საქართველოს პურპროდუქტების კორპორაციის მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარე.

სწორედ ბატონ გურამ გეწაძის თაოსნობით დაიწყო ქალაქ ბაღდადში იბერიის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის მშენებლობა. ასევე ქალაქ ბაღდადის ცენტრში დამთავრდა წარმოსადეგი კულტურის სასახლის მშენებლობა. შეკეთდება და დაგუმბათდება მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის სამრეკლო.

ღვთის კაცი! — ასე მოიხსენიებენ მას სასულიერო თუ საერო წრეებში.

დიახ, კაცი, რომელიც ბავშვობიდან მოკიდებული (მიუხედავად იმისა, რომ წარჩინებით სწავლობდა და ასევე წარჩინებით დაამთავრა მოკიდებული სკოლიდან, ყველა სასწავლებელი, ორი უმაღლესი სასწავლებლის ჩათვლით) ხნავდა, ფარცხავდა, თესდა, მკიდა, სხლავდა, აშყნობდა, რომელსაც მშობელი დედის უბიდან დაჰყვა ნიჭი შენებისა, თანადგომისა და ქველმოქმედებისა.

დიახ, უფლის მსახურია იგი და უფალი მფარველობს მას.

რქაწითელის ცინცხალი რტოებითა და ყლორტებით დაწნულ ფანჩატურში ვსხედვართ, ვეება ქვის მაგიდასთან. იქვე ბამბუკის გაშიშვლებული ტევრი ქათქათებს, ცოტა მოშორებით კი ნიგვზნარი და სიმინდის ყანის გადაჩოგრილი ჩალნარი ჩანს.

მთვარე კაკლის ხეზე შემომჯდარა და ჯადოქრულ მზერას არ გვაცილებს.

ბაღდადის რაიონის გამგებელი, ბატონი გურამის ყველა ჩანაფიქრისა და წამოწყების თანამოაზრე და თანამოაზრე და თანამონაწილე ბატონი ჯუმბერ მშვიდობაძე ჩვეული სიდინჯით გვესაუბრება მასპინძლების — ბატონი გურამის მშობლების ქალბატონი ეგნიასა და ბატონი იასონის ღვაწლზე.

ბატონი იასონი თითქმის 35 წელიწადია, გერმანულს ასწავლის სკოლაში. იგი საკმაოდ ცნობილი სახალხო მკურნალიც გახლავთ. დიდი ინტერესით ვისმენთ ბატონი იასონის მონათხრობს, თუ რამდენი განწირული ადამიანი დაუხსნია და განუკურნავს. გასაკვირი არაფერია — ის ხომ გრძნეული ცირცესა და კოლხი მედეას შთამომავალი გახლავთ...

ბინდისფერი მწვერვალიდან სხივი ნათელი კეთილი მეგზურივით ეშვება დაბლა და ფანჩატურში ფეხაკრეფით შემოდის. იქ, მწვერვალზე კეთილი ხელით განახლებული წმინდა გიორგის ეკლესია დგას ყულმოღერებით და სიამაყით დაგვყურებს ზემოდან.

თუ გინდა მარადისობას ეზიარო, დაე, მსახურებდე მარადიულს!..

ჯანო ჯანელიძე.

სათქმელი უნდა ითქვას

აკაკუნებენ, კარი არ გაუღოთ!

„ყოველ ხეს, რომელსაც კარგი ნაყოფი არ მოაქვს, ჭრიან და ცეცხლში აგდებენ".
მათე (7. 19)

ახლახანს ერთ ოჯახში მოვხვდი. საწერ მაგიდაზე თვალი მოვკარი მდიდრულად გამოცემულ მომცრო წიგნს. ყდაზე დიდი ასოებით ეწერა — „ლოცვის მასწავლებელი".

საიდან-მეთქი ეს წიგნი შენთან, ვკითხე ოჯახის უფროსს.

— ცოლმა ჩამოიტანა თურქეთიდან. იქაურ ნაცნობს მიუცია, წაიღეო, ყოველი შემთხვევისათვის...

გადავშალე და პირველივე გვერდზე, პირველივე აბზაცი ჩავიკითხე:

„დედამიწაზე მრავალი რჯული არსებობს. ზოგი მათგანი ღმერთის (ალლაჰუ თუღალას) მიერ არის მოვლენილი. ზოგი კი ადამიანების მიერ არის შექმნილი. ალლაჰუ თუღალას მიერ მოვლენილ რჯულებს შორის ყველაზე ბოლო, შეუცვლელი და დახვეწილი რჯული ისლამია.

ისლამის რჯული ყველა ხალხისთვის საერთო და აუცილებელია".

წიგნი დაბეჭდილია სტამბულში. ეს უკვე მეორე გამოცემაა. იქნება, ალბათ, მესამე, მეოთხე, მეხუთე გამოცემაც და მაშინაც ასე, „ყოველი შემთხვევისათვის", გამოატანენ ქართველ ქალებს აქ, ქმრების საწერ მაგიდაზე, ან ბავშვების საძინებელში ბალიშზე დასადებად...

სხვათა შორის, ამ „ლოცვის მასწავლებლის" ყდაზე სწორედ ბავშვებია გამოხატული... ისინი ლოცულობენ და სხვებსაც „აინტერესებენ" წიგნში ჩასაჭყეტად, ლოცვების გასაცნობად, იმის შესასმენად, რომ ისლამის რჯული ყველა ხალხისათვის საერთო და აუცილებელია...

კი მაგრამ... ქრისტეს რჯული?

გამოგიტყდებით: შინ ბიბლია არა მაქვს. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, როცა იგი მშვენიერ წიგნად დაისტამბა, რამდენჯერმე ვცადე მისი შეძენა, მაგრამ ამაოდ... ერთხელ სიონის ტაძრის მსახურნიც შევაწუხე. მაშინ ყველაფერ კარგზე რიგი იყო და რიგში ჩაწერეს ის რედაქციაც, რომელშიც მაშინ ვმუშაობდი.

დრო გავიდა და... ბიბლია არ შემხვდა. მერე, არ მოვერიდები ამის თქმას, ეს წმინდა წიგნი ბინძური სპეკულანტების ხელში მოხვდა. ისედაც 100-მანეთიანი წიგნს 150, შემდეგ კი 200 მანეთი დაადეს ფასად. ეს მთელი თვის ხელფასს აჭარბებდა. ვერ შევწვდი. ვერ შევწვდი და დავრჩი ისე. ჩემი ყოფა, ალბათ, ბევრმა გაიზიარა და ბევრი ოჯახი უბიბლიოდ დარჩა...

იმასაც ვიტყვი: მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ის ბიბლია შეიძინა, მაგრამ... შიგ არც კი ჩაიხედა, მხოლოდ და მხოლოდ თავის მოსაწონებლად წიგნის კარადა დაამშვენა. და დღესაც ასეა. უმეტესობას ბიბლია შინა აქვს სათქმელად და არა სულის საამებლად, რწმენის სალესად. რას ვიზამთ, ისეთ დროს მოგვიწია ცხოვრება, იქნებ, ახლა ძალზე ძნელია ღმერთისაკენ ჩვენი მოქცევა. თუმცა ისიც საკითხავია, — სცადა კი ვინმემ ჩვენთან ამ თემაზე თუნდაც უბრალო გასაუბრება?

სამაგიეროდ...

* * *

ბევრგან შემხვედრიან კრიშნაიტები, რომლებიც თავიანთ მდიდრულ ლიტერატურას ავრცელებენ, მაგრამ ნებისმიერ ზღვარს გადააბიჯეს იელოველებმა. თბილისში, მაგალითად, ყოველი ფეხის ნაბიჯზე დგანან ქალები, რომლებიც გამვლელ-გამომვლელებს უფასოდ, მუქთად ურიგებენ წიგნებს, ჟურნალებს, ბროშურებს, ბუკლეტებს, ნახატებს... მოგაწვდიან თავიანთ „პროდუქციას", ცოტას გაგესაუბრებიან, ცოტას მოგეალერსებიან და... რელიგიაში გაუთვითცნობიერებელი, მართლაც დაინტერესდები მათი შემოთავაზებულის გაცნობით...

„ეს ბროშურა გამოცემულია, რომ დაგეხმაროთ იმაში, თუ ვინ შექმნა დედამიწა... თქვენ გაიგებთ, რომ ღმერთია ის, ვინც შექმნა დედამიწა და რომ მას აქვს სახელი"...

„დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცა და დედამიწა... ღმერთს აქვს სახელი. მისი სახელია იელოვა: იელოვა ცხოვრობს ცაზე. ის არის სული. მისი დანახვა არ შეიძლება"...

ახლა მეორე ბროშურაში ჩავიხედოთ:

„აქ, დედამიწაზე მალე იქნება ქვეყნიერება, რომელიც სრულიად გათავისუფლდება ტანჯვისა და ბოროტებისაგან... ამ ახალ ქვეყნიერებას უკვე ჩვენს დროში ეყრება საძირკველი..."

„ეს იქნება ქვეყნიერება ავადმყოფობების, მწუხარების, ცრემლებისა და თვით სიკვდილის გარეშე. იმ დროს ადამიანები გასრულყოფილდებიან და მარადიულად იცხოვრებენ ბედნიერად სამოთხეში დედამიწაზე. მკვდრებიც კი აღდგებიან და მიეცემათ შესაძლებლობა იცხოვრონ მარადიულად"!

მოდით, მესამე ბროშურაც ვნახოთ.

„მეტად აღარ იშიმშილებს ხალხი სურსათის უკმარისობის გამო... მეტად აღარ იცხოვრებენ მჭიდროდ დასახლებულ მრავალსართულიან შენობებში ან გალატაკებულ ჯურღმულებში... მუშაობა ნაყოფიერი და დამაკმაყოფილებელი იქნება. სიცოცხლე არავის მობეზრდება"...

„უეჭველია შენი გული უნდა შეძრულიყო ღმერთის დანაპირებით, — მის სამართლიან, ახალ ქვეყნიერებაში ცხოვრების შესახებ. შესაძლოა ზოგი ფიქრობს, რომ ამ კურთხევების განხორციელება იმდენად კარგია, რომ ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ყოველივე ეს არ არის გაზვიადებული, ვინაიდან ამას ჩვენი მოყვარული შემოქმედის ხელით მივიღებთ".

„ნეტარ არიან მორწმუნენი". ერთი კომუნიზმი ჩაგვიფლავდა, მაგრამ აგერ, მოდის მეორე, ვგონებ, იმაზე უკეთესი. ამ გამაოგნებელ ყოფაში, ცხადია, დაგებადება სურვილი ამ ხალხის გაცნობისა და, თუ ცოტა დრო მოიხელთე, გაიკითხავ კიდეც მათ ვინაობას.

* * *

მავანთა და მავანთა მტკიცებით, იელოვას თავისი მოწმეები ქრისტემდესაც კი ჰყოლია, მაგრამ ეს სექტა მაინც 1870 წელს „აღმოცენებულა", როდესაც ადამიანთა ერთ ჯგუფს ბიბლიის შესწავლა, კვლევა, თუ, უფრო სწორედ, მისი რევიზია დაუწყია. იელოვას მოწმეები მოქმედებენ ქრისტეს სახელით, მაგრამ მათი შეხედულებები ბევრი რამით განსხვავდება ქრისტეს შეხედულებებისაგან. ისინი შეურაცხყოფენ ჯვარს, ხატს, სანთელს, — რაც ესოდენ წმინდაა ყველა მართლმადიდებელი მორწმუნისათვის, ქართველი კაცისათვის, არა ჰყავთ ნათლიები. ნათლობის დროს „მარტონი რჩებიან ღმერთთან" და ეფიცებიან სამუდამო ერთგულებას. ვაი იმას, ვინც ამ ფიცს დაარღვევს, — იგი სასტიკად დაისჯება. მთელი ბედნიერება მხოლოდ მორჩილებაშია!

ამჟამად იელოველები ოთხ მილიონს აჭარბებენ და მსოფლიოს 230 ქვეყანაში სახლობენ. რაც მთავარია, ძალზე სწრაფად მრავლდებიან. თავად წერენ: „ხალხიც განცვიფრებულია, რომ ხედავს, თუ რამდენად ბევრნი ვართ... ეგონათ, რომ მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელები ვიყავით".

როგორც ირკვევა, საქართველო იელოველთა სექტის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრია. რატომღაც აქ არავის აცვიფრებს მათი მომრავლება. ისინიც თავისუფლად გრძნობენ თავს და არა მარტო ნაბეჭდ პროდუქციას გვთავაზობენ ქუჩებში, მატარებლებში, ავტობუსებში, არამედ... კარებზე აკაკუნებენ და უბოდიშოდ შემოდიან ოჯახებში. უფრო მეტიც, — ძალით იჭრებიან ჩვენს ეკლესია-მონასტრებში...

ინფორმაცია ზუგდიდიდან:

„ამ ბოლო ხანებში ზუგდიდში მომრავლებული იელოველები ღვთისმშობლის ეკლესიის მოძღვრის მამა სერგის ბინას ორჯერ დაესხნენ თავს. ამას გარდა, მათ ეკლესიაშიც „მოინახულეს" მოძღვარი და დაემუქრნენ, რაც კომუნისტებმა დაგაკლეს, ჩვენ შეგისრულებთო. მამა სერგის თქმით, იელოველები ყველანაირად ცდილობენ მრევლი ეკლესიის წინააღმდეგ აამხედრონ და საამისოდ შანტაჟზეც კი მიდიან".

იელოველები ერთმანეთის გულწრფელი „დები" და „ძმები" არიან. საკუთარ მეუღლეებსაც ასე მიმართავენ საზოგადო თავშეყრის დროს. თუ იელოვას მოწმეები დაუქორწინებლები არიან, მათი საქმე მოთავებულია. თურმე ოჯახის შექმნა, შვილებზე ზრუნვა ადამიანს იელოვაზე ავიწყებს ფიქრს. იელოველები საერთოდ კრძალავენ დის, ძმის, შვილის, მშობლის, მეგობრის სიყვარულს, თუ იგი ამ სექტის წევრი არ არის.

თავად იელოვა არც დაოჯახებას კრძალავს და არც საერთოდ სიყვარულს, მაგრამ მისი დღევანდელი მოწმეები ყოველივე ამის წინააღმდეგ გამოდიან. ისინი შეგნებულად ზღუდავენ სექტის წევრებს და ამით ჭეშმარიტ ქრისტიანებს ფსიქოლოგიურად სპობენ. საკითხავია, რა ამქვეყნიურ სამოთხეზე, რა ბედნიერ ცხოვრებაზეა ლაპარაკი იქ, სადაც სიყვარული და გამრავლება აიკრძალება? ხომ არ არის ეს წინასწარგანზრახული ფანდი ქართველი ხალხის შესამცირებლად, მისი ძლიერების დასასუსტებლად?

ათასგვარი ამდაგვარი ეჭვი მოგაწვება, როცა ჩაუკვირდები იელოველთა ხელშეუხებელ პრინციპებს. რელიგიური მრწამსისა და პირადი სინდისის გამო სექტის წევრები უარს ამბობენ ქართულ ეროვნულ ჯარში სამსახურზე. აქაც იგივე მეორდება: თავად იელოვა არ კრძალავს ჯარში სამსახურს, მაგრამ მისი ამჟამინდელი ერთგულები ლამის ეშაფოტზე ავიდნენ, — ოღონდ არავითარი საერთო არ იქონიონ ქართულ ჯართან, თუნდაც მის ალტერნატიულ სამსახურთან.

ჩვენი ერი ოდითგანვე იბრძვის. ჩვენს რელიგიას არასოდეს აუკრძალავს ხალხისათვის სამშობლოს დაცვა. პირიქით, სწორედ რწმენა აღაფრთოვანებდა, რწმენა აღანთებდა მეომრებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველი ყოველთვის იზრდებოდა ღვთისა და სამშობლოს სიყვარულით. მაშ, ახლა რა ვქნათ? ხელი ავიღოთ ამ უზენაეს გრძნობებზე?

ინფორმაცია ქუთაისიდან:

„იმერეთის სამხარეო პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა იელოველ გია მარგველაშვილზე, რომელმაც უარი განაცხადა ჯარში სამსახურზე. გიას ოჯახში ოთხი შვილია. დედ-მამის ჩათვლით, ყველა ამ სექტის წევრია. მშობლები სულაც არ განიცდიან იმას, რომ შვილები ციხეში მოხვდებიან. პირიქით, თავს ბედნიერად თვლიან, რომ მათ ნაშიერებს გაასამართლებენ რწმენისა და სინდისისათვის.

მარგველაშვილების ოჯახში არის იელოველთა საკრებულო. უზარმაზარ დარბაზში ხდება წიგნების შესწავლა, ნებაყოფლობითი შესაწირების აკრება. გია მოხვედრილია ამ სექტის აქტიურ წევრთა სიაში და აღრიცხულია მის ცენტრში, — ნიუ-იორკში; სანკტ-პეტერბურგის ფილიალში კი წარდგენილია, როგორც საუკეთესო მორწმუნე".

•

ძალაუნებურად იტყვი, რომ იელოველები მტრული ძალების შეკვეთით მოქმედებენ და ქართველ კაცში მებრძოლ სულსა კლავენ. ის, რაც ჩვენმა მოძულეებმა საუკუნეების მანძილზე ვერ გააკეთეს იარაღით, ახლა ჩვენივე „დები" და „ძმები" აკეთებენ ნებით, ჩვენივე ნებით. ფაქტობრივად, სულიერად საჭურისდება, ფიზიკურად დუნდება ის თაობა, რომლის იმედზე ხვალ მთელი ქვეყანა უნდა იყოს!

ეს სექტა სახიფათოა იმითაც, რომ ქართველ მიმდევრებს მშობლიურ ენასაც ართმევს. წიგნების შესწავლა აქ ძირითადად რუსულ ენაზე მიმდინარეობს. საუბარში იელოველები თავს ნაღდ ქართველებად წარმოგვიდგენენ. სინამდვილეში კი მათ „ენა, მამული, სარწმუნოება" — პირუკუ ესმით. ისინი ყველაფერს ფანატიკურად ანაცვალებენ იელოვას პრინციპებს. ენაც, მამულიც მათთვის მეასეხარისხოვანია. მთავარია მიზნის მიღწევა, — რაც შეიძლება მეტი ხალხის გადმობირება, საკუთარი სექტის აღზევება, სხვა სექტების, სხვა რელიგიების გაბიაბრუება, გაქილვა, განქიქება, — თუ რა ხერხებით, რა საშუალებებით, — ეს არც სალაპარაკოა და არც სამარცხვინო.

•

მამა ელიზბარის პუბლიკაციიდან:

„ამ 5 თუ 6 წლის წინათ თბილისის საკომისიო მაღაზიებში, სალონებში, გასტრონომებშიც კი დაიწყო თაბაშირის ლამაზ ჩარჩოებში ჩასმული ხატების გაყიდვა. წინ შუშა აქვს, უკან — მუყაო, რომელიც დამაგრებულია არა ლურსმნებით, არამედ საიმედო „დულაბით". სიფრიფანა ქაღალდზე ცალ მხარეს მაცხოვარია გამოსახული, მეორე მხარეს კი... შიშველი ქალი ან მისი სარცხვინელი. ეს მკრეხელობაა.

ნაკეთობა მაგიური ძალითაა დამუხტული და მას ოჯახის დანგრევა, ასევე ქრისტიანული სულის მოსპობა შეუძლია. მაგალითად, ერთი გახდება იელოველი და ოჯახის სხვა წევრებსაც თავის ჭკუაზე გადაიყვანს. ასეთი ხატები აუცილებლად უნდა დაიწვას".

უწმინდესსა და უნეტარესს რამდენჯერმე მთავრობისთვისაც მიუმართავს დახმარებისათვის, მაგრამ... დღემდე ვერაფერი გაუხერხებია. შებილწული ხატები კვლავაც იყიდება, ქართველთა ოჯახები სექტანტური „შედევრებით" კვლავაც ივსება.

დიახ, ივსება წაბილწული ხატებით, წიგნებით, ბროშურებით, ჟურნალებით. თანაც რა ტირაჟებით... ავიღოთ ყოველთვიური ჟურნალი „საგუშაგო კოშკი". იგი განადიდებს იელოვა ღმერთს, როგორც სამყაროს სუვერენს. 1879 წელს ერთ ენაზე გამოვიდა 6.000 ეგზემპლარი, 1995 წელს კი 115 ენაზე დაისტამბა 16.000.000 ეგზემპლარი. წიგნების, ბროშურების, ბუკლეტების ტირაჟებიც ასევე მილიონებია. ამას ემატება ვიდეოკასეტები, კინოფილმები. უდიდესი ხარჯები მიაქვს გამომცემლობების აგება-დამონტაჟებას, ლიტერატურის გავრცელებას, კონგრესების, შეკრებების მოწყობას. ვინ აფინანსებს ყოველივე ამას?

იელოვას მოწმეები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთი იდეების პროპაგანდას. თანაც, ისინი თავიანთ იდეებს ადამიანს უნერგავენ არა დაბადებიდანვე, არამედ სხეულში ჩასახვისთანავე. სექტანტები ფეხმძიმე ქალებს ურჩევენ ტექსტები იკითხონ ხმამაღლა. მართალია ნაყოფი ამას ვერ გაიგებს, მაგრამ... შედეგი მერე აუცილებლად იქნება. იგივე ტექსტებს ახალდაბადებულებიც კი უმალ აითვისებენ, რადგან ისინი მათში „ნაცნობ სტრიქონებს" აღმოაჩენენ.

„ასწავლეთ ერებს არა იძულებით", — ამბობდა ქრისტე. იელოველები თითქოს ამ მცნებას მისდევენ, სინამდვილეში კი უმწეო, გაჭირვებულ ადამიანებს აბნევენ, ორიოდე კილოგრამი საკვები პროდუქტების ფასად თავიანთ ბრჭყალებში აქცევენ და ამქვეყნიურ სამოთხეში ცხოვრების გარანტიას უპირობოდ აძლევენ.

„საგუშაგო კოშკის" პუბლიკაციიდან:

„ამ საუკუნის გამანადგურებელი ომები, მიწისძვრები, წყალდიდობები, კატასტროფები, გრიგალები, ეპიდემიები, შიმშილობები და სხვა მოვლენები ერთად წარმოადგენს იმის მტკიცებას, რომ ვცხოვრობთ „უკანასკნელ დღეებში"...

„ღვთის სამეფო მალე გაანადგურებს მჩაგვრელებს და დედამიწას სამოთხედ გადააქცევს".

და ამ სამოთხეში იცხოვრებენ მარტოოდენ იელოველები. ნოეს კიდობნით მარტოოდენ ისინი გადარჩებიან, სხვები დაილუპებიან.

არა გჯერათ? მაშ, „ურწმუნო თომები" ყოფილხართ! ამიტომ თქვენ გჭირდებათ დახმარება, გზის გაკვლევა, პრინციპებში გარკვევა. საამისოდ შინ გეწვევათ, დიახ, შინ გეწვევათ იელოვას მოწმე და ყველაფერს აგიხსნით. თქვენ ოღონდ ისურვეთ, თქვენ ოღონდ მისწერეთ. აგერ მისამართი... და ესეც უფასოდ, ესეც „კეთილი ნებით".

სამწუხაროდ, ჩვენი რადიოს, ტელევიზიის, პრესის, ლიტერატურის, ხელოვნების და თავად ეკლესიის შემწყნარებლობით თუ მოუცლელობით იელოვას მოწმეები ნაბიჯ-ნაბიჯ მიზანს აღწევენ და თავიანთ რიგებს თანდათან აფართოებენ. როგორც ამბობენ, დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში ამ სექტაში მასობრივად შედიან. შედიან ერთობ ავტორიტეტული პირები, — პედაგოგებიც, ექიმებიც, პოლიციელებიც... ძირითადი ბირთვი კი მაინც ახალგაზრდებია.

ჩვენ კიდევ ვინმეს წართმევა გვინდა? მსოფლიოს ქრისტიანთა შორის მართლმადიდებლებს მხოლოდ 12 პროცენტი უკავიათ (კათოლიკებს — 55). პროგნოზით 2025 წელს ეს ციფრი 8 პროცენტზე ჩამოდის. საით მივდივართ? ბევრგან ისლამის რჯულიდან განდგომას პოლიტიკურ მრუშობას, სამშობლოს ღალატს უტოლებენ და სიკვდილითაც კი სჯიან. ჩვენ?

რას ვუყურებთ? დროა გამოვიფხიზლოთ ყურები. აგერ, მოსკოვში უკვე სატანიზმი ჰყვავის. ამ სექტის წევრები პირველ რიგში ეკლესიის მსახურთ კლავენ, ადამიანის ცოცხალი ორგანოებით ვაჭრობენ, საკუთარ დედებსა და დებს აუპატიურებენ, ჩვილებს იტაცებენ, მოზარდებს ნარკოტიკებში ახრჩობენ, ხელმძღვანელი პირები კი ფეშენებელურ რესტორნებში, კაფეებში, სექს-კლუბებში ნავარდობენ. როგორც ამბობენ, სატანისტები საქართველოშიც გამოჩნდნენ... ახლა ისინი დაიწყებენ ხალხის წარყვნას, თავიანთ მხარეზე გადაბირებას. ესლა გვინდა?

Пробудитесь!
БЕЖЕНЦЫ — ПОЛОЖЕНИЕ ОБОСТРЯЕТСЯ
Будет ли выход?

საგუშაგო კოშკი

ნამდვილად ზრუნავს თუ არა ღმერთი ჩვენზე?

„გაფრთხილდით, რომ არ შეცდეთ, ვინაიდან ბევრი მოვა ჩემი სახელით..."

ქრისტეს ეს სიტყვები გაიხსენეთ მაშინ, როცა თქვენს კარზეც დააკაკუნებენ!

ბონდო გულიაშვილი.

კოლეგია

თითქოს რაღაც კეთდება, მაგრამ პრობლემა ბოლომდე შეუსწავლელი გვრჩება

შარშან, 26 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო ბრძანებულებით შეიქმნა ეროვნული უშიშროების საბჭოს დროებითი საუწყებათაშორისო კომისია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა (მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება და სხვ.) ფაქტებთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა გაუხსნელობის, გამოძიების უკანონოდ გაჭიანურების ან შეწყვეტის მიზეზების შესასწავლად.

კომისიის ხელმძღვანელობა დაევალა ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრს, საქართველოს გენერალურ პროკურორს ჯამლეთ ბაბილაშვილს.

კომისიამ ძირეულად გააანალიზა აღნიშნული მიმართულებით შექმნილი ვითარება, განახორციელა განზრახ მკვლელობისა და მცდელობის წარმოებით შეჩერებულ სისხლის სამართლის საქმეთა სრული ინვენტარიზაცია, სათანადო შეფასება მისცა აღნიშნული კატეგორიის საქმეთა გამოძიების სფეროში არსებულ ნაკლოვანებებს, წარმოაჩინა ის პროკურორები და გამომძიებლები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ან ვერ შეძლეს დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვანი შესრულება.

სექტემბერში გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით უხილავ პირობებში ჩადენილ განზრახ მკვლელობათა და სხვა მძიმე დანაშაულთა გახსნის მიზნით რეგიონულ პროკურატურებთან შეიქმნა მუდმივმოქმედი საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფები, გამოიცა აგრეთვე ერთობლივი ბრძანება განზრახ მკვლელობის სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და გახსნის მიმართულებით შექმნილი არადამაკმაყოფილებელი ვითარების გასაუმჯობესებლად განსახორციელებელ ორგანიზაციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ამასთანავე, საქართველოს პროკურატურაში სისტემატურად ისმენდნენ გაუხსნელი მკვლელობის საქმეებზე გამოძიების მიმდინარეობას. შს სამინისტროს ოპერატიულ სამსახურთან ერთად პრინციპულად იხილებოდა თითოეული საქმე და მკაცრი შეფასება ეძლეოდა გამომძიებლისა და ოპერატიული სამსახურების დარღვევებს. სწორედ ასეთი განხილვის შედეგად გაიხსნა არაერთი განზრახ მკვლელობა. გახსნის პროცესშია კიდევ რამდენიმე მძიმე დანაშაული.

10 თვეში, საქართველოს პროკურატურამ დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა და უზენაეს სასამართლოში წარმართა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის 42 სისხლის სამართლის საქმე (94 პირის მიმართ), რომელთაგან 25 მკვლელს მიუსაჯა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა.

1995-96 წლებში განზრახ მკვლელობის საქმეთა გამოძიებისას სხვადასხვა დარღვევისათვის დისციპლინარული წესით დაისაჯა პროკურატურის 111 მუშაკი, აქედან ბოლო ოთხ თვეში დასჯილია 40-ზე მეტი. განზრახ მკვლელობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისას სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებისათვის 1995-96 წლებში თანამდებობიდან დათხოვნილია 11 მუშაკი.

და მაინც დღეს საქართველოში სულ ცოტა 2 ათასზე მეტი მკვლელი არ არის დადგენილი და დაპატიმრებული. აქედან 451 იძებნება. გაუხსნელია 1401 განზრახ მკვლელობა და მცდელობა. ბრალდებულთა ძებნის მოტივით შეჩერებულია 421 საქმე. ქვეყნის მასშტაბით აღრიცხულია 386 უგზოუკვლოდ დაკარგული პირი.

ის, რაც გითხარით და, რაც ქვემოთ უნდა მოგითხროთ, საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივ კოლეგიაზე ითქვა, რომელსაც ორივე უწყების ცენტრალური აპარატისა და რეგიონების პასუხისმგებელი მუშაკები ესწრებოდნენ. განიხილავდნენ: განზრახ მკვლელობისა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულთა გახსნის, გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მდგომარეობას.

მეტად უსიამო და მძიმე მოსასმენი იყო ფაქტები, რომლებზეც პროკურატურის ორგანოებში გამოძიების კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა ვაჟა ჯანყარაშვილმა, შს ორგანოებში გამოძიების კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა რამაზ ხმალაძემ, შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსმა უშანგი მგელაძემ, ადამიანის უფლებათა დაცვისა და შს სამინისტროს ორგანოებში მოკვლევის კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა თენგიზ მახარაძემ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯემალ გახოკიძემ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის უფროსმა ზაზა ოქრუაშვილმა და სხვებმა ისაუბრეს.

ფაქტები, ძირითადად 1992-96 წლებში ჩადენილ დანაშაულობებს ეხებოდა.

ითქვა: თუ საქართველოში 1989 წელს განზრახ მკვლელობისა და მცდელობის 309 შემთხვევა აღირიცხა, 1992-93 წლებში ეს მაჩვენებელი სამჯერ გაიზარდა. მხოლოდ 1994 წლის დასაწყისიდან, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ დამნაშავეთა სამყაროს მიმართ განხორციელდა ფართომასშტაბიანი ღონისძიებები და მივიღეთ კანონი „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ", დანაშაულმა შეუქცევადად იწყო კლება და 1995 წელს 489 მკვლელობა აღირიცხა (ეს მიდრეკილება შარშანაც გაგრძელდა).

მთლიანად საქართველოში განზრახ მკვლელობისა და მცდელობის ხვედრითმა წილმა, საერთო დანაშაულში, 1992-93 წლებში 4,7 პროცენტს მიაღწია. ფაქტობრივად, ყოველი მეოცე დანაშაული განზრახ მკვლელობა იყო. ეს კი ათეული წლების განმავლობაში უჩვეულო მოვლენაა საქართველოსთვის.

ამ წლებშია დანაშაულის მოკვლევის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, რომლის უკან დგას ჩვენს ქვეყანაში იმ პერიოდში განვითარებული, ქაოსისა და განუკითხაობის მომტანი მოვლენები და ფაქტორები, რომლებმაც არნახულად აღაზევეს კაენის ცოდვა საქართველოში.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩადენილი უმძიმესი მკვლელობების ფაქტები, ზოგჯერ არც კი აღირიცხებოდა. სამეგრელოს რეგიონში მკვლელობათა თითქმის ნახევარი პოლიტიკური ანგარიშსწორება გახლდათ. სწორედ ამ კატეგორიისაა მხოლოდ ზუგდიდსა და მის რაიონში აღრიცხული ორმოცზე მეტი გაუხსნელი მკვლელობის საქმე.

— წლები, რომლებშიც ჩადენილ დანაშაულთა მიკვლევასა და გამოძიებაზე ვისაუბრეთ, ურთულესი იყო, ჩვენი, სამართალდამცველთა იურისდიქცია სასამსახურო შენობებს იქით არ ვრცელდებოდა. ამას თუ გავითვალისწინებთ თორემ, ისეთი ცნობები მოვისმინეთ, ამ დარბაზში მსხდომ ბევრ პასუხისმგებელ მუშაკს დღეს თანამდებობა უნდა დაგვეტოვებინა — ამას ძირითადი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ იტყვის ჯემალ გახოკიძე, თუმცა ყველაფერს მთლად იმ პერიოდსაც არ დააბრალებს, სამართალდამცველთა წილ სუბიექტურ მიზეზებზეც ილაპარაკებს.

1992-93 წლები კი ყველას გვახსოვს როგორიც იყო, როცა „იარაღომანიამ" ზენიტს მიაღწია, როცა იარაღი თითქმის ყველა ოჯახში ინახებოდა, როცა მას, კანონიერი თუ უკანონო გზით, იძენდა პატიოსანიცა და პოტენციური დამნაშავეც, როცა იარაღის წასართმევად და დამნაშავეთა პატიმრობიდან გასათავისუფლებლად შეიარაღებული კანონიერი თუ უკანონო ფორმირებები თავს ესხმოდნენ შს ორგანოებს, ამას აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზით, ცეცხლსასროლი იარაღის სრულიად უკონტროლო მიმოქცევაც დაემატა და შედეგიც: 1992-95 წლებში სიცოცხლეს გამოესალმა 2 ათასამდე ადამიანი, სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ დაიჭრა ათასზე მეტი კაცი.

დანაშაულობაზე, მათ შორის განზრახ მკვლელობათა მაჩვენებლებზე, გარკვეული გავლენა მოახდინა „აფხაზეთის სინდრომმა", გაჭიანურებულმა ომმა, მძიმე სამხედრო დამარცხებამ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გააუარესა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. შინ დაბრუნებული ბევრი მებრძოლი დანაშაულის გზას დაადგა და საბოლოოდ მკვლელის სახელით საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა. მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც მამაცობისა და თავგანწირვისათვის ღირსეული სახელმწიფო ჯილდო ჰქონდათ მიღებული.

მარტო „მხედრიონის" ბანდიტური ჯგუფის თარეშმა, მათ მიერ 1992-95 წლებში ჩადენილმა ათობით განზრახ მკვლელობამ და ასობით სხვა მძიმე დანაშაულმა, ფართო მასშტაბით განხორციელებულმა ნახევრად ფარულმა ნარკობიზნესმა, უმძიმესი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე, განსაკუთრებით, ახალგაზრდობაზე. სწორედ ძალადობის კულტის აღზევებამ შეუწყო ხელი ახალგაზრდებში აგრესიულობის მკვეთრ ზრდასა და ინსტიქტების ზეალსვლას — ასეთი იყო კოლეგიის დასკვნა.

როგორც აღინიშნა, შარშან, ცხრა თვეში განზრახ მკვლელობათა და მცდელობათა ოდენობამ იმატა იმერეთის ყველა ქალაქსა და რაიონში, — წყალტუბოს, ჭიათურის, თერჯოლისა და ხონის გარდა, ამ დანაშაულმა იმატა დედოფლისწყაროში, რუსთავში, გორში, ჩუღურეთის, ნაძალადევის, ისნის რაიონებში, ზუგდიდში, მესტიაში, ონში, ბაღდათში, ვანში, სამტრედიაში, ყვარელში, ქუთაისში, ასპინძაში, ზესტაფონში, საჩხერეში, ტყიბულში, ხარაგაულში, ოზურგეთში, ახმეტაში, გურჯაანსა და დუშეთში.

არც ერთი განზრახ მკვლელობისა და მცდელობის ფაქტი არ არის აღრიცხული სენაკის, ჩხოროწყუს, ახალციხის, ნინოწმინდის, ლენტეხის, ახალგორის რაიონებსა და ჭიათურაში.

ამ დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელი ათ თვეში — 82,4 პროცენტია. სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის მხარეებში გახსნილია აღრიცხულ მკვლელობათა ნახევარი, ყოველი მეოთხე მკვლელობა მიუკვლეველია ქვემო ქართლსა და რაჭა-ლეჩხუმის მხარეებში, ხოლო არცერთი არ გახსნილა — ასპინძასა და ადიგენის რაიონებში.

ცხრა თვეში დაპატიმრებულია განზრახ მკვლელობის, ან მისი მცდელობის ჩადენისათვის 104 ძებნილი, არცერთი ძებნილი არ დაუპატიმრებიათ ქუთაისის, ბოლნისის, სენაკის, ადიგენის, ასპინძის შინაგან საქმეთა რაიონულ და საქალაქო ორგანოებს.

დღეისათვის ყველაზე მეტი ძებნილი მკვლელი ჰყავს თბილისს — 122, სამეგრელოს — 81, იმერეთს — 49, შიდა ქართლს — 41, ქვემო ქართლს — 77, კახეთს — 47.

განზრახ მკვლელობის დანაშაულის გახსნა და ძებნილთა დაპატიმრება შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის მთავარი მიმართულებაა და ამ უწყებაში რომ ბოლო ორ-სამ წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა (გამოძიებულია წინა წლებში ჩადენილი 89 განზრახ მკვლელობა), ამაზეც ითქვა კოლეგიაზე. მაგრამ ისიც აღინიშნა, რომ ჯერჯერობით 1500 მკვლელის ვინაობა არ არის დადგენილი, რაც აშკარა მოსახლეობის მშვიდ ცხოვრებას ემუქრება.

მომხსენებლებს არ დაუფარავთ, რომ ხარვეზებს, ძირითადად, საქმისადმი ფორმალური, გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება განაპირობებს.

ბევრ გაუხსნელ სისხლის სამართლის დანაშაულებზე საერთოდ არ არის შექმნილი ოპერატიულ-სამძებრო საქმეები. ხშირად საქმეს მხოლოდ სააღრიცხვო ნომერი აქვს დასმული და მასში არავითარი დოკუმენტი არ დევს, ფაქტობრივად, ცარიელი ყდებია. არის დროულად შექმნილი საქმეებიც, მაგრამ მათ გასახსნელად არავითარი ღონისძიება არ ტარდება. როგორც საქართველოს პროკურატურის შემოწმებით გამოირკვა, ადამიანის განზრახ მკვლელობისა და მცდელობის 1401 დანაშაულიდან, რომლებიც დღეისათვის გაუხსნელია, ოპერატიულ-სამძებრო საქმე არ არის შექმნილი 74-ჯერ და თუ ამას დავუმატებთ იმ საქმეებს, რომლებზეც ნომრიანი ცარიელი ყდების გარდა არავითარი დოკუმენტი არ შედგენილა, ეს ციფრი გაცილებით დიდი იქნება.

აღნიშნეს ისიც, რომ საქმის გახსნასა და დამნაშავის დადგენა-დაკავებას ართულებს ოპერატიულ-სამძებრო საქმეთა დიდი დაგვიანებით შექმნა, რის გამოც იკარგება „ცხელ კვალზე" მუშაობის ეფექტი. დასახელდა ფაქტები, რომლებზეც ოპერატიულ-სამძებრო საქმეები ერთი, ორი, სამი წლის განმავლობაშიც რომ არ შექმნილა. ასეთ შემთხვევაში ხომ გახსნაზე ფიქრიც კი ზედმეტია? და ამგვარი ფაქტი ოთხმოცამდეა.

რაც შეეხება ნაკლოვანებებს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებაში, ობიექტურ მიზეზად დასახელდა მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გამომძიებელთა შრომის ანაზღაურების დაბალი დონე, კვალიფიკაციის ამაღლების ქმედითი სისტემის არარსებობა, ექსპერტიზებთან დაკავშირებული პრობლემები. გამოძიების გაჭიანურებას ხშირად ხელს უწყობენ ეჭვმიტანილთა, ბრალდებულთა და დაზარალებულთა დამცველები ან თვითონ დაზარალებულები. თუმცა უმთავრეს მიზეზად მაინც გამომძიებელი და მისი საქმიანობა დასახელდა, რადგან გამოძიებას ხელს უშლის სისხლის სამართლის საქმეთა დაგვიანებით აღძვრა, როცა იკარგება აუცილებელი მტკიცებულებები. პროკურორები და გამომძიებლები უგულებელყოფენ კანონის მოთხოვნას საქმის აღძვრის თაობაზე სწორი და დასაბუთებული კვალიფიკაციით.

ასეთი ფაქტების უკან, არაპროფესიონალიზმი კი არ დგას, არამედ მომხდარი მძიმე დანაშაულის შემსუბუქების, ფაქტების შელამაზების მცდელობა, — ასეთი იყო გენერალური პროკურორის დასკვნა.

ითქვა, რომ გამოძიებაზე ძალზედ უარყოფითად მოქმედებს განზრახ მკვლელობის საქმეების აუცილებელი სასამართლო ექსპერტიზის უხარისხოდ ჩატარება ან ჩაუტარებლობა. არცთუ იშვიათად დასკვნები მცდარია, რასაც აშკარად განაპირობებს ექსპერტთა მიკერძოება, ცდილობენ ფაქტების გაყალბებას ან თვალის დახუჭვასაც.

კოლეგიაზე ცალკე გამოიყო გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საკითხი, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს შორის აზრთა სხვადასხვაობის საგანი გამხდარა. ითქვა, რომ არსებობს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 6 ივლისის დადგენილება, რომელიც განზრახ მკვლელობათა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკას ეხება. დადგენილება სასამართლოებს ურჩევს არ განიხილონ და დამატებით გამოძიებაში დააბრუნონ განზრახ მკვლელობათა ის საქმეები, რომლებზეც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მიერ არ იქნება დადგენილი სიკვდილის მიზეზი. ამჟამად პროკურატურის ორგანოებში შეჩერებულია 1990-96 წლების 250-მდე განზრახ მკვლელობის გაუხსნელი სისხლის სამართლის საქმე, როცა გვამები გაკვეთილი არაა. აქედან მხოლოდ სამეგრელოს რეგიონში შემავალ პროკურატურაშია მსგავსი 109 გაუხსნელი საქმე. ძებნის მოტივით პროკურატურის ორგანოებში შეჩერებულია 100-ზე მეტი განზრახ მკვლელობის საქმე და ამ შემთხვევებშიც გვამები შემოწმებული არაა. სწორედ მსხვერპლის გაუკვეთაობა გახდა მიზეზი იმისა, რომ დანაშაულის დაუდასტურებლობის მოტივით, 1994-96 წლებში 12 პირის მიმართ (მკვლელობის ნაწილში) შეწყდა სისხლის სამართლის საქმე.

რატომ მოვიყვანე ეს სტატისტიკა? თუნდაც იმიტომ, რომ თუ ღმერთმა ინება და ამ საქმეებზე 350-360 მკვლელი ვამხილეთ და დავაპატიმრეთ, იმის გამო, რომ არ არის ჩატარებული გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები, ვერ დავუდასტურებთ ბრალს და მკვლელებს საშუალება ეძლევათ ხელიდან დაუძვრნენ მართლმსაჯულებას.

როგორც გენერალურმა პროკურორმა აღნიშნა კოლეგიაზე, პროკურატურა გამოსავალს უკვე ეძებს და მომავალშიც ასე იმოქმედებს.

გამოძიების უგერგილობის, მისი გაჭიანურებისა და არასწორი გადაწყვეტილებების გამო აღნიშნეს, რომ ზოგჯერ განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის პიროვნების უკანონოდ პასუხისგებაში მიცემა და დაპატიმრება მეორე უკიდურესობაა — პასუხისმგებლობისგან არასწორი განთავისუფლება, აღმკვეთი ღონისძიებების არასწორი შეფარდება.

ითქვა: საქმის გარემოებათა არასრულყოფილი გამოძიების შედეგად სასამართლოების მიერ 1995-96 წლის 9 თვეში დამატებით გამოძიებაში დაბრუნებულია 55 განზრახ მკვლელობის სისხლის სამართლის საქმე.

დამნაშავის ხელისშეწყობის ტოლფასად მიიჩნია კოლეგიამ გამომძიებლების მიერ შემთხვევის ადგილის ზერელედ დათვალიერება ან სულაც დაუთვალიერებლობა, ნივთმტკიცებების შეუგროვებლობა, ჩამორთმეული საგნების გამოუკვლევლობა, ჩხრეკების ჩაუტარებლობა. ამის დასადასტურებლად დასახელდა ფაქტები.

— ურთულესი წლები იყო და ნაკლოვანებებიც გვქონდა, მაგრამ ისიც უნდა დავინახოთ, თუ დღეს რარიგ გამოსწორდა ვითარება, — თქვა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯემალ გახოკიძემ, რომელიც შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტსაც მეურვეობს და დასძინა, რომ მარტო წინა წლებში ჩადენილი ასამდე ისეთი განზრახ მკვლელობა გამოიძიეს, რომელთაგან ზოგიერთი აღრიცხულიც კი არ იყო. თქვა ისიც, რომ ერთი საქმის გამოძიება სულ მცირე 100 ლარი ჯდება. თუ ეს არ გავითვალისწინეთ, საქმე იქითკენ წავა, რომ თვის ბოლოს გამომძიებელმა შეიძლება ანგარიში წარმოგვიდგინოს და ანაზღაურება მოითხოვოს. გამოძიება სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს. სხვაგვარად ჩვენ მორალური უფლება არა გვაქვს გამომძიებელს საქმის კანონიერად გამოძიება მოვთხოვოთ. თუ ამ გზას მივყევით, გამომძიებლის პროფესიას საერთოდ დავკარგავთ. არც ის უარყო, რომ სასამართლოში ირჩევა საქმეები, რომლებსაც, ფაქტობრივად ნივთმტკიცება არა აქვს დართული და საქმე ძირითადად, ჩვენებებზეა აგებული. ამას კი ის აპირობებს, რომ საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახური უმოქმედოა, არადა, იგი გამოძიებაში გადამწყვეტი სიტყვის მთქმელი უნდა იყოს. მას დაფინანსება სჭირდება და საამისოდ შინაგან საქმეთა მინისტრი უკვე ნამდვილად ეძებს საშუალებებს.

კოლეგიის სხდომის შეჯამებისას გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა საკმაოდ ღრმად და კვალიფიციურად შეაფასა საკითხი, მაგრამ არც ის მძიმე შთაბეჭდილება დაუმალავს, წარმოდგენილმა ინფორმაციებმა რომ მოახდინა კოლეგიაზე.

— თითქოს რაღაც კეთდება, მაგრამ პრობლემა ბოლომდე შეუსწავლელი გვრჩება, — თქვა მან და პროკურორებს უსაყვედურა, რომ ჯეროვან ყურადღებას ვერ იჩენენ განზრახ მკვლელობათა გახსნა-გამოძიების მიმართ.

— ალბათ, შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტმა თავის ბრძანებულებაში საგანგებოდ გაითვალისწინა მძიმე კატეგორიის საქმეთა გამოძიების საკითხის შესწავლა. ყურადღება გამახვილებულია ამ დანაშაულთა გახსნაზე, გამოძიების გაჭიანურებასა და უკანონო შეწყვეტაზე.

იყო დრო, ხალხი შიშით ხმას ვერ იღებდა, თავის თავს ვერ იცავდა. დღეს ეს აღარ გვაწუხებს და საჩივრებმაც იმატა. მოქალაქენი შელახული უფლებების აღდგენას მოითხოვენ. ჩვენ კი სერიოზული ხარვეზებით ვმუშაობთ. თუ სახელმწიფო ვართ, კიდეც უნდა გვეკავოს გარკვეული პოზიცია. საქმე ეხება ისეთ უძვირფასეს ღირებულებას, როგორიც ადამიანის სიცოცხლეა.

გახსოვთ ის დრო, როდესაც გადამწყვეტი სიტყვის თქმა გვიჭირდა. საბედნიეროდ, დღეს მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილია, ამიტომაც მეტი აქტიურობა, პრინციპულობა, ობიექტურობაა საჭირო. წარსულში გაწეულ მუშაობას თავისი შეფასება უნდა მიეცეს. ვინც მადლობა დაიმსახურა, მადლობას ეტყვიან, ვინც დააშავა — პასუხი უნდა აგოს! — ამ სიტყვებით დაასრულა გენერალურმა პროკურორმა გაფართოებულ კოლეგიაზე თავისი შემაჯამებელი გამოსვლა.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

რა შევუნახოთ შვილებს?

ბუნება მბრძანებელია...

საქართველოში ტყეების დაცვასა და მოვლას ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება დაეთმო. 1996 წლის 31 აგვისტოს მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ტყეების დაცვასა და მოვლასთან ერთად დიდი ყურადღება დაუთმო მათ მეცნიერულ შესწავლას. ტყეების დღევანდელი მდგომარეობის გამო ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთი წერილი გამოქვეყნდა. ამჟამად გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო-მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორთან, აკადემიკოს გიორგი გიგაურთან.

ტყის ფასი ოდითგანვე იცოდა ქართველმა კაცმა. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ტყეთუხუცესობა საქართველოს სამეფო კარზე ერთ-ერთ საპატიო საქმედ ითვლებოდა. იგი პატრონობდა ტყეს, რადგან იცოდა, ის ქვეყნისა და ადამიანის დამცავი საფარი იყო.

დღეს ჩვენს ტყეებში 400-მდე სახეობის ხე და ბუჩქი იზრდება. საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა და ტყეების დაახლოებით 98 პროცენტი ზღვის დონიდან 500-600 მეტრზე მაღლა მდებარეობს, ხოლო 78 პროცენტი – 21 გრადუსზე მეტი დაქანების ფერდობებზეა განლაგებული. რთული რელიეფი და ბუნებრივი კლიმატის მრავალფეროვნება თავისთავად სატყეო მეურნეობის წარმოების სირთულეს და თავისებურ სპეციფიკას განსაზღვრავს. ტყის ბიოეკოლოგიური თავისებურებების მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით, პირველქმნილ ტყეებს – ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეს, დაახლოებით 600 ათასი ჰექტარი უკავია. ისინი ზრდის ფენომენური სიდიდით გამოირჩევიან: იშვიათი არაა ისეთი ხეები და მათი ჯგუფები, რომელთა სიმაღლე 50-60-70 მეტრია, ხოლო დიამეტრი – 2,0-2,5 მეტრს აღემატება. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა 600-700 წელს ითვლის. ასეთი უნიკალური ხელუხლებელი ტყეები ევროპაში საერთოდ დიდი ხანია აღარ არსებობს, – განაცხადა ბატონმა გიორგიმ.

– ტყე დადებითად მოქმედებს დედა-ბუნებაზე, იცავს ქვეყანას სტიქიური მოვლენებისაგან და, როგორც რთულ ბიოგეოცენოზს, მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს მათ წარმოშობა-განვითარებაში.

საქართველოს ტერიტორიის 39,6 პროცენტი ტყით არის დაფარული. ევროპის ქვეყნები, რომლებიც კლასიკური მეტყევეობის კერებად ითვლებიან, წარსულში ექსტენსიური მეურნეობის წარმოების გამო დღეს ტყის საფარით საქართველოს ბევრად ჩამორჩებიან. მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ დამშვიდებულები ვიყოთ.

– ბატონო გიორგი, თქვენი ინსტიტუტი ორმოცდაათ წელზე მეტია არსებობს. ტყეების მეცნიერულ შესწავლას 1945 წელს ჩაეყარა საფუძველი. საქართველოს ტყეების ფუნდამენტური კვლევაც, ალბათ, აქედან დაიწყო.

– დიახ, ძირითადად ასეა. აქედან იწყება სატყეო მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში 1945 წელს ტყის ინსტიტუტი შეიქმნა, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ქართული სატყეო მეცნიერების ფუძემდებელი, გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი ვასილ გულისაშვილი.

ტყის ბიოლოგია-ეკოლოგია, ტყეების სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციები, ტყის აღდგენა-განახლებისა და ტყის რესურსების გამოყენების რაციონალური მეთოდებისა და წესების შემუშავება და ა. შ. – აი, ის პრობლემური საკითხები, რომელიც ამ ინსტიტუტის ძირითადი კვლევისა და მიმართულების საწინდარი იყო. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებს წინ უძღოდა წარსულში კავკასიის ტყეების გამოჩენილი მკვლევარების ი. მედვედევისა და ა. გამრეკელის სამეცნიერო შრომები, შემდგომში საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერისა და პედაგოგის სოლომონ ქურდიანის მეცნიერული მოღვაწეობა, რომელიც მეტყევეობაში სელექციის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება.

როცა სატყეო-მეცნიერების განვითარებაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის მეცნიერები და მეტყევე სპეციალისტები, რომლებმაც წლების მანძილზე გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩვენი სატყეო მეცნიერების განვითარებაში: ვ. მირზაშვილი, ი. აბაშიძე, ი. როშჩინი, პ. მეტრეველი, ი. ჩხუბიანიშვილი, კ. თარგამაძე, ლ. ფარჯანაძე, ვ. მათიკაშვილი, გ. ბრეგვაძე, ბ. გულისაშვილი, გ. ტარასაშვილი, დ. სარაჯიშვილი, ლ. მახათაძე, ვ. სიხარულიძე, ა. ჯაფარიძე, მ. მურმანიშვილი, ვ. ზედგენიძე, მ. გრძელიძე, ტ. კარანაძე, ზ. ჩაჩხიანი, ე. მალაზონია... რომელი ერთი ჩამოვთვალო, ისინი სამთო-მეტყევეობის ინსტიტუტთან იყვნენ დაკავშირებულნი და წლების მანძილზე ტყეების აღდგენა-განახლების საქმეს ემსახურებოდნენ.

სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის მეცნიერული კვლევების ძირითადი შედეგები ინსტიტუტის შრომათა კრებულის 38 ტომშია გამოქვეყნებული, ინსტიტუტმა მოამზადა და გამოსცა „კავკასიის დენდროფლორის" უნიკალური 6 ტომი. დღეს ინსტიტუტში მოღვაწეობს 75 მეცნიერი, აქედან 2 აკადემიკოსი, 2 აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 9 მეცნიერებათა დოქტორი, 2 საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 36 მეცნიერებათა კანდიდატი.

სამთო-მეტყევეობის ინსტიტუტის მეცნიერული კვლევები საფუძვლად დაედო ტყეების რაციონალური მეურნეობის წარმოებას. ინსტიტუტის გორისა და დიდგორის საცდელ-საჩვენებელ სატყეო მეურნეობებში, აფხაზეთის საცდელ-სატყეო სადგურში, ტყის რესპუბლიკურ სატყეო სელექციის საწარმოსა და ახალდაბის სატყეო საცდელ სადგურებში წლების განმავლობაში პრაქტიკულად ინერგებოდა სატყეო დარგში ჩვენი მეცნიერების ახალი მიღწევები, რომლებიც შემდგომში ტყის რესურსების აღდგენა-გამოყენების რაციონალური მეთოდებისა და წესების შემუშავებისათვის იყო გათვალისწინებული.

სამთო ინსტიტუტმა საყოველთაო აღიარება იმთავითვე მოიპოვა. მონაწილეობდა საერთაშორისო სიმპოზიუმებში. შემდგომში სიმპოზიუმისა და საერთაშორისო კონფერენციების მოთავე თვით ჩვენი ინსტიტუტიც იყო. 1986 წელს იგი ყოფილ სსრ კავშირის მთის ტყეების (400 მილ. ჰა) პრობლემის შესწავლის მოთავე ინსტიტუტად აღიარეს, ხოლო 1995 წელს ევროპის ტყის ინსტიტუტის წევრად მიიღეს. მას შემდეგ საშუალება გვაქვს მჭიდრო კონტაქტები დავამყაროთ საზღვარგარეთის მეცნიერებთან.

– მეფის რუსეთისა თუ უცხო ქვეყნების მრეწველების მიერ ტყის მასივების ზენორმალურმა ექსპლოატაციამ ჩვენი ტყეები საგრძნობლად დააზიანა. დღეს შემორჩენილია მათი ნაკვალევი?

– წარსულში ჩვენს ტყეებს წლების მანძილზე მართლაც, რომ გადაჭარბებულ ექსპლოატაციას უწევდნენ. ცალკეული ადგილები მნიშვნელოვნად გამეჩხერდა, კორომები დაზიანდა, დაბალპროდუქტიული გახდა. ასე იყო აფხაზეთსა და აჭარაში, ატენის ხეობაში, თბილისის შემოგარენში, ცივ-გომბორის ქედსა თუ ბევრ სხვა ადგილებში. დაბალპროდუქტიულ, მეჩხერ ტყეებს დღეს 17 პროცენტი უკავია.

ტყის რაციონალური ექსპლოატაცია მეცნიერებისა და წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. მერქნით სარგებლობის რეგულირება ძირითადად ტყით უწყვეტი სარგებლობის პრინციპის დაცვასა და გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას უნდა აკმაყოფილებდეს. საქართველოში ტყის ექსპლოატაცია, უპირველესად, ბიოლოგიურ-ეკოლოგიური და მეტყევეობის ხასიათისაა და არა სატყეო-სამრეწველო დანიშნულებისა. ტყეების ექსპლოატაციისას გამოიყენება ჩვენი ინსტიტუტის მიერ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად შედგენილი ეკოლოგიურად მისაღები ტყის ჭრის წესები და მერქნით სარგებლობის გაანგარიშების ორიგინალური მეთოდი. იგი უზრუნველყოფს მერქნით უწყვეტი სარგებლობის პრინციპის დაცვას და ტყეების ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნებას. ამ მეთოდმა განსაკუთრებით დადებითად იმოქმედა 1975 წელს, როცა მაშინდელ საკავშირო ზემდგომ ორგანოებში ჩვენი ტყეების ექსპლოატაციის საკითხი წყდებოდა. ბატონ ედუარდ შევარდნაძის უშუალო ჩარევით და დახმარებით, მაშინ ტყეების ექსპლოატაციის საკითხი საქართველოს ტყეების სასარგებლოდ გადაწყდა.

ამჟამად ჩვენი ინსტიტუტი და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი ინტენსიურად მუშაობენ ტყეების არსებული რეზერვების სრული გამოვლენისა და რაციონალური გამოყენებისათვის.

– რა პრინციპებს ეფუძნება ტყეების აღდგენა-განახლება, რესურსების კვლავწარმოება?

– სატყეო მეცნიერებისა და წარმოების ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავია ტყეების კვლავწარმოება. ქართველმა მეტყევე-მეცნიერებმა თუ სპეციალისტებმა კარგად იციან, რომ ტყეების აღდგენა, მათი მდგომარეობა და პროდუქტიულობა დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა.

ძირითად პრობლემად დაბალი სიხშირის, მცირე პროდუქტიული ტყეების ბიოლოგიურ-ეკოლოგიური მდგრადობა, დაცვითი ფუნქციებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღდგენა-გაუმჯობესება რჩება. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბუნებრივად, თესლით აღმოცენებული, განახლებული ტყეები ბიოლოგიურად გაცილებით უფრო მდგრადი და პროდუქტიულია, ვიდრე ხელოვნურად გაშენებული ტყეები, მაგრამ, იქ, სადაც ეს გამორიცხულია, ტყეები უნდა გაშენდეს სახეობათა შერჩევით, ადგილმდებარეობისა და გარემოს პირობების გათვალისწინებით.

– ბატონო გიორგი, ცნობილია, ნაძვნარში ერთ დროს როგორ გავრცელდა საშიში მავნებელი — ნაძვის დიდი ლაფნიჭამია. ტყეების გადასარჩენად ინსტიტუტმა სხვადასხვა მეთოდი გამოსცადა. ბოლოს რიზოფაგუსის ხელოვნურად გამრავლებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. პრაქტიკულად რამდენად გაამართლა ამ მეთოდმა? და ერთიც; ბოლო დროს ტყეებსა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებში მასობრივად გავრცელდა ფოთოლმღრღნელი მავნებლები. თუ გაქვთ რაიმე ღონისძიებები მათ საწინააღმდეგოდ?

– ჩვენს მეცნიერ მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს დიდი რიზოფაგუსის ხელოვნურად გამრავლების, ბუნებაში ჩასახლების მთელი ტექნოლოგიური ციკლის ლაბორატორიულ პირობებში დამუშავება. ამ საკითხს 1982-85 წლებში წაღვერში ორი საერთაშორისო სიმპოზიუმი მიეძღვნა. აშშ, კანადის, რუსეთის, ნორვეგიის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, ინგლისისა და სხვა მრავალი ქვეყნის მეცნიერებმა დიდი შეფასება მისცეს ჩვენი მეცნიერების მიღწევებს და მის პრაქტიკულ შედეგებს. დღეს ნაძვი ამ მავნებლისაგან ძირითადად დაცულია და საშიშროებას აღარ წარმოადგენს. რაც შეეხება ფოთოლმღრღნელ მავნებლებს – პარკხვევია, ოქროკუდა, მეზობელა და სხვა, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ეს ორ-სამი წელია რაც გავრცელდა. მათ საწინააღმდეგოდ წლეულს ჩვენს ინსტიტუტში, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან ერთად, სხვადასხვა ეფექტური ღონისძიება შემუშავდა, რომელიც გაზაფხულიდან პრაქტიკაში დაინერგება. ვიმედოვნებთ, რომ აქაც დადებით შედეგებს მივიღებთ.

– ქვეყანაში შექმნილმა კრიზისულმა მდგომარეობამ ჩვენი ტყეებიც დააზიანა. მათ დროული დახმარება სჭირდებათ. ინსტიტუტმა, სატყეო დეპარტამენტთან ერთად, ალბათ, ერთობლივი ღონისძიებები შეიმუშავა. რას იტყოდით ამის შესახებ?

– ნათქვამია, „თეორია პრაქტიკის გარეშე ფანტაზიაა, ხოლო პრაქტიკა თეორიის გარეშე – ქაოსიო". ჩვენს ინსტიტუტსა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს შორის ყოველთვის იყო და არის მჭიდრო, საქმიანი კონტაქტები. ყველას ერთი მიზანი გვაკავშირებს: დავიცვათ, აღვადგინოთ და სწორად გამოვიყენოთ ტყის სიმდიდრე. მოვიყვან ერთ მაგალითს. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი, სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი, საქართველოს მეტყევეთა საზოგადოება, აგრარული უნივერსიტეტის სატყეო-მეურნეობის ფაკულტეტი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტი ამჟამად სატყეო კანონმდებლობის ბაზის განმტკიცების უზრუნველსაყოფად მუშაობენ. მზადდება და უახლოეს მომავალში დამთავრდება „ტყის კოდექსის" ახალი პროექტი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი და ჩვენი ინსტიტუტი ინტენსიურად მუშაობენ ტყეების დაცვის, კვლავწარმოებისა და გამოყენების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამის შედგენაზე, სადაც შემუშავდება ტყის მეურნეობის მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულებები. სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტში პირველად მუშავდება ტყის კადასტრი, რომელიც დაძაბულ და კვალიფიციურ მუშაობას მოითხოვს.

ჩვენ ტყეებს, როგორც არასდროს, ახლა სჭირდება დახმარება და ხელის შეშველება და ჩვენც – მეტყევეები ერთობლივი ძალისხმევით ვცდილობთ პრობლემური საკითხების დროულ გადაჭრას.

„ბუნება მბრძანებელია", — თქვა ბატონმა გიორგიმ. საქართველოს მთის ტყეების უმეტესობა, როგორც აღნიშნა, დიდი დახრილობის ფერდობებზეა განლაგებული. მათ წყალდამცავი, წყალმარეგულირებელი, საკურორტო, ზვავსაწინააღმდეგო, რეკრეაციული და სხვა დაცვითი თუ სოციალური ფუნქცია აკისრია. გონივრული, მიზანდასახული სატყეო-სამეურნეო, ეკოლოგიური და ეკონომიკური ღონისძიებებით დავიცვათ და გავამრავლოთ ჩვენი ბუნების ნაწყალობევი შესანიშნავი ნობათი — ეროვნული სიმდიდრე — ტყე.

ტყე — განახლებადი რესურსია და ამ ძვირფას განძს, ადამიანების მხარდაჭერით, მეტყევეებისაგან დიდი ხელშეწყობა და დახმარება სჭირდება.

ცისანა სიხარულიძე.

სიტუაცია

მოძალადე სტუმრები

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ჩაყენებული რუსეთის სამშვიდობო ძალები ხშირად უფრო ეგზეკუტორების ფუნქციას ასრულებენ, ვიდრე სამშვიდობოსი. ამის საილუსტრაციოდ მაგალითად მათ მიერ ორ იანვარს სოფელ რუხში დატრიალებული უბედურება გამოდგება.

კარგად შეზარხოშებული ორი რუსის ჯარისკაცი სრულიად მოულოდნელად მიადგა რუხელ გიორგი ზურაბიანის ოჯახს, რომელმაც შეძლებისამებრ მასპინძლობა გაუწია, მაგრამ მათ უფრო მეტი, რაღაც „ძველი მონღოლური" მასპინძლობა მოუნდათ, როდესაც საწადელს ვერ მიაღწიეს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ოჯახის წევრებს. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს, საგზაო პოლიციის საგუშაგოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მორიგე ჯგუფი რომ არ ყოფილიყო, რომელმაც ივაჟკაცა და მოჩხუბარი მხარეები უმსხვერპლოდ დააშოშმინა.

ასეთი სიკეთე „მშვიდობის დამცველებმა" რატომღაც იუკადრისეს და როდესაც თავიანთ საგუშაგოზე დაბრუნდნენ, ეგზეკუციის მიზნით დაახლოებით ათკაციანი შეიარაღებული ჯგუფი შეაგროვეს და ავტომატური იარაღით დაცხრილეს როგორც ზურაბიანის სახლი, ისე პოლიციის საგუშაგო.

უნდა ითქვას, რომ სამშვიდობო ძალების მხრიდან ასეთი რამ პირველი არ არის, ადრეც მომხდარა წალენჯიხაში, ანაკლიაში, ცახვსა და ფოცხოში, სადაც სამხედროებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს უდანაშაულო, მშვიდობიან მოსახლეობას. სამწუხაროდ, ასეთ ფაქტებზე სათანადო რეაგირება მათ მეთაურებს არ გაუკეთებიათ. არავინ იცის ამჯერად როგორ წარიმართება საქმე. ისე კი, ის ორი ხულიგანი წაყვანილია გალის რაიონის სოფელ ჭურხინჯაში, თითქოს პაუპტვახტში არიან მოთავსებული და სასჯელს ელოდებიან.

საერთოდ, მოუთმენელია აქ განლაგებული რუსეთის სამხედრო ძალების ზოგიერთი მოსამსახურის თავხედური და ძალისმიერი საქციელი. ისინი ყველა გამვლელ-გამომვლელ ავტობუსს აჩერებენ და მძღოლებს უსირცხვილოდ ახდევინებენ ბეგარას. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზი სეპარატისტები და სამშვიდობო ძალების გარკვეული რგოლები შეთანხმებულად მოქმედებენ. იქნებ ამის შედეგიც იყოს 3 იანვარს გალის რაიონის სოფელ თაგილონში რკინიგზის ხიდის ქვეშ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე თაგილონი-გალის მარშრუტით მიმავალი ავტობუსის აფეთქება, რომელშიც 11 მგზავრი იმყოფებოდა. ერთი ადგილზე გარდაიცვალა, დანარჩენი დაშავდა. ხალხი ამბობს, ასეთი სამშვიდობო ძალების იმედით კონფლიქტის ზონაში მშვიდობა ვერ დამყარდებაო.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ" საქ. კორ.

მიწისქვეშა საუკუნეები

ახალი აღმოჩენები არმაზციხე—ბაგინეთზე

ქართლის (იბერიის) ძველი დედაქალაქის, მცხეთის სამეფო რეზიდენცია არმაზციხე (ძვ. წ. IV-III სს — ახ. წ. IV-V სს) ხშირად მოიხსენიება როგორც ქართულ წერილობით წყაროებში — „მოქცევაი ქართლისაი" (VII-IX სს), „ქართლის ცხოვრება" (XI ს), ისე უცხოელ ავტორებთან, განსაკუთრებით ბერძენ-რომაელ მწერლებთან: სტრაბონი (ძვ. წ. I ს), პლინიუსი (I ს), პტოლემაიოსი (II ს), დიონ კასიუსი (II-III სს) და სხვა.

არმაზციხეზე (ფართობი 30 ჰა) ამ ასიოდე წლის წინათ განხორციელდა მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები ილია ჭავჭავაძის თაოსნობით და ექვთიმე თაყაიშვილის მონაწილეობით. სწორედ მაშინ აღმოჩნდა I საუკუნის პოლიქრომული ფერწერის ნიმუში — ქალღვთაების გამოსახულება შენობის კედლის შელესილობის ნაშთებზე.

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1943 წელს, მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაიწყო სტაციონარული გათხრები არმაზციხეზე აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით. ამჯერად გამოვლინდა საქალაქო ცხოვრებისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი ძეგლები: სამეფო სასახლე, რომელიც შესანიშნავად გათლილი ქვებით ყოფილა ნაგები და წითლად შეღებილი კრამიტით გადახურული, რომაული ტიპის აბანო, საკულტო, სამეურნეო და საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა ნაგებობები, ზღუდე გალავნის და ოთხკუთხა კოშკის ნაწილები, აგრეთვე ქვათლილებით ნაგები სამეფო აკლდამის ნაშთი და ასევე სამეფო ოჯახის წევრის — ქალბატონის სამარხი — ერთიანი ქვისაგან გამოთლილი სარკოფაგი, რომელიც შეიცავდა გვიან ანტიკური ხანის (I-III სს) ქართლის (იბერიის) სამეფო კარისათვის დამახასიათებელი ოქრომჭედლობისა და მხატვრული ხელოსნობა-ხელოვნების ამსახველ სხვა უმდიდრეს ძეგლებს.

აღნიშნული გათხრები არმაზციხე-ბაგინეთის ფართობის მხოლოდ მცირე ნაწილს შეეხო, ამიტომ 1993 და 1995-96 წწ. განახლებულმა გათხრებმა გამოავლინეს რომაული ტიპის ახალი აბანო, ტაძარი და წარწერები, რომელიც ბერძნულ ენაზეა შესრულებული და ქართლის (იბერიის სამეფო) კარზე მიმდინარე სამშენებლო საქმიანობაზე მოგვითხრობს.



წარწერები კარგ გათლილ დამუშავებულ ფილაქვაზეა ამოკვეთილი. სულ სამი ასეთი წარწერა აღმოჩნდა. ერთ წარწერაში ვიგებთ მეფის მსახურთუფროსის ანიონისა და დრაკონტის დედოფლის სახელებს. 1996 წელს აღმოჩენილ წარწერაში მოხსენიებულია იბერიის დიდი მეფე ამაზასპი და მისი ეზოის მოძღვარი და მრჩეველი ანაგრანესი, რომელმაც მეფის მეუღლეს — არმენიის მეფის ვოლოგეზის ასულს — აუშენა და შესწირა აბანო (ბერძნული წარწერები გაშიფრა (ამოიკითხა) ცნობილმა ელინისტმა, ქალბატონმა თინათინ ყაუხჩიშვილმა).

დიდი მეფე ამაზასპი უნდა იყოს ქართულ წყაროებში მოხსენიებული ამაზასპ II, რომლის სახელი აისახა ირანის შაჰინშაჰ შაპურ I (242-272 წწ) პერსეპოლისთან აღმოჩენილ წარწერაში — ე. წ. მაზდას ქააბაზე, აღნიშნული წარწერა აზუსტებს ქართლის მეფის ამაზასპ II ზეობის ხანას — III საუკუნის შუა ხანებს.

ახლად აღმოჩენილი აბანო ჩვეულებრივი სტანდარტული ტიპისაა — ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებებით, აბაზანებით, რომელიც მარაგდება კერამიკული მილსადენებიდან გამომავალი წყლით, აგრეთვე გათბობის სისტემით, რომელსაც ე. წ. ჰიპოკაუსტი — ცხელი აბანოს ქვედა სართული აქვს დათმობილი. აბანო ნაგებია ქვატეხილით და შემტკიცებულია კირხსნარით, ხოლო შიდაპირი და აბაზანები შელესილია წყალგაუმტარი ჰიდრავლიკური ხსნარით.

სამეფო რეზიდენციაში აღმოჩენილი მეორე აბანო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გამოვლენილ სინქრონულ არქეოლოგიურ ძეგლებთან ერთად გვიან ანტიკური ხანის საქართველოს მაღალ საინჟინრო სამშენებლო კულტურაზე მეტყველებს.. აბანოსთან ახლოს და მის სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოვლინდა სხვადასხვა დანიშნულების სათავსები, რომელთა შორის აღმოჩნდა ზემოაღნიშნული წარწერები, ვერცხლის მონეტები (I ს) და სამი ძვლის ქანდაკება (საშუალო ზომა 11 სმ). ერთზე გამოსახულია ნაყოფიერების, შემთხვევის, ბედისა და ბედნიერების ღვთაება ტიხეფორტუნა, მეორეზე ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთი უძველესი ღვთაება ეროტია გამოსახული. მესამე ქანდაკება წარმოადგენს ლომის რეალისტურ გამოსახულებას.

წლეულს არმაზციხეზე — პირველ ტერასაზე — „ორსენაციანი ნაგებობის" სიახლოვეს აღმოჩნდა წაგრძელებული ოთხკუთხა ფორმის ტაძარი. იგი ქვიშაქვის კარგად დამუშავებულ ქვათლილებზე ამოყვანილი ალიზის კედლებითაა ნაგები და გადახურავთ წითლად შეღებილი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით. ტაძარი ფასადით აღმოსავლეთით არის მიმართული, მისი ფართობი 200 მ² აღწევს. ცენტრალური დარბაზი დერეფნების მეშვეობით უკავშირდება დასავლეთით არსებულ მინაშენსა და მარანს, რომლის იატაკში ჩადებულია ორ რიგად განლაგებული 16 ქვევრი. მათი საერთო ტევადობა 20 ტონაზე მეტია. ტაძრის შუაში დგას ქვიშაქვის მოჩუქურთმებული ბაზა (დმ-1,27 მ, სიმაღლე — 0,35 მ). მასზე ხის სვეტი ყოფილა აღმართული, რომელიც ქვის მოჩუქურთმებული კაპიტელით იყო დაგვირგვინებული. ტაძარში ქანდაკება მდგარა, იგი შესანიშნავი ხელოვნებით შესრულებულ, ანტიკური ორდერით მორთულ კვარცხლბეკზე ყოფილა აღმართული (კვარცხლბეკის ზომებია: 0,70X0,70 მ, სიმაღლე — 0,32 მ.). ტაძრის ზურგიმხარის კედელთან და გვერდითი კედლების გასწვრივ ალიზით ნაგები ნახევარწრეები — აფსიდებია გამართული, აფსიდები ჰიდრავლიკური ხსნარით შეულესავთ (ასეთივე ხსნარით ჩანს შელესილი ტაძრის ინტერიერიც, ისინი მოხატულიც უნდა ყოფილიყო). აფსიდების გასწვრივ ხის სვეტები აღუმართავთ და მოურთავთ ქვის მოჩუქურთმებული კაპიტელებით. აფსიდის ცენტრალურ ნაწილში შეინიშნება ვერცხლის ნითების კვალი. როგორც ჩანს, ტაძარში გარკვეული რიტუალი სრულდებოდა. ტაძრის ინტერიერი თავისი გეგმარებით უახლოვდება ანტიკურ სამყაროში, კერძოდ პერგამონის სამეფოში აღმოჩენილ სამშენებლო ხელოვნების ნიმუშებს.

არმაზციხის ტაძრის იატაკზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა არქიტექტურული დეტალები (კარნიზის ქვედა ნაწილის მორთულობა), აგრეთვე მარმარილოს მცირე ქანდაკების ნაწილები, რომლებიც ძლიერ სტილიზებული ლომის თავისა და თათის გამოსახულებას წარმოადგენს (იგი ტაძარში მდგარი სამეფო სავარძლის ნატეხები უნდა იყოს). იქვე დიდი რაოდენობითაა წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (უმეტესწილად საწყაო-საზედაშე ღვინისათვის, რომელიც წარმართული სატაძრო მეურნეობის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა); თიხის შეკიდული ბულა, რომელზედაც პანთეისტური ღვთაებაა გამოსახული. ამგვარი ბულა კი ანტიკურ ხანაში გამოიყენებოდა რაიმე ფასეულობის, ამ შემთხვევაში სატაძრო ქონების, ან საბუთის დასაბეჭდად — „დასალუქად". რკინის და ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი: ისრის წვერები, ქვის ბირთვები კატაპულტისათვის, აბჯრის (ბექთარის) ფირფიტები, აგრეთვე I საუკუნის პართული ვერცხლის მონეტები და სხვა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ტაძარი ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში არსებობდა, ხოლო მისი განადგურება IV საუკუნის I ნახევარში უნდა მომხდარიყო.

ზემოაღნიშნული აღმოჩენები ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ გაცხოველებული პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული კონტაქტების არსებობას, რომელიც ჰქონდა ქართლის (იბერიის) სამეფოს ანტიკური ცივილიზაციის ქვეყნებთან, კერძოდ, რომის და ირანის ძლიერ სახელმწიფოებთან.

არმაზციხეზე მიმდინარე გათხრების საერთო ხელმძღვანელია აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე, მცხეთაში ამჟამად წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება ხორციელდება მცხეთის აღორძინებისა და განვითარების ფონდის მეშვეობითა და ხელშეწყობით (ფონდის პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი გია შაიშმელაშვილი, გენერალური დირექტორი გოჩა პავლიაშვილი).

არქეოლოგიური გათხრები არმაზციხე-ბაგინეთზე კვლავაც გრძელდება...,

ვახტანგ ნიკოლაიშვილი,
მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის მოადგილე.

სურათებზე: არმაზციხე-ბაგინეთი. სატაძრო კომპლექსი (III-IV ს.ს.), ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან; ქვის მოჩუქურთმებული კვარცხლბეკი, რომელზეც ძეგლი უნდა ყოფილიყო აღმართული (ახ. წ. II-III ს.ს.).

ხსოვნა

შალვა კერესელიძე

საქართველოს აგრარულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა 3 იანვარს, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი შალვა იასონის ძე კერესელიძე.

ბატონმა შალვამ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1937 წელს მუშაობა დაიწყო საკავშირო სამეცნიერო-კვლევით სუბტროპიკულ ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად. 1941 წელს დაამთავრა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საინჟინრო ინსტიტუტის ასპირანტურა. 1941 წლიდან მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. ფრონტზე იგი რამდენჯერმე დაიჭრა და ამის გამო 1942 წლის ბოლოს დემობილიზებულ იქნა. 1943 წელს ბატონი შალვა შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. აქ მან განვლო მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის გზა ასისტენტიდან პროფესორამდე.

იგი სხვადასხვა წლებში მუშაობდა ჩაის მანქანების საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პრორექტორად, ჩაის მანქანების საპრობლემო ლაბორატორიის ხელმძღვანელად, მისივე ინიციატივით ამ ლაბორატორიისა და საკონსტრუქტორო ბიუროს ბაზაზე შექმნილ საკავშირო სამთო მიწათმოქმედებისა და ჩაის მანქანების სათაო-სამეცნიერო კვლევითი და საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორად და გენერალურ კონსტრუქტორად.

1974 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ბატონი შალვა იყო საქართველოს კ. მ. ამირეჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი და პარალელურად პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, როგორც პროფესორი.

მან დიდი წვლილი შეიტანა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში. 1967 წელს მსოფლიოში პირველმა შექმნა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო", რისთვისაც მას ლენინური პრემია მიენიჭა. გარდა ამისა, მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწისა და საქართველოს დამსახურებული გამომგონებლის წოდებები. გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მიღებული აქვს 100-ზე მეტი საავტორო მოწმობა გამოგონებებისათვის. მისი ხელმძღვანელობით 4 მეცნიერ-მუშაკმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ბატონი შალვა ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოსა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მისი უანგარო შრომა და მოღვაწეობა მთავრობის მიერ ღირსეულად დაფასდა. მიენიჭა შრომის გმირის წოდება და დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი, პრინციპული, გულისხმიერი მეცნიერი და მამულიშვილი. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ახლობლების, მეგობრების, აღზრდილებისა და აგრარიკოს მეცნიერთა გულებში.

ბაკურ გულუა, ვალერიან მეტრეველი, გოგოთურ აგლაძე, რობერტ ანდღულაძე, გუჩა დათუნაიშვილი, ჯუმბერ კაციტაძე, რევაზ მახარობლიძე, დავით ნაკანი, ოთარ ნათიშვილი, დავით სარიშვილი, გივი სანაძე, ამირან სეხნიაშვილი, ნაპოლეონ ყარყაშაძე, ელგუჯა შაფაქიძე, შოთა ჭალაგანიძე.

გამოსათხოვარი

ევგენი (ჟენია) მაჭავარიანი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო მუსიკისმცოდნე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი ევგენი ვახტანგის ძე მაჭავარიანი.

60-იანი წლებიდან მოყოლებული, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე, ევგენი მაჭავარიანის მოღვაწეობა განუყოფლად იყო დაკავშირებული ქართულ მუსიკალურ კულტურასთან, მის ყველა ახალსა და მნიშვნელოვან მოვლენასთან . უკანასკნელი 30 წლის ქართული მუსიკალური ცხოვრება, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საქმიანობა წარმოუდგენელია ამ ნიჭიერი, ენერგიითა და სიცოცხლის ხალისით აღსავსე ადამიანის მონაწილეობის გარეშე.

ევგენი მაჭავარიანის შემოქმედებითი ბიოგრაფიის უმთავრესი ფაქტები გარკვეულად ნათელყოფს მისი მოღვაწეობის ინტენსივობას. მართალია, იგი არასოდეს ესწრაფვოდა თანამდებობის მოპოვებას, მაგრამ ყოველთვის ნაყოფიერად იყენებდა თავის უფლებებს ორიგინალური იდეების ხორცშესხმისათვის. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, 1959 წლიდან გააგრძელა თავისი აღმზრდელი-მასწავლებლის, მუსიკალური ხელოვნების სახელმოხვეჭილი პროპაგანდისტის პავლე ხუჭუას საქმიანობა, როგორც საქართველოს ფილარმონიის მუსიკისმცოდნე — ლექტორმა. 1977-1982 წლებში ე. მაჭავარიანმა, როგორც საქართველოს ტელერადიოკომიტეტის მუსიკალური მაუწყებლობის მთავარმა კონსულტანტმა და რედაქტორმა, კიდევ უფრო გააფართოვა თავისი მუსიკალურ-პროპაგანდისტული მოღვაწეობის არეალი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ე. მაჭავარიანი საქართველოში, და, შესაძლოა, მის ფარგლებს გარეთაც, პირველი იყო, ვინც 70-იან წლებში გაბედა და ტელემაუწყებლობაში დანერგა თანამედროვე საესტრადო, და მათ შორის ჯაზური, ხელოვნების პროგრამები. ე. მაჭავარიანის მიერ მომზადებული გადაცემები, რომლებიც ათასობით ტელემაყურებელმა შეიყვარა, გამოირჩეოდა მაღალი გემოვნებით. გამორჩეული გახლდათ ე. მაჭავარიანის მოღვაწეობა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე 1982 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ე. მაჭავარიანის ორგანიზატორული და პრაქტიკული მონაწილეობა თელავის სახელგანთქმულ ფესტივალში — „ქება ვაზისა", სადაც იგი თავისი პროფესიული უნარით, მჭევრმეტყველებით, ადამიანური მომხიბვლელობით, განსაკუთრებულ იერს სძენდა ფესტივალების მსვლელობას. არც ბიჭვინთის ფესტივალს, „ზაფხულის სერენადებს" დაჰკლებია მაჭავარიანის ნიჭისა და პიროვნული მიმზიდველობის ძალა.

ევგენი მაჭავარიანს განგებამ უბოძა იშვიათი უნარი ნებისმიერ აუდიტორიასთან თუ ცალკეულ პიროვნებებთან უშუალო კონტაქტის დამყარებისა. ჭეშმარიტი არტისტიზმით, ფაქიზი იუმორით, უშუალობით იგი უმალ ხიბლავდა მსმენელს. ამ თვისებათა გამო ძალზე ფართო წრეს ადამიანებისას იგი მეგობრად მიაჩნდა. მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად ბედს არ შეგუებია, სიცოცხლის ბოლო წუთამდე პირნათლად ილვწოდა, არავის უნახავს მოწყენილი. მისი სტუმართმოყვარე სახლის კარი მუდამ ღია იყო მრავალრიცხოვანი მეგობრისათვის.

ხალხის სიყვარულით გარემოსილი, პოპულარული, საყვარელი პიროვნება, თავისი საქმის ერთგული ჭეშმარიტი პროფესიონალი — ასეთი იყო ევგენი მაჭავარიანი, რომლის ნათელი ხსოვნა სამარადჟამოდ დარჩება მისი მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების მეხსიერებაში.

საქართველოს კულტურის სამინისტრო; საქტელერადიოკორპორაცია; საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი; ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; სახელმწიფო ფილარმონია; ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო ეროვნული თეატრი.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო

შეახსენებს სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე ორგანიზაციებს, ფირმებს, იურიდიულ პირებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 16 მარტის № 221 ბრძანებულებით 1997 წლის იანვრიდან აკრძალულია სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა, ასევე სამშენებლო ინდუსტრიის ნაკეთობათა და საშენ მასალათა წარმოება სამინისტროს მიერ გაცემული სპეციალური ლიცენზიის გარეშე.

ამჟამად, ლიცენზიის მიღების მიზნით, სამინისტროს ლიცენზირების ცენტრში განსახილველად წარმოდგენილია 70-ზე მეტი ორგანიზაციის დოკუმენტაცია. მათი განხილვა და გადაწყვეტილების მიღება დამთავრდება უახლოეს დღეებში.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 16 მარტის № 221 ბრძანებულების შესაბამისად, 1997 წლის პირველი იანვრისათვის მიღებული აქვთ მათი სათანადო პროფილით სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო ლიცენზია შემდეგ ორგანიზაციებს:

— სააქციო საზოგადოება „ინჟმშენი"; სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი „თბილისი"; სამმართველო „სამგორწყალმშენი"; სააქციო საზოგადოება კონცერნი „თბილგვირაბმშენი"; საგზაო კომპანია „თბილისი"; შპს ფირმა „მრეწვენტილაცია"; სახელმწიფო საწარმო „საქთბოენერგოსერვისი"; სააქციო საზოგადოება „ბონდი"; შპს „არქიტექტურა-95"; შპს „ენერგეტიკოსი"; კომპანია „ფურგო ენჯინიერს"; სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენი"; ტრესტ „თბილგაზის" საპროექტო ჯგუფი; შპს „მედპროექტი"; შპს „ოაზისი"; სააქციო საზოგადოება „ხური".

ლიცენზიის მიღებაში დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ სამინისტროსთან არსებულ ლიცენზირების ცენტრს.

ცნობები და კონსულტაციები 12-დან 16 საათამდე.

მისამართი: 380060, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 16, მეოთხე სართული, ოთახები 412, 403, 404.

ტელ.: 37-34-91, 37-94-34.

სამინისტროს პრესცენტრი.

გაზეთი „სვობოდნაია გრუზია" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნელი (ნინო) სილიბისტროს ასული სილაგაძე

პანაშვიდი 7, 8 I, 4 ს., გამოსვენება 9 I, 2 ს. ყაზბეგის პროსპექტი (ყოფილი პავლოვის ქუჩა) 55ა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარ რედაქტორს აპოლონ სილაგაძეს დედის

ნელი (ნინო) სილიბისტროს ასულ სილაგაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „ალიონის" ხელმძღვანელს ოთარ შარიშაძეს დედის

ლილი გაჩეჩილაძე-შარიშაძის

გარდაცვალების გამო.

თბილისის სამგორის რაიონის პროკურატურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შსს საგამოძიებო დეპარტამენტის სამგორის რაიონის განყოფილების უფროსს ნიკო ჯანიბეგაშვილს მამის

არჩილ ნიკოლოზის ძე ჯანიბეგაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" ავტორი, დამსახურებული გამომგონებელი, გენერალური კონსტრუქტორი, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

შალვა იასონის ძე კერესელიძე

პანაშვიდი 7, 8, I, 4 ს., გამოსვენება 9 I, 2 ს. ნაფარეულის ქ. 4

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, შრომის გმირი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი, უნივერსიტეტის პროფესორი

შალვა იასონის ძე კერესელიძე

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო და კავშირგაბმულობის დამოუკიდებელი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებენ მინისტრის მოადგილეს დარეჯან ჭარბაძეს მამის

ილია ჭარბაძის

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება 9 იანვარს, ამბროლაურის რაიონი, სოფ. ხვანჭკარა.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს შპს „საქპრესას" კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მინისტრის მოადგილეს დარეჯან ჭარბაძეს მამის

ილია ჭარბაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს შპს „ელექტროკავშირის" კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მინისტრის მოადგილეს დარეჯან ჭარბაძეს მამის

ილია ჭარბაძის

გარდაცვალების გამო.

გამომცემლობა „საქართველოს" კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა

ბული ნიკოლოზის ასული ლვინჯილია-კურდღელია

საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაცია და „საქწიგნი" თანაგრძნობას უცხადებენ გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორს, მწერალ ჯანსულ ლვინჯილიას დის

ბული ნიკოლოზის ასულ ლვინჯილია-კურდღელიას

გარდაცვალების გამო.

შვილები ლევანი, ნანა, შვილიშვილი მარიკა, შვილთაშვილი გიგა, და ქეთევანი, ძმა მიხეილ ჭიჭინაძეები, რძალი მედეა რუხაძე, მული რუსუდან ხომასურიძე, დისწული გულნარა კაკაბაძე, ბიცოლა თამარ ჭიჭინაძე, ბიძაშვილები მაყვალა, ლილი, ავთანდილი, ნოდარი, ვახტანგი, დეიდაშვილი ზეინაბ თავდგირიძე, მულიშვილი კონსტანტინე ხომასურიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო ნიკოლოზის ასული ალიმბარაშვილი

პანაშვიდი 7, 8 I, 4 ს., გამოსვენება 9 I, 2 ს. ასათიანის (ყოფილი ენგელსის) 62.

შვილები თემური, ხათუნა ლომსაძეები, რძლები ლარისა მოროზოვა, მაია ბელქანია, სიძე არჩილ ორჯონიკიძე, შვილიშვილები სალომე, ვიქტორი, ელენე, გიორგი, დავითი, ძმა ჯილბერდი, მამიდა ელენე, მული ზამირა, მაზლები ომარი, ანზორი, ჯემალი ლომსაძეები, მაზლისცოლები, მაზლისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მაყვალა იოსების ასული გიუნაშვილი-ლომსაძე

პანაშვიდი 7, 8 I, 4 ს., გამოსვენება 9 I, 2 ს. საირმის ქ., კორპ. 5, სართული 7, ბინა 27.

შვილები მანანა, თამაზ ჯანელიძეები, რძალი ლამარა ურიდია, სიძე ნოდარ მანაგაძე, შვილიშვილები მარინა, ნანა ჯანელიძეები, მარინა მიმინოშვილი, ირაკლი მანაგაძე ოჯახებით, მძახალი ქეთო მანაგაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინა ნიკოლოზის ასული ქუთათელაძე-ჯანელიძე

პანაშვიდი 7, 8 I, 4 ს., გამოსვენება 9 I, 3 ს. ხომტარიას ქ. 17.

ლევან მშვენიერაძე

უეცრად გარდაიცვალა საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლევან გაბრიელის ძე მშვენიერაძე.

ლევან მშვენიერაძე დაიბადა ქ. თბილისში, 1918 წელს. მან განვლო დიდი შრომითი გზა. წლების განმავლობაში მუშაობდა ქ. თბილისში, ქუთაისში და ტყიბულში ხელმძღვანელ პარტიულ და სამეურნეო თანამდებობებზე. იგი იყო მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა ორგანიზაციაში. მისი ცხოვრების ბოლო პერიოდში ხელმძღვანელობდა თბილისის ომის, შრომის და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა ორგანიზაციას.

ლევან მშვენიერაძე იყო საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ომის ვეტერანთა კომიტეტის და მისი ბიუროს წევრი. დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენით და მედლით, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით და მრავალი სხვა ჯილდოებით.

ქალაქ თბილისის მერია; საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭო; თბილისის ვეტერანთა საბჭო.

ქ. თბილისის მერია, ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო და თბილისის ვეტერანთა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანთა თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ლევან გაბრიელის ძე მშვენიერაძე

პანაშვიდი 8 I, 3 ს., გამოსვენება 9 I, 2 ს. კარგარეთელის ქუჩა № 9.

თამარ ტივაძე

ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **თამარ გიორგის ასული ტივაძე.**

ქალბატონი თამარი გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, მეცნიერული კეთილსინდისიერებით. იგი იყო მაღალკვალიფიციური მეცნიერი, ძირითადად მუშაობდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის პრობლემაზე, რომელსაც მიუძღვნა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი: „თეიმურაზ I საგარეო პოლიტიკა", „საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში". ბოლო წლებში დასაბეჭდად მოამზადა მასალების კრებული „მოსკოვის არქივების ცნობები XVI-XVII სს საქართველოს შესახებ".

თანამშრომლებთან და კოლეგებთან ურთიერთობაში თამარ ტივაძე ამჟღავნებდა დიდ გულისხმიერებას, სითბოსა და მოკრძალებას და ამიტომაც სარგებლობდა დიდი პატივისცემით და სიყვარულით.

წავიდა ჩვენგან კარგი მოქალაქე და მეცნიერი, დაგვიტოვა ღრმა ჭირილობა და სინანული.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თამარ გიორგის ასული ტივაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სამმართველოს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მეწარმეობის განვითარების სამმართველოს უფროსის მოადგილეს დიმიტრი ქემოკლიძეს დედის

ნათელა თუხარელის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს"
სტამბაში ხოშარაულის 29.